

K 230 053
3



K 230-059
3

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის გამომცემი

სამედიკო სამუშაო




«საბავშვო»

საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის
სამსახურის დასახელება

საქართველოს მემკვიდრეობის

«საქართველო»-თბილისი-1969



82-2



Англ.
82-2
8 566
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

7-4-2

ინგლისურიდან თარგმნა
ზვიად გამსახურდიამ

სპეგ-2000
შემოწმებულია

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვა

„ზამთრის ზღაპარი“ მიეკუთვნება შექსპირის შემოქმედების მოწიფულ პერიოდს, ე. წ. „რომანტიკულ“ პერიოდს. ამ პერიოდის შექსპირის შემოქმედებითი კონცეფციები რადიკალურად განსხვავდებიან ადრეული პერიოდისაგან. შეიძლება ითქვას, რომ შექსპირმა ამ დროს ძირეულად გარდაქმნა ქანრის სპეციფიკა. მისი დრამები: „ციმბელინი“, „ქარიშხალი“ და „ზამთრის ზღაპარი“ მიეკუთვნებიან ახალ, შექსპირისეულ ქანრს, რომელიც რაღაც საშუალოა ტრაგედიას, კომედიასა და ფეერიას შორის. „ზამთრის ზღაპარზე“ მართლდება უაილდის თქმა: „დიდი ხელოვანი, დაწყებული კომეროსითა და ესქილეთი და დამთავრებული შექსპირითა და კიტსით, უშუალო სინამდვილეს როდი მიმართავდნენ თემის ძიებისას, არამედ ეძებდნენ თემებს მითებში, ლეგენდებში და ზღაპრებში“. „ზამთრის ზღაპარში“ საუკეთესოდ მოსჩანს, როგორ არღვევს გენიოსი საყოველთაოდ დადგენილ კანონებს. აქ დარღვეულია ყველა მანამდის არსებული დოგმა დრამატული ნაწარმოების ფორმის აგებისა. ამ მხრივ ეს ნაწარმოები შეიძლება დავუპირისპიროთ ფსევდოკლასიციზმისეულ გაგებას ლიტერატურისას, რომელიც მოითხოვდა მწერლისაგან ერთგულებას სამუდამო დოგმებად ქცეული კანონებისას. ურიცხვი ანაქრონიზმი და ანატოპიზმი, პირობითობის როლის გაზრდა, — აი, რა იყო დამახასიათებელი ამ პერიოდის შექსპირისათვის. თუმც უნდა

230.059
3
K

ითქვას, რომ მის აღრეულ ნაწარმოებებშიც ხშირად შეხვ-
დებით მსგავს ამბებს. რაც შეეხება სტილს, ძნელია ისეთი
ზოგადი განსაზღვრების მოძებნა, რომელიც ხარმოდგენას
მოგვცემდა შექსპირის სტილთან დამოკიდებულებაზე. შექს-
პირს მუდამ სჩვევია არნახულად ლაკონური, ტევადი ფრაზა,
რომელიც, სიტუაციების და მიხედვით ან რბილია და სურ-
ნელოვანი, ან მოქნეული სატევარივით ბასრი,—თავად ჰამლე-
ტის გამოთქმა რომ ვიხმაროთ. უნდა აღინიშნოს აგრეთვე,
რომ შექსპირის პერსონაჟთა მეტყველება განირჩევა იმის
მიხედვით, თუ რომელ ფენას, რომელ წოდებას, ან ადამიანუ-
რი ტემპერამენტის რომელ ტიპს მიეკუთვნებიან ისინი.
არსებობს ნიუანსები რომელნიც განასხვავებენ მამაკაცთა
მეტყველებას ქალთა მეტყველებისაგან, აზნაურთა მეტყვე-
ლებას მეფეთა მეტყველებისაგან, არისტოკრატთა მეტყველე-
ბას მდაბიორთა მეტყველებისაგან და სხვა. თვით მდაბიორ-
თა შორის განსხვავებაა ამ მხრივ: მაგალითად ქურდი ავტო-
ლიკე სრულიად სხვაგვარად მეტყველებს, სხვაგვარ საქცე-
ვებსა და ჟარგონს ხმარობს, ვიდრე მაგალითად მიამიტი
მწყემსი, მისი ანტიპოდი. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას:
შექსპირი ჰქმნიდა თავის ხასიათებს მეტყველების საშუალე-
ბით, ვინაიდან მას არ ჰქონდა ხელთ დესკრიპტიული საშუა-
ლებები, როგორც მაგალითად რომელიმე რომანისტს. შექს-
პირის სტილის მცოდნეთათვის, მაგალითად, დიდი განსხვა-
ებაა ლაერტესისა და ჰამლეტის მეტყველებას შორის, კლა-
ვდიუსისა და პოლონიუსის მეტყველებას შორის. თვით ისე-
თი მსგავსი პიროვნებები, როგორნიც არიან ფოლსტაფი და
ავტოლიკე, სხვადასხვაგვარად მეტყველებენ. ფოლსტაფის
ენა მუდამ დაკავშირებულია კულინარულ ასოციაციებ-
თან, ავტოლიკე კი უფრო თაღლითებისა და ავაზა-
კებისთვის დამახასიათებელ იდიომებს ხმარობს. ჰამლეტის
სიტყვა ლავის მდულარე ღვარცოფს გაგონებთ, ხოლო კლავ-
დიუსის ენის ცივი მაღალფარდოვნება უპირისპირდება პო-
ლონიუსის ღვარჭნილ-ქარაგმულ საუბარს, რომელიც ნაძა-
ლადევი იუმორისა და საკარისკაცო ფარისევლობის ელფერს
გადაიკრავს.

ამიტომ შექსპირის მთარგმნელის წინაშე დგას ურთუ-
ლესი ამოცანა. მან უნდა მოუძებნოს ექვივალენტები თავის
ენაში იმ მრავალფეროვან სტილისტურ ნიუანსებს, რო-
მელთა დაკარგვაც ნიშნავს თავად შექსპირის სპეციფიკის
დაკარგვას. ერთფეროვანი ენობრივ-სტილისტური კლიშე
გამოუსადეგარია ამ შემთხვევაში. უნდა შევისწავლოთ შინა-
განი „სმენით“ ამა თუ იმ გმირისათვის დამახასიათებელი
ინტონაცია, ფრაზეოლოგია და წარმოიდგინეთ, სინტაქსური



წყობაც! ფრთხილად უნდა მოვეყიდოთ იამბურ პენტამეტრ-
 საც. უნდა გვანსოდეს, რომ შექსპირთან იამბური პენტამეტრი
 მეტრი მუდამ როდია სქემატური, სტატიური ფორმით მო-
 ცემული. სცენის ცოცხალი მეტყველება ვერც მოითმენდა
 ამას. ეს იქნებოდა უაღრესად მონოტონური, მოსაწყენი მი-
 მდინარეობა პიესისა. გარდა იმისა, რომ ხშირად პროზა ენა-
 ცვლება იამბურ პენტამეტრს, მეტრული სქემის დარღვევაც
 ხდება, ალაგ-ალაგ შეიძლება დაკვირვებულმა თვალმა შეამ-
 ჩნიოს vers libre -ის ჩანასახებიც, ვინაიდან ხშირად
 ზედმეტად სასაუბრო ინტონაციაც იჭრება ლექსში. ამიტომ
 საჭიროდ ვცანით ბესიკური თოთხმეტმარცვლიანი ლექსის
 სქემაში ალაგ-ალაგ შეგვეტანა შინაგანი გადაადგილება მახ-
 ვილები, რათა მთელი დრამის მანძილზე მონოტონური არ
 ყოფილიყო ქღერადობა ლექსისა.

ზ ვ ი ა დ გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა




მოქმედნი პირნი

- ლ ე ო ნ ტ ე — მეფე სიცილიისა.
 - მ ა მ ი ლ ი უ ს — ყრმა უფლისწული სიცილიისა.
 - ა ნ ტ ი გ ო ნ ე
 - კ ა მ ი ლ ო
 - კ ლ ე ო მ ე ნ ე
 - ღ ი ო ნ ე
- } სიცილიელი დიდებულნი.
- პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე — მეფე ბოჰემიისა.
 - ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი — უფლისწული ბოჰემიისა.
 - ა რ ქ ი დ ა მ ე — ბოჰემიელი დიდებული.
 - მ ო ხ უ ც ი მ წ ყ ე მ ს ი — პერდიტას მამამძუძე.
 - ო ტ რ ო ვ ე ლ ა — მისი ვაჟი.
 - ა ვ ტ ო ლ ი კ ე — მაწანწალა.
 - მ ე ზ ლ ვ ა უ რ ი
 - ღ ი ლ ე ვ ი ს მ ც ვ ე ლ ი
 - ჰ ე რ მ ი ო ნ ე — დედოფალი სიცილიისა.
 - პ ე რ დ ი ტ ა — ჰერმიონესა და ლეონტეს ასული.
 - პ ო ლ ი ნ ა — ანტიგონეს მეუღლე.
 - ე მ ი ლ ი ა — ჰერმიონეს სეფექალი.
 - ღ ო რ კ ა
 - მ ო პ ს ა
- } მწყემსი დიაცები

დიდებულნი, აზნაურნი, სეფექალნი, მოხელენი და მსახურნი, მწყემსები და მწყემსი დიაცები.

ქოროს მოვალეობას ასრულებს დ რ ო.

მოქმედების ადგილი: ხან სიცილია, ხანაც — ბოჰემია.



მოქმედება I

სურათი 1. — სიცილია. წინაღარბაზი ლეონტეს სასახლეში. შემოდინ კამილო და არქიდამე.

არქიდამე.

ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ჩემო კამილო: ბოჭემიაში თუ მოგიხდათ ჩამობრძანება, იმგვარადვე, როგორც ჩვენ გეწვიეთ, დაინახავთ, თუ რაოდენ განსხვავდება ბოჭემია სიცილიისაგან.

კამილო.

ვგონებ, საზაფხულოდ უნდა აპირებდეს სიცილიის მეფე საპასუხო სტუმრობას ბოჭემიის კარზე.

არქიდამე.

თუ ჯეროვნად ვერ გაგიმასპინძლდით, კეთილი გულით მაინც ავანაზღაურებთ ჩვენს სირცხვილს. უნდა მოგახსენოთ...

კამილო.

გევედრებით ჩემო...



ა რ ქ ი ღ ა მ ე .

არა, დაბეჯითებით მოგახსენებთ: ჩვენ როდი ვგეგმავთ ზომ მეფური, ეგზომ იშვიათი მიღება — აღარ ვიცი, რარიგ გამოვთქვა... სამაგიეროდ, სმით დაგიბანგავთ შეგრძნების უნარს, რათა ჩვენი უკმარობა არ გეცეთ თვალში, ასე რომ, ველარც შეგვაქებთ მაშინ და ველარც დაგვძრახავთ.

კ ა მ ი ლ ო .

განუზომელად აჭარბებთ ამ უბრალო ამბის შეფასებისას.

ა რ ქ ი ღ ა მ ე .

დამერწმუნეთ, ჩემი ცნობასრულობისა და სინდისის კარნახით მოგახსენებთ ყოველივე ამას.

კ ა მ ი ლ ო .

ჩვენს ხელმწიფეს თავდავიწყებით უყვარს ბოჭემიის მბრძანებელი. მოგეხსენებათ, ყმაწვილობიდან შეზრდილნი არიან. იმხანად გაუდგამს მათ შორის ფესვი სიყვარულის გრძნობას. მოწიფულ ასაკში, სახელმწიფო საქმეებით დატვირთულნი, ველარ ახერხებენ შეხვედრას. სამაგიეროდ, მოსაკითხებს, წერილებს უგზავნიან ხოლმე ურთიერთს ელჩების ხელით; მაინც ხელიხელგადახვეულნი დგანანო თითქოს, ვეება მანძილით დაშორებულნი! განამტკიცებდეს ზეცა მათს სიყვარულს!

ა რ ქ ი ღ ა მ ე .

ნუთუ არსებობს ქვეყნად ბოროტება ან სხვა რამ ძალა სიყვარულის მათის შემბლალავი? კვლავ მოგახსენებდით: თქვენდა საამოდ შობილა ამქვეყნად ყრმა უფლისწული მამილიუს; ჯერაც არ შემხვედრია ეგზომ ბრწყინვალე მომავლის მქონე ჭაბუკი.

კ ა მ ი ლ ო .

დიდად გვაიმედებს, ჭეშმარიტად, უაღრესად ზრდილი ყმაწვილია; შვების კურნებაა წინაშემდგომთათვის, გამახალისებელი მხცოვანთა გულისა. მის დაბადებამდის ყავარჯნებით მოარულნი კვლავაც შეჰნატრიან ცხოვრებას, მისი დავაჟკაცების მოლოდინში.

ა რ ქ ი ღ ა მ ე .

ეგ რომ არა სიკვდილს მოინატრებდნენ, ჰა?



კ ა მ ი ლ ო .

დიახ, უსათუოდ, სხვა რამ საბაბი თუ ველარ მოახვედრეს თა-
ვიანთი არსებობის გასამართლებლად.

ა რ ქ ი დ ა მ ე .

ხელმწიფე რომ უძეო ყოფილიყო, ყავარჯნებით სიცოცხ-
ლესაც არ ითაკილებდნენ ალბათ, ტახტისმტის მოლოდინში.
(გადიან)

ს უ რ ა თ ი II. სრაპალატა იმავე სასახლეში.

შემოდიან: ლეონტე, ჰერმიონე, მამილიუს, პოლიქსენე, კამილო და
ტაძრეული.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე .

მეცხრე მოქცევას მთოვარისას უმზერენ მწყემსნი,
მას აქეთ, რაც ჩვენ სრა-საჯდომი დავაგდეთ ჩვენი
და თქვენ გეწვიეთ. ამდენსავე ჟამს მომავალში
ამოავსებდა, ძმაო, ჩვენი მადლიერება,
და ვალში მყოფნი დავშთებოდით მაინც, მარადის.
მადლიერებას მე დავსვამდი ვით რიცხვს რაიმეს,
მას მივუწერდი წინამორბედ რიცხვთა სიმრავლეს,
გავამრავლებდი ურთიერთზე...

ლ ე ო ნ ტ ე .

მადლობა გეთქმით

მხოლოდ წასვლის ჟამს.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე .

ხვალ მივდივარ, უფალო ჩემო.
შიშიც აღმეძრა: აღარ ვუწყი, რა ხდება კარზე
ჩვენს აქ ყოფნაში. იქნებ ქარი რამ, უკეთური,
ბოროტს უქადის სახელმწიფოს, და როს მივბრუნდე,
გამართლდეს იქნებ ჩემი შიში. გარდა ამისა,
დავქანცე თქვენი მეუფება ჩემის აქყოფნით.

ლ ე ო ნ ტ ე .

ძმაო, არც ეგზომ ძაბუნნი ვარ, ვით თქვენა ბრძანებთ,
თქვენი ატანა ძალმიძს ჯერაც.



პოლიქსენე.

ლეონტე.
მაშ, ერთ კვირაში...

პოლიქსენე.

ხვალვე-მეთქი, ხომ მოგახსენეთ.

ლეონტე.

ნახევარ კვირას შევჯერდებით, შემდეგ დავშორდეთ.
გიშვებთ უსიტყვოდ.

პოლიქსენე.

გევედრებით, ნუღარ მარწმუნებთ.

არ არის კაცი ქვეყანაზე ვის ნაუბარსაც
უფრო შევისმენ, ვიდრე თქვენსას. გარდუვალობა
რომ მოითხოვდეს, ან დარჩენა ჩემი ამჟამად
იყოს საშურო, — გადავთქვამდი სიტყვას უმაღვე.
ტახტის საქმენი მაჩქარებენ, ეგ სიყვარულიც
მეხად არ იქცეს ჩემთვის, ხოლო ჩემი დარჩენა
ურვაა თქვენთვის, საზრუნავი და სატანჯველი.
სჯობს განვიტვირთოთ ორივენი. ნახვამდის, ძმაო!

ლეონტე.

დადუმებულხარ, დედოფალო, გვარქვი რაიმე.

ჰერმიონე.

მე დადუმება განვიზრახე, მეფეო, სრული,
ვიდრე ზენაარს¹ არ გვეტყოდა სტუმარი ჩვენი.
გულგრილი იყო თქვენი სიტყვა; სჯობს შეახსენოთ,
რომ ბოჰემიად მშვიდობაა — ხომ დაგვარწმუნა
გუშინდელმა დღემ? ამ საბუთს ხომ ვერსად წაუვა,
და დასთმობს ბრძოლას?

ლეონტე.

ჰეშმარიტად, ჩემო ჰერმიონ.

¹ ფიცს.



პ ე რ მ ი ო ნ ე.

თუ უფლისწული მოენატრა, გასაგებია, მაგრამ ჯერ გვითხრას, დაგვარწმუნოს, დაგვისაბუთოს, სთქვას ზენაარი და წუთითაც არ შევაყოვნებთ, ჩვენვე განვდევნით სასახლიდან თითისტარებით. თქვენს მეუფებას ვევედრები (პოლიქსენესადმი) კიდევ გვიბოძეთ

ეს ერთი კვირაც, როს მეუღლეს ისტუმრებთ ჩემსას ბოჭემიაში, — დავავალებ განსაკუთრებით, რომ დათქმულ ვადას სტუმრობისას გადააჭარბოს ერთი თვით მაინც — თუმც წამითაც არ ჩამოვრჩები ქმრის სიყვარულში მე სხვა ცოლებს. — მაშ რჩებით ჩვენსას?

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

ო, არა, მაღამ.

პ ე რ მ ი ო ნ ე.

არა, უნდა გადასდოთ წასვლა.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

არ ძალმიძს-მეთქი, ჭეშმარიტად.

პ ე რ მ ი ო ნ ე.

ჭეშმარიტადო!

მერყევი ფიცი ამაოა. მოიშველიოთ თუნდ ზენაარი, ვარსკვლავების გარდამსახავი, მაინც კვლავ ჩემსას დავადგები. ჰო, „ჭეშმარიტად“ დარჩებით ჩვენსას. ჰო, რამეთუ დედოფლის სიტყვა ხელმწიფისაზე ნაკლებ არ სჭრის. მაინც გსურთ წასვლა? იქნებ ტუსაღად ინებებდით ჩვენსას დარჩენას და არა სტუმრად? მოგვითვლიდით შემდეგ სასყიდელს, განშორების უამს მადლობასაც აღარ გვეტყოდით. მაშ, ტუსადობა თუ სტუმრობა? თქვენც სიტყვისებრ ამ ორში ერთი შეიქნებით.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

სტუმრობა მიჯობს,



ტუსალი ნიშნავს შეურაცხყოფს, მე უფრო მიმიძიმა
 შეურაცხყოფა თქვენი, ვიდრე თქვენ ჩემი დასჯა
 ჰერმონე.

მეც მირჩევნია ვიქნე თქვენი დიასახლისი
 და არა მცველი დილეგისა. აბა, მითხარით,
 რარიგ ცელქობდით თქვენ და ჩემი თანამეცხედრე,
 ყმაწვილობის ჟამს?

პოლიქსენე.

დედოფალო, ყრმობის სილაღეს
 როდი სჩვევია მერმინდელთა დღეთათვის ფიქრი;
 დღევანდლობას ხვალესაგან როდი ვარჩევდით —
 მარადის ყრმანი ვიქნებითო, აგრე გვეგონა.

ჰერმონე.

ხომ ონავრობდა უფრო მეტად ჩემი ლეონტე?

პოლიქსენე.

წყვილ ტარიგს ვგავდით ჩვენ იმჟამად, მზიან ველებზე
 მხიარულად რომ კუნტრუშებენ. უმანკოებას —
 უმანკოების წილ ვუზღავდით ურთიერთს მაშინ.
 თავად სიავის ვერმცნობელნი არც კი ვგონებდით
 ძვირისმოქმედთა არსებობას. აგრე გვეცხოვრა,
 არ აეტაცნა მჩქროლვარებას ჩვენი სისხლისას
 ძაბუნის სული, რა თამამად ვეტყოდით ზეცას:
 „უცოდველნი ვართ!“ — პირველჩენილ ცოდვას თუ
 ჩავთვლით

მოტევებულად.

ჰერმონე.

მაშ, მას აქეთ ცოდვის ბილიკზე
 გივლიათ ხშირად?

პოლიქსენე.

დედოფალო უსათნოესო!
 საცთური მრავლად მოგვივლინა ჟამთა მსვლელობამ.
 ჩემი მეუღლე ბალდი იყო იმხანად ჩვილი.
 თქვენაც აროდეს არ გეხილათ მაშინ თვალდათვალ
 ყრმობისა ჩემის მეგობარი.

პერმიონე.

მადლო ზეცისავ!

აგრე გამოდის, მე და თქვენი თანამეცხედრე
ეშმაკეულად შევრაცხულვართ! ეგ არაფერი —
შეცოდებანი მივუტევოთ ურთიერთს ყველამ,
და თუ პირველად ჩვენთან სცოდეთ და არა სხვებთან,
ჩვენთანვე ვლიდეთ ცოდვილი გზით, რაკი ცოდვილნი
ჩვენის მიზეზით გახდით თურმე.

ლეონტე.

ვძლიეთ თუ არა?

პერმიონე.

დიახაც, მილორდ.

ლეონტე.

მე ვერასგზით ვერ დავარწმუნე:

პერმიონ, ჩემო, არაოდეს მახსოვხარ ეგზომ

ტკბილმოუბარი.

პერმიონე.

არაოდეს?

ლეონტე.

ო, არა, ერთხელ....

პერმიონე.

მაშ, მხოლოდ ორგზის გახსოვს ჩემი ენამზეობა?

მითხარ პირველად როდის ვიყავ ტკბილმოუბარი,

გაღამავიწყდა მე ეგ ჟამი, გთხოვ, შემახსენო.

ამავსე ხოტბით, მანებივრე ქება-დიდებით,

ერთი სიქველე მიჩქმალული ათასს იმსხვერპლებს,

თუ არ ახსენე. ქება ჩვენთვის გასამრჯელოა,

კოცნით ათასი უტევანი ძალმიძს გავლიო,

დეზით კი ერთი ეჯიც არა. მაშ საბოლოო

ჩემი სიქველე იყო სტუმრის მონადირება,

და ამ სიქველეს უფროსი და ჰყოლია თურმე,

სახელი მაინც თუ ექნება ღვთივ-კურთხეული?

თუ იყო მაშინ ჩემი სიტყვა ეგზომ დროული?

გთხოვ, შემახსენო.

ლ ე ო ნ ტ ე.

ეგ იმუამად, ჩემო როს მიიწურა მაჯაგანით ტანჯვის სამი თვე, და შენ მიბოძე საბოლოოდ ეგ თეთრი ხელი ვით მიჯნურობის საწინდარი და ოდეს მარქვი: შენ გეკუთვნის სამუდამოდ.



ჰ ე რ მ ი ო ნ ე.

მადლობა უფალს. — ასე რომ, ჩემო, ორგზის მითქვამს სიტყვა დროული: პირველად თქმულმა შემაულლა დიდ ხელმწიფესთან, ხოლო მეორემ — მეგობარი მარგუნა ღირსი. (ხელს უწვდის პოლიქსენეს).

ლ ე ო ნ ტ ე (თავისთვის).

ო, ზედმეტია, ზედმეტია ეგ მგზნებარება! მაგ მეგობრობას არ მოსდევდეს სისხლთა შერევა. ო, tremor cordis¹ დამემართა, რა უსიამოდ ფართქალებს გული! დავუშვათ, რომ გულითადობა, მორჭმა, სიუხვე მასპინძლისა განუზომელი იწვევდეს ამას. — შესაძლოა, როდი უარვყოფ. მაგრამ ხახუნი ხელისგულთა, თითების ხლართვა, სულ სხვა რამ არის. გაღიმება — თითქოს სარკეში, გაკონტავება, შემდეგ ოხვრა გულისმომწყვლელი დაკოდილ ირმის... ეგ ლაღობა არ მოსწონს ჩემს გულს, არცთუ გონებას, მამილიუს, ვისი ბიჭი ხარ?

მ ა მ ი ლ ი უ ს.

თქვენი, მეფეო.

ლ ე ო ნ ტ ე.

აბა, მითხარ დანამდვილებით — ხომ ვართ ძმობილნი? რაო, ცხვირი რად გაგმურვია, ეგ ჩემი ცხვირის ორეული, როგორც ამბობენ. სისუფთავეა, ასისტავო, ჩვენთვის მთავარი,

¹ tremor cordis — გულის ფრიალი (ლათ.).

მოზვერს, დეკეულს განა სუფთად არ ინახავენ?
არ სწმენდენ განა?

(გასცქერის პოლიქსენესა და ჰერმიონეს).

კვლავ გრძელდება თითთა თამაში
მის ხელის გულზე. რაო, ჩემო კარგო ბოჩოლავ?
ხომ ხარ ჩემი ხბო?

მ ა მ ი ლ ი უ ს.

თუ თქვენა გსურთ, ვიქნები მილორდ.

ლ ე ო ნ ტ ე.

ჩემსავით დრუნჩი რომ გქონოდა და თავზე რქები,
მემგვანებოდი უფრო მეტად: თუმც კი ამბობენ,
წყვილი კვერცხივით მივაგავდეთ ურთიერთს თითქოს.
ქალნი ამბობენ აგრე, ენაჭარტალა ქალნი,
სიყალბე მათი თუმც ჩამოჰგავს კუპრის საღებავს,
წყლის, ქარის მსგავსად თუმც არიან არასანდონი,
კამათლებივით ჩემსა და შენს ვერ ასხვავებენ, —
მაინც უნდა ვსთქვა, რომ ეს ბიჭი ხატია ჩემი.
მოდო ბიჭუნავ, მომაპყარი ლურჯი თვალები,
ჩემო ფერცხალო! ჩემო კარგო! მაშ დედაშენი...
ჰმ, სიყვარულო! სრულდებიან შენნი ზრახვანი,
ვერშესაძლები შესაძლებად ძალგიდს აქციო,
ცხადჰქმნა სიზმარი — რარიგ ხდება ეგ ყოველივე?
სიმარჯვე შენი არარსებულს ხდის არსებულად,
უსაბაბოდაც ჰმედითია, — მაშ, რად გვეოცონ
საქმენი შენნი, თუ საბაბი გაქვს სამოქმედო?
გეუცხოვება სამანები, მე ვხედავ ამას,
ვხედავ, ამადაც მომეშხამა ტვინი ანაზღად
და მოიქუფრა შუბლი ჩემი.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

რას ბრძანებს მეფე?

ჰ ე რ მ ი ო ნ ე.

ალბათ რაიმემ შეაშფოთა.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

მეფევ ბატონო!

იქნებ რაიმემ შეგაურვათ, ძვირფასო ძმაო?!



ჰ ე რ მ ი ო ნ ე.

შავი ფიქრები აღბეჭდილან თქვენს შუბლზე, მგონია, რამ შეგაშფოთათ?

ლ ე ო ნ ტ ე.

არაფერმა, ოჰ, არაფერმა. —

რარიგ ამჟღავნებს უსუსური ბუნება ხშირად თვის სიძაბუნეს: ერთობიან ხშირად გულქვანი, ამ უნებლიე გამჟღავნებით. შევცქერი ამ ყრმას, და მოგონებით თითქოს ვიკლებ ოცდასამ წელსა, ვუმზერ თავს ჩემსას, ტანთ მაცვია მწვანე ქულაჯა, მოკლე შარვალი, წელს მარტყია ოდენ ქარქაში, რათა ხანჯალმა პატრონს თვისას არა ავნოს რა, სამკაული ხომ იწვევს ხოლმე ხშირად ფათერაკს. ო, რარიგ ვგავდი ამ პატარა მარცვალს იმჟამად, პატარა კენკრას, პატარა კაცს! ჰეი, ძმობილო, მოპირისპირეს გაექცევი?

მ ა მ ი ლ ი უ ს.

არა, მეფეო,

ხმლით დავუდგები.

ლ ე ო ნ ტ ე.

მაშ, შენ იცი, ჩემო ბიჭიკო. (პოლიქსენესადმი)

ლ ე ო ნ ტ ე.

მითხარით ძმაო, უფლისწული თუ გიყვართ ეგზომ, როგორც ჩვენ გვიყვარს ეს ჭაბუკი?

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

სერ, სასახლეში

იგია ჩემი გასართობი. შვება, სიამე, ხან ძმადნაფიცი, ხანაც მტერი ჩემი მრისხანე, ხან მლიქვნელი და ხან მონასპა, მოხელე ჩემი, მისის წყალობით ივლისის დღე ჰგავს დეკემბრისას, მისი სიანცე ჰკურნავს ხოლმე ფიქრთმოზღვავენას სულის მომწამვლელს.



ლ ე ო ნ ტ ე.

ასევეა ეს აზნაურიც

ჩემს სასახლეში. აწ ჩვენ ორნი გავისეირნებთ
და თქვენს ანაბრად მივატოვებთ დიდთა საქმეთა;
ჰერმიონ ჩემო, შენს სიყვარულს დამიდასტურებს
ჩემი ძმისადმი ყურადღება. დე, გაიაფდეს
სიცილიაში ყოველივე, რაც ძვირფასია —
ცოლ-შვილის შემდეგ მაგის ფასი არ მყავს არავინ.

ჰ ე რ მ ი ო ნ ე.

მეფევ ბატონო, ჩვენს ნახვას თუ მოიწადინებთ,
ბაღში ვიქნებით, მანდ შევიცდით ჟამს მცირეოდენს.

ლ ე ო ნ ტ ე.

სადაც გენებოთ, იქ მიბრძანდით. მოგძებნით მაინც
ამ ცისქვეშეთში. გადმოგიგდეთ უკვე ანკესი
თქვენგან უჩუმრად. ესეც ასე. (თვისთვის)
(აკვირდება პოლიქსენესა და ჰერმიონეს).

შეხე რარიგად მიუშვირა ნისკარტი კუროს,
აგრე იციან დანდობილი ქმრების ცოლებმა
გათამამება. ჰა, ჩასჭიდეს 'ურთიერთს ხელი!
მიდიან კიდევ!

(გაღიან პოლიქსენე, ჰერმიონე და ამალა).

ჰა, ჩავეფალ უკვე ჭაობში,
თავსლაფდასხმული, რქებდადგმული! გაიქეც, შვილო,
გაითამაშე, დედაშენი თამაშობს ცუდად,
ვთამაშობ მეცა, თუმც უღირსი როლი მარგუნეს,
კუბოს კარამდის მიმაცილებს მისი შედეგი
მოყივნებით და ზიზღით მოსილს, — წა, ითამაშე,
ბრიყვნი ამქვეყნად ჩემამდისაც მრავლად ყოფილან,
მრავლად არიან ამჟამადაც; თუნდაც ამ წუთში
რამდენი ქმარი ეფერება ცოლს და არ უწყის,
რომ მისი რაბი ხსნილი იყო მეზობლისთვისაც
და მის გუბეში ანკესობდა მოყვასი მისი,
პირმომცინარი. თუმც ნუგეში დიდია მაინც,
ჭიშკრები სხვათაც გააჩნიათ და ეგ ჭიშკრები
მათგან უჩუმრად იხსნებიან, — ამნაირ რქოსნებს

Handwritten notes in the left margin, including the number 3 and some illegible characters.

საქართველოს
ხალხური
მემორიალი



ყველას თავი რომ ჩამოეხრჩოთ, ხომ გაწყდებოდა
 კაცობრიობა? აქ მკურნალი ვერას გააწყობს,
 მავნე ცთომილის ზეგავლენა მოქმედებს ალბათ
 ამგვარ საქმეში. ძალოვანი ცთომილი თუა,
 მაშრიყ-მალრიბით, ჩრდილოეთით, სამხრით მოქმედი,
 საშოს გასწვრივ ხომ ბარიკადებს ვერვინ აღმართავს, —
 ასე რომ, მტერიც დაბრკოლების გარეშე შედის
 თვისის ბარგითურთ: მრავალ ათასს სტანჯავს ეგ სენი,
 თუმც არ უწყიან. რაო, ჩემო, რა ამბებია?

მ ა მ ი ლ ი უ ს.

მამას ჰგავხარო, აგრე მითხრეს.

ლ ე ო ნ ტ ე.

ეჰ, ეგლა დამრჩა

აწ სანუგეშოდ. კამილო ხარ?

კ ა მ ი ლ ო.

გახლავართ მილორდ.

ლ ე ო ნ ტ ე.

კარგი ბიჭი ხარ, მამილიუს, წა, ითამაშე!

(გადის მამილიუსი).

დიდი ხელმწიფე რჩება ჩვენსას, ჩემო კამილო.

კ ა მ ი ლ ო.

ძლივს დაარწმუნეთ. დიდის ხვეწნით ჩაუშვა ლუზა.
 თუმც კი მრავალგზის მოგეცარათ ხელი მანამდის.

ლ ე ო ნ ტ ე.

შენც შეამჩნიე?

კ ა მ ი ლ ო.

თხოვნა თქვენი არ შეისმინა,

მოიმიზება საქმეები.

ლ ე ო ნ ტ ე.

მაშ, მიხვდი შენაც? —

(თავისთვის)

სჩანს, სასახლეში მითქმა-მოთქმა გაჩაღდა უკვე.

„თურმე ხელმწიფე სიცილიის!..“ რა შორს წასულა უკვე ეს ჭორი. — რად დარჩაო კამილო, ნეტავ ჩვენი სტუმარი?

კ ა მ ი ლ ო.

დედოფალმა სთხოვაო, მილორდ, უსათნოესმა.

ლ ე ო ნ ტ ე.

„უსათნოესად“ ველარ ვიტყვით დედოფალს ჩვენსას, გვაქვს საფუძველი. ერთი მითხარ, სხვანი შენს გარდა თუ ჩასწვდნენ ყოველს, თუ შეიტყვეს ეგ საიდუმლო? შენ ღრუბელივით შემსრუტავი ტვინი გაქვს, ვიცი, სხვა ხეპრეებზე მიმხვედრი ხარ. ჭკვიანთა გარდა თუ არის ვინმე მიხვედრილი? თუ მარტოოდენ გამჭრიახთაგან ისმის ხმები? ან მდაბიორთა ჯერ თუ უწყიან ეგ ამბავი, სთქვი, ნუ გეშინის.

კ ა მ ი ლ ო.

ეგ ამბავიო? მილორდ, ვგონებ ეგ ყველამ უწყის, რომ ბოჭემიის მეფე რჩება.

ლ ე ო ნ ტ ე.

ჰა?!

კ ა მ ი ლ ო.

რჩება ჩვენსას.

ლ ე ო ნ ტ ე.

ჰო, მაგრამ რადა?

კ ა მ ი ლ ო.

რჩება, რათა დაკმაყოფილდეთ თქვენა და ჩვენი დედოფალი.

ლ ე ო ნ ტ ე.

დავკმაყოფილდეთ! შეასრულა დედოფლის თხოვნა! დავკმაყოფილდეთ! გენდობოდი, კამილო, ერთ დროს, თუ რამ მიმქონდა გულთან ახლოს გიზიარებდი, დარბაზისერთა შეკრებაზე თათბირი შენი

ჩემს გულს სალბუნად ედებოდა, ვით ზიარება
აღსარების ჟამს, და როს შენგან მივიქცეოდი,
თავს განწმენდილად ვგრძნობდი ხოლმე, მაგრამ ვაი რომ
მოვტყუვდი შენში, ეგ სიქველე ყოფილა თურმე
მტკნარი ჩვენება მარტოოდენ.

კ ა მ ი ლ ო.


ღმერთო, შეგცოდე!

ლ ე ო ნ ტ ე.

ჰო, ჭეშმარიტად, არ ყოფილხარ პატიოსანი,
და თუ ყოფილხარ, მაშ სილაჩრე შემოგპარვია,
იგი აკნინებს სადღეისოდ პატიოსნებას
და გზას გიმრუდებს. ან, უსაზღვრო ნდობით აღჭურვილს
დაუდევრობა თუ დაგჩემდა ბოლოჟამს, კრული,
ან შლეგი თუ ხარ, თუ დაჰკარგე ცნობა ანაზღად
და ველარ ამჩნევ დიდ წაგებას ცხარე თამაშში
და ოხუნჯობად მიგაჩნია ყოველი ფანდი.

კ ა მ ი ლ ო.

მეფევ ბატონო, შესაძლოა ვიყო უგნური,
ლაჩარიც ვიყო და უზომოდ დაუდევარიც,
განა თუ არის დაზღვეული ვინმე ამისგან?
განა სიბრიყვეს, სილაჩრეს და დაუდევრობას
არ ამჟღავნებენ კაცნი ხშირად ამ ცხოვრებაში?
თქვენს საქმეებში შეგნებულად დაუდევარი,
ხელმწიფევ ჩემო, თუ ვყოფილვარ, ეგ ჩამეთვლება
უგუნურებად; და თუ განზრახ მითამაშნია
უგნურის როლი, ეგ თუ იყო დაუდევრობა,
რამეთუ შედეგს არ ვნადვლობდი. და თუ ვშიშობდი
რაიმე საქმის აღსრულებას, რომლის შედეგიც
საეჭვო იყო მრავალისმხრით, არსაწადელი,
და აღსრულებას მისას სჯობდა არაღსრულება, —
ეგ იყო შიში, ბრძენკაცსაც რომ სჩვევია ხშირად.
პატიოსნებას მუდამ ახლავს ამგვარი ზადი,
საუბედუროდ. გევედრებით, ხელმწიფევ ჩემო,



მამცნოთ ყოველი, შევეჩეხო, დაე, პირისპირ
ჩემს დანაშაულს. თუ უარყოფ, უწყოდეთ მამინ,
რომ უბრალო ვარ.

ლ ე ო ნ ტ ე.

მაშ, ამბობ, რომ არა უწყი რა,
და არც გინახავს? შენს სათვალეს მინა ჰქონია
კამეჩის რქაზე უზრქელესი. არც გაგიგია,
(დღის სინათლისებრ ნათელია ოდეს ყოველი,
ხმებს რა ჩაახშობს!) — მაშ, ფიქრადაც კი არ მოგსვლია
(ვით იფიქრებდი, თუ არ გქონდა ცნობა მანამდის), —
რომ ჩემი ცოლი მე მლაღატობს? მაშ აღიარე,
ანდა უარპყავ ურცხვად, სთქვი რომ არა გაქვს თვალი,
არც ცნობისძალი, და არც ყური, ან დამეთანხმე,
რომ ჩემი ცოლი როსკიპია, და იმსახურებს
ქსელის მბეჭველი დედაკაცის სახელს, რომელიც
ნებდება საქმროს ნიშნობამდე. — სთქვი, დამეთანხმე.

კ ა მ ი ლ ო.

რომ შემესმინა მსგავსი გმობა ქალბატონისა
სხვისი პირიდან, წამითაც არ დავაყოვნებდი
შურისძიებას. გეფიცებით მარჯვენას, მეფევე,
ჯერ თუ მსმენოდეს თქვენგან სიტყვა ეგზომ უღირსი,
განმეორებაც მაგ სიტყვისა ცოდვას დიდი,
არა ნაკლები ვიდრე იგი, რაც თქვენ ახსენეთ.

ლ ე ო ნ ტ ე.

განა ჩურჩული არას ნიშნავს დარბაზობის ჟამს?
(ლაწვი ლაწვს ეკვრის, ცხვირი ცხვირთან მიუტანიათ),
არც პირზე კოცნა ნიშნავს რასმეს? არც ამოოხვრა
სიცილის შემდეგ — მიუმცდარი, ზუსტი ნიშანი
პატიოსნების დაკარგვისა? — იქნებ მხარდამხარ
ცხენის ჭენებაც არას ნიშნავს, არც კუთხეებში
ჩუმი ჩურჩული? ნატვრა ჟამის გაგრძელებისა,
თვალთ დაბრმავების, რათა შესძლონ მათმა თვალებმა
სხვისგან უჩუმრად აშიკობა! — თუ არარაა
ეგ ყოველივე, მაშ ქვეყანაც არის არარა,
ზეცა — არარა, ბოჰემიის მეფე — არარა,

ჩემი მეუღლეც არარაა, ეს ყოველივე
თუ არს არარა.

კ ა მ ი ლ ო.

განიკურნეთ, მეფეო, დროზე
მაგ სიშმაგისგან. გადიყარეთ შავი ფიქრები,
ეგ ხიფათს მოგწევთ.

ლ ე ო ნ ტ ე.

სთქვი, რომ ვამბობ ჭეშმარიტებას.

კ ა მ ი ლ ო.

ო, არა, მილორდ!

ლ ე ო ნ ტ ე.

სცრუობ, სცრუობ, კამილო, სცრუობ;
ამადაც მძულხარ. გაუთლელი ხებრე ყოფილხარ,
გონებასუსტი, უნდო მონა, ვერას მიმხვედრი,
ან მედროვე ხარ, მლიქვნელი და ფარისეველი,
ბოროტებასა და სიკეთეს უცქერ გულგრილად,
ორივესადმი ხარ მიმდრეკი. ჩემს ცოლს რომ ჰქონდეს
ღვიძლი იმგვარად მოწამლული, როგორც სიცოცხლე,
ერთ მსგეფსსაც კი ვერ გაატანდა.

კ ა მ ი ლ ო.

სთქვით, ვინ მოსწამლა?

ლ ე ო ნ ტ ე.

ვინც ყელსაბამად დაიკიდა კისერზე იგი, —
ბოჰემიისა ხელმწიფემან. მსახურნი ჩემნი
გულარძნილნი რომ არ იყვნენ და ტახტის ორგულნი,
მეფის სამსახურს რომ სახავდნენ ერთადერთ მიზნად
და არა პირად ანგარებას, — შესძლებდნენ მაშინ
ავი ქმედების ამოძირვას. — შენ, მწღევ მეფისა,
ხელშინაური რომ გაქციე წინაშემდგომად
სამეფო კარზე, — რამ დაგივსო მითხარ, თვალები?
განა ღღესავით განაცხადი არ არის, მითხარ,
ჩემი შერცხვენა? შეამზადე ამიტომ თასი,
რათა მტერს ჩემსას სამუდამო ძილი მოჰგვარო,
და გამიმთელო დაკოდილი გული.

კ ა მ ი ლ ო.

მეფეო,

მე შევძლებ ყოველს, შევამზადებ თასს შხამგარეულს,
თანდათანობით ვამოქმედებ, არა უეცრად,
ვერვინ გამიგებს, მაგრამ მარქვით, რარიგ ვირწმუნო
ჩვენი დედოფლის მოყვინება ეგზომ საზარი,
წინაშემდგომთა სათაყვანო გვირგვინოსნისა,
მე თქვენ მიყვარდით, —

ლ ე ო ნ ტ ე.

მაშ შეკითხვებიც გებადება? წარგწყმიდოს ზეცამ!
მაშ მე ვყოფილვარ ჭკუაბნელი, თავქარიანი,
რაკი ამგვარი მივუსაჯე ჩემს თავს გენა,
არად ჩავაგდე სისუფთავე ჩემივ ზეწრისა,
რომლის ლაქებსაც უფრო მძაფრი ტკივილი მოაქვთ,
ვიდრე ნარ-ეკალს, ლურსმნებს, როზგებს, მაშარს
ფუტკრისას,
ჭაბუკ უფლისწულს შევუგინე სისხლი მეფური
თუმც, შვილადა ვთვლი, მიყვარს როგორც ტახტისმტე
ჩემი, —

და არა მქონდა საბუთი რამ საყურადღებო?
შესაძლო არის გაშმაგება ეგზომ კაცისა?

კ ა მ ი ლ ო.

ჩემი ვალია დაგერწმუნოთ, სერ, აგრეცა ვიქმ
მე მოვუსწრაფებ ბოჭემიის მეფეს სიცოცხლეს,
თქვენს მეუფებას ვთხოვდი მხოლოდ, სათნო დედოფალს
ნუ შემოსწყრება, ნუ მოაკლებს სიყვარულს თვისას,
თუნდ შვილის გამო. სჯობს ავლაგმით ავი ენები
ჩვენს მოკავშირე და მეზობელ სახელმწიფოთა
სასახლეებში.

ლ ე ო ნ ტ ე.

ეგ თათბირი ჩემს აზრს დაემთხვა:
აგრე დავსახე სწორედ გეზი მოქმედებისა.
მისი სახელი არასგზით არ შეიბღალემა.

კ ა მ ი ლ ო.

მილორდ, მისმინეთ,
შეინარჩუნეთ მეგობრული, მშვიდი იერი,

დედოფალს თქვენსას და ხელმწიფეს ბოჭემიისას
კეთილმოპყრობას ნუ მოაკლებთ. მე მწლდე ვარ ვინა
და თუ სასმელი არ მივართვა შხამგარეული,
ნულარ შემრაცხავთ თქვენს მსახურად.

ლ ე ო ნ ტ ე.

კარგია, კარგი,
თუ აღასრულებ, მიჩუქნია ეს ჩემი გული
თუ არა — მაგ გულს შეგიმუსრავ.

კ ა მ ი ლ ო.

მომენდეთ, მილორდ.

ლ ე ო ნ ტ ე.

კვლავ მორჭმულ იერს ვიღებ, შენი თათბირისამებრ.
(გადის)

კ ა მ ი ლ ო.


ჰოი, საბრალო დედოფალი! მე კი რაღა ვქმნა?
რა მოვისაზრო? უნდა გავხდე მომაშთობელი
პოლიქსენისა, მეფისადმი ქვეშევრდომობა
მოითხოვს ამას. მეფე ჩვენი ებრძვის თავისთავს,
წინაშემდგომნი ამ ბრძოლაში სურს ჩაითრიოს,
ამგვარი საქმის აღსრულებას მოსდევს უცილოდ
აღზევება და თუნდ მქონოდა მაგალითები,
რომ ათასობით მირონცხებულ მეფეთა მკვლელნი
სვეს მისწევნიან, ამგვარ საქმეს არ ვიქმდი მაინც.
თუმც არ ატყვია არც პერგამენტს, არც ქვას, არც
სპილენძს,

რაიმე მსგავსი თვით სიავეც უარჰყოფს ამას.
განვერიდები სამეფო კარს, დამლუპველია
ქმნაც და არქმნაცა. ბედნიერო ვარსკვლავო, მიხსენ!
ჰა, ბოჭემიის მბრძანებელიც!
(შემოდის პოლიქსენე)

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

საოცარია!

თითქოს მომაკლეს ყურადღება, თან დამეუბრნენ! —
მივესალმები ჩემს კამილოს.



კ ა მ ი ლ ო.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.
კარზე ახალი რამ თუ ისმის?

კ ა მ ი ლ ო.

არარა, მილორდ!

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.
ხელმწიფე ფრიად დაღვრემილი მეჩვენა წელან,
აგრე იტყოდნი, დაჰკარგაო მიწა-მამული
უსარჩევესი. ესესაა, რაც შევეყარე
და შევაგებე მისალმება ჩვენთვის ჩვეული,
მან კი ანაზღად მიიბრუნა დაღრეჯით პირი,
აუცახცახდა ქვემო ბაგე მძულვარებისგან,
და გამეცალა. რა მიზეზით უნდა აიხსნას
ქცევა ამგვარი?

კ ა მ ი ლ ო.

დაფიქრებას ვერ ვბედავ, მილორდ.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.
ვერა ვბედავო? მაშ უწყი და ფიქრს ველარ ჰბედავ?
არ ძალგიძს მამცნო ჭეშმარიტი, — აგრეა ალბათ.
თავად არ ძალგიძს ამცნო შენს თავს ეგ საიდუმლო,
რაკილა ფიქრიც გემძიმება. ჩემო კამილო,
სარკეა ჩემთვის შენი სახე შეცბუნებული,
მეც ავილეწე, გარდავიქმენ, იქნებ მეცა ვარ
მიზეზი შენი გარდაქმნისა, რამეთუ ჩემით
მოხდა ყოველი.

კ ა მ ი ლ ო.

ჩვენში სენი რამ შემოიჭრა
და ერთ ჩვენთაგანს მოუშხამა წუთისოფელი,
სახელს ვერ ვიტყვი. შემომტანი თქვენა ბრძანდებით,
თუმც თვით საღი ხართ.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

როგორ, სენის შემომტანო?

აგრე გამოდის, ბასილისკოს¹ მზერა მქონია!
ჯერ არ მომიკლავს კაცი მზერით, მრავალ კაცთაგან
მომიტანია ოდენ შვება. ჩემო კამილო,
ვიცი, კაცი ხარ სიბრძნითა და სიქველით სრული,
გულთმეცნიერი, — ეგ ამშვენებს აზნაურობას,
და არა მხოლოდ სახელოვან მამათა ღვაწლი,
რომლის ძალითაც წარჩინება ეძლევათ კაცთა.
ამადაც გვედრი, საგულისხმო თუ უწყი რამე.
მამცნე დროულად, ნუ ჩაჰკეტავ მაგ საიდუმლოს
მალვით დილეგში.

კ ა მ ი ლ ო.

მე არ ძალმიძს პასუხი, მილორდ.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

სნების მომიტანი და თან საღი! საოცარია!
მიტხარ, კამილო, შეისმინე ვედრება ჩემი;
გაფიცებ ყოველს, რაც კაცობას ამშვენებს შენსას,
პატიოსნებად რასაც ვუხმობთ, — გთხოვ წმინდა გულით,
არა მზაკვრობით. მომისმინე: მაშ, შენ ამბობდი,
რომ შენის აზრით, განსაცდელი რამ უეცარი
წამომეპარა. შორს არის თუ ახლოს ვიგულო?
ვით დავადწიოთ თავი, მიტხარ, ან, თუ მოსვლად არს
ვით აჯობებდა შეგებება?

კ ა მ ი ლ ო.

სერ, მოგახსენებთ,

თუ ჭეშმარიტად მაფიცებდა, ვინც მიმაჩნია
ჭეშმარიტ კაცად. რჩევას ჩემსას ათხოვეთ ყური
და ადასრულეთ ყოველივე ჩემის თქმისამებრ
დაუყოვნებლივ. წინააღმდეგ — დალუპულნი ვართ
მეცა და თქვენცა.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

გისმენ, გისმენ, ჩემო კამილო.

¹ ზღაპრული ცხოველი, რომელიც ერთი შეხედვით ჰკლავდა
კაცს.



კ ა მ ი ლ ო.

მე დამავალეს საიდუმლოდ თქვენი მოშობა.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

ვინა, კამილო?

კ ა მ ი ლ ო.

მეფემ ჩვენმა.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

რაო, ეგ რა სთქვი?!

კ ა მ ი ლ ო.

მას მიაჩნია, — არა, სწამს, და ამტკიცებს ფიცით, მისივე ნებით გექნათ თითქოს ეგ ყოველივე, თითქოს ეხილოს, — რომ შეეხეთ თქვენ უკეთურად დედოფალს მისას.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.


დე, გაშავდეს ეგ ჩემი სისხლი, იქცეს სამსალად, მოიხსენონ სახელი ჩემი მაცხოვრის ჩვენის მიმცემელთან, ეგ თუ აგრეა! ჩირქი მომეცხოს სამუდამოდ, სიმყრალე ჩემი შეაშფოთებდეს თვით გრძნობაჩლუნგ ადამიანსაც, მიახლებსას გამირბოდნენ გარშემომყოფნი და შემიზიზღონ, ვით სახადი რამ უკეთური, დედამიწაზე არყოფილი, არგაგონილი!

კ ა მ ი ლ ო.

თუნდ დაიფიცოთ მის წინაშე ყველა ვარსკვლავი ცარგვალზე მყოფი, ზეგავლენა მათი უსაზღვრო, — ვერ დაარწმუნებთ. — უმაღლესობით ზღვა

გამოსტაცოთ

მთვარის გავლენას, ვიდრე ფიცით, ანუ თათბირით შეაგნებინებთ მას რაიმეს და მით აღმოფხვრით შედეგებს მისი სიშმაგისას, რის საფუძველიც მის რწმენაშია ფესვგამჯდარი და იარსებებს მის სიკვდილამდე.



კამილო.

არა ვიცი რა: ვგონებ, სჯობდა გავცლოდით დროზე აქაურობას, ვინემ გვეწყო მიზეზთა კვლევა. პატიოსნებას თუ ენდობით, მეფეო, ჩემსას, რასაც ამ სკივრით დავატარებ, და რაც დღეიდან თქვენთვის საწინდრად მომიცია, გთხოვთ, ამაღამვე გავუდგეთ გზასა. თქვენს მხლებლებსაც შევატყობინებ, და გავაპარებ სათითაოდ ამ ქალაქიდან იღუმალ ბჭეთა მეშვეობით. ბედ-ილბალს ჩემსას ამიერიდან თქვენ მოგანდობთ, დღეის იქით ხომ აქ გაცუდდება ჩემი ბედი. ნუ დაეჭვდებით, ვფიცავარ ჩემი წინაპრების წმინდა ღირსებას, ვამბობ სიმართლეს: თუ ისურვებთ დადასტურებას ველარ შევიცდი. თქვენ მოგელით უარესი რამ ვიდრე თანამდებს სიკვდილისას, ხელმწიფის მიერ ფიცით შერაცხულს მსჯავრდებულად.


პოლიქსენე.

მწამს შენი თქმული.

გულისთქმა სჩანდა მის სახეზე. მომეცი ხელი, მექმენ წინამძღვრად. ერთდებიან ამიერიდან ჩვენ ორთა გზანი. ხომალდებიც გველოდებიან, მზად მყავს ამაღამ, მოელოდნენ ჩემს გამგზავრებას ორი დღით ადრე. უძვირფასეს ქმნილებისათვის აღეძრა ეჭვი — რამდენადაც ის ძვირფასია, მით უფრო მძლავრი ეჭვი დაღრღნის მძლავრ პიროვნებას:

მას მიაჩნია თავისთავი შეგინებულად იმ კაცისაგან, ვისაც თავი მოჰქონდა მუდამ მეგობრად მისად, — და ამას ხომ შურისძიება მოჰყვება დიდი, ულმობელი. — შიშმა შემიბყრო. თავს დავადწევდეთ ბედნიერად! ეშველებოდეს სათნო დედოფალს, მსხვერპლს უნებურს მისი ეჭვისას და უსაფუძვლოდ მოყივნებულს. ჩემო კამილო,

მამად შეგრაძახავ, მოგენდობი ვით მშობელს ჩემსას,
თუ განმარინებ. — გავეცალოთ აქაურობას.



კ ა მ ი ლ ო.

ხელობის წესით მამარია ყველა კლიტენი
იდუმალ ბჭეთა: ვევედრები თქვენს მეუფებას,
დროს ნულარ ვკარგავთ. განვერიდოთ აქაურობას.

მოქმედება II

სურათი I — სიცილია. პალატა ლეონტეს სასახლეში.
შემოდინ — ჰერმიონე, მამილიუს და სეფექალი.

ჰერმიონე.

გთხოვთ მომაშოროთ ეს ყმაწვილი, მაწუხებს ფრიად,
აღარ მასვენებს.

პირველი სეფექალი.

გამომყევით, ძვირფასო მილორდ,
არ გსურთ გართობა ჩემთან ერთად?

მამილიუს.

არა მსურს, არა.

პირველი სეფექალი. რადაო, მილორდ?

მამილიუს.

თქვენ ვნებიანად მკოცნით ხოლმე, თანაც ბალღად

ლაპარაკისას. მე მიყვარხართ უფრო ძლიერად.

მეორე სეფექალი. მითხარით, რისთვის მეუფეო?

მამილიუს.

მე თქვენ მიყვარხართ,



განა წარბეების სიშავისთვის, თუმცა კი ამბობენ,
შავი წარბები უხდებაო ქალს. მომშვილდული,
ხშირი წარბები ქალს არ შვენის, უმჯობესია
ნახევარმთვარის მსგავსად ჰქონდეს გამოყვანილი.

მეორე სეფექალი. ეგ ვინ გასწავლათ?

მამილიუს.

ვაკვირდები ქალთა სახეებს
და თავათ ვასკვნი. თქვენ, წარბები რა ფერისა გაქვთ?

პირველი სეფექალი. ლურჯი, უფალო!

მამილიუს.

აჰ, ნუ ხუმრობთ. ხშირად მინახავს
ლურჯი ცხვირები ქალთ სახეზე, არა წარბები.

პირველი სეფექალი.

მრგვალდება ჩვენი დედოფალი უფრო და უფრო,
ალბათ ახალი სეფეწულის ხლება მოგვიწევს
სულ მალე, — მაშინ მოისურვებთ ჩვენთან ცელქობას,
თუ გაგიკარეთ.

მეორე სეფექალი.

ჰო, ბოლოყამს მართლაც დასრულდა
იგი უზომოდ. შეეწიოს უამი კეთილი!

ჰერმონე.

რას ჩურჩულებდით? სერ მობრძანდით, მომიახლოვდით.
კვლავ მოვიცალე, მილორდ, თქვენთვის, დაბრძანდით
ჩემთან

და სთქვით ზღაპარი.

მამილიუს.

მხიარული თუ სევდიანი?

ჰერმონე.

ვსთქვით მხიარული.



მამილიუს.

სევდიანი სჯობს ზამთრისათვის. მე მახსოვს
აჩრდილების და ალებისა.

ჰერმიონე.

ეგ მომიყევით.

მობრძანდით აქეთ, დაბრძანდით და სცადეთ
ყოველმხრივ
მაგ აჩრდილებით შიშის მოგვრა ჩემთვის, ჩვეულად.

მამილიუს.

ცხოვრობდა თურმე...

ჰერმიონე.

მოდით დავსხდეთ, აგრე აჯობებს.

მამილიუს.

სასაფლაოზე ერთი კაცი. — ჩუმად მოვყვები
ჭრიჭინებმა¹ არ გაიგონონ.

ჰერმიონე.

მაშ, განაგრძეთ, ყურში მითხარით.

(შემოდინან ლეონტე, ანტიგონე, დიდებულნი და სხვ.)

ლეონტე.

მაშ შეეყარეთ? ამალითურთ? კამილოც ახლდა?

პირველი დიდებული.

ნაძვნარის პირად მიმავალნი შემომხვდნენ, მეფევ,
ჩქარობდნენ დიდად. გავაყოლე თვალი და ვნახე,
ჩასხდნენ თავიანთ ხომალდებში.

ლეონტე.

რარიგ ვნეტარებ,

რაკი ალლო და უნდობლობა გამართლდა ჩემი!

აჰ, არ მცოდნოდა ეგოდენი! აჰ, რა წყევლაა

მაგგვარ ცოდნაში! ობობა რომ ჩავარდეს თასში,

და გაიჟღინთოს, შემდეგ შესვას კაცმა სასმელი

¹. მამილიუსი ჭრიჭინებს უწოდებს სეფექალებს.



და არა ევნოს შხამისაგან, რამეთუ თავად
 არა უწყის რა, და უეცრად რომ შეამჩნიოს
 სასმისში ეგზომ შემზარავი არსება თვალმა,
 გაეხირობა ყელში ღვინო, კრუნჩხვით შეიძვრის,
 კაცის სხეული! მე შევსვი და ობობაც ვნახე.
 კამილო მისი შემწე იყო და მაჭანკალი,
 ემუქრებოდნენ ჩემს გვირგვინს და სიცოცხლეს ჩემსას.
 გამართლდა ჩემი უნდობლობა — ეგ ბილწი მონა
 მე მმსახურებდა, შემდეგ გახდა მისი მსახური,
 მან გასთქვა ჩემნი განზრახვანი და გამაცრუა.
 მათთვის სამასხროდ შევიქმენ და სიცილის საგნად.
 სთქვით, რარიგ დახსნეს საიდუმლო კარიბჭეები
 აგრე იოლად?

პ ი რ ვ ე ლ ი დ ი დ ე ბ უ ლ ი .

უფლებები ჰქონდა კამილოს,
 რომელნიც ხშირად სჭრიდნენ ხოლმე არანაკლებად,
 ვიდრე ბრძანება ხელმწიფისა.

ლ ე ო ნ ტ ე .

ვუწყის ყოველი.

(დედოფლისადმი) მომგვარეთ ბაღი, მადლობა ღმერთს
 არ აღგიზრდიათ,
 თუმც მე ჩამომგავს, მაინც თქვენი სისხლიც სჩქევს მასში
 საუბედუროდ.

ჰ ე რ მ ი ო ნ ე .

ეგ რას ნიშნავს, ოხუნჯობაა?


ლ ე ო ნ ტ ე .

არ გააკაროთ მას ყმაწვილი, მსწრაფლ განარიდეთ
 აქაურობას. ეთამაშეთ უმჯობესია
 თქვენს ახალ პირმშოს, პოლიქსენეს დანატოვარსა,
 ვინაც დაგტვირთათ ეგრერიგად.

ჰ ე რ მ ი ო ნ ე .

არ ამბობთ მართალს,

დავიფიცებდი, რომ თქვენ გჯერათ თქვენივე შეცდომის,
 საპირისპიროს თუმც ამტკიცებთ.



ლ ე ო ნ ტ ე.

წინაშემდგომნო!

შეავლეთ მზერა, დააკვირდით, და თუ აღმოსთქვამთ, „პირმშვენიერი არის მართლაც“, — დაუყოვნებლივ გულისა თქვენის სამართალი დასძენს უცილოდ:

„ბრალთა მხოლოდ რომ არ არის პატიოსანი“.

ხოტბას შეასხამთ ამ გარეგნულ სიტუარფეს მისას, რაც, ჭეშმარიტად, იმსახურებს სიტყვას ქებისას, და დასძენთ ალბათ შორისდებულს „ო“-ს, „ჰაის“

მსგავსა,

ცილისწამებას რომ სჩვევია — ოჰ, უკაცრავად, სიბრალულსა-თქო, უნდა მეთქვა — ცილისწამება ხომ ხეველესაც თათბავს ხშირად! შორისდებული დაგცდებათ ალბათ, ოდეს იტყვით: „მშვენიერია“ სანამ იტყოდეთ: „თან უმანკო“, მაგრამ უწყოდეთ, თუმც მემძიმება თქმა ამისა ყველაზე ძლიერ: მრუშია იგი!

ჰ ე რ მ ი ო ნ ე.

არამზადას ეთქვა მსგავსი რამ თვით უსაძაგლესს არამზადას მთელს ქვეყანაზე, შეიმატებდა უხამსობას. თქვენ კი, მეფეო, სცდებით მარტოდენ.

ლ ე ო ნ ტ ე.

თავად სცდებით და ველარ არჩევთ ლეონტესაგან პოლიქსენეს: ჰოი, არსებავ! მე არ შეგარქმევ იმგვარ სახელს, რაიც შეგფერის, რათა ბრბოს თვალში მაგალითად არ შევირაცხო მსგავსი სიტყვების ხმარებაში, — სავალალოა, როს წარიშლება განსხვავება ქცევისმიერი მკოდოვანსა და მეფეს შორის. მე თქვენ გითხარით მრუშია-მეთქი, იგიცა ვთქვი, ვისთან მრუშობდა, მოღალატეა ამავე დროს, თანამზრახველი თვით კამილოსი, ვინც უწყოდა გამოწვლილვითა სირცხვილი თქვენის დედოფლისა, რის გაფიქრებაც თავად დედოფალს მოაყივნებს; ეს კი აღმოჩნდა

შემგინებელი სარეცლისა, ვისაც ბრბოს ენა
ეგზომ უკეთურ სახელს არქმევს. ამ ბოლო საქმის
ხელისშემწყობი არის თანაც.

ჰერმონე.

ვფიცავარ ზეცას

არა ვიცი რა: მომავალში რარიგ დაირცხვენთ,
რომ აგრერიგად მომაყივნეთ, ოდეს, ეგ საქმე
ჟამთა მსვლელობით გაირკვევა, ხელმწიფევე ჩემო!
თუმც ჩემს გულს რაღა გაამრთელებს, რომც აღიაროთ
„შევცდიო დიდად“.

ლონტე.

არასოდეს. და თუ ვცდებოდე
იმ წანამძღვრებში, რომელთაც მე დავეყრდენ მტკიცედ,
დედამიწის ბირთვის ვერ უტვირთავს ბაღლის ბზრიალა,
შეგირდი ბაღლის! — გაამწესეთ საპყრობილეში!
შის დასაცავად ვინც კრინტს დასძრავს, თანამდებია
სიტყვისთვის ოდენ.

ჰერმონე.

ალბათ მეფობს მავნე ცთომილი,
სჯობს ჭირთა თმობა, სანამ ზეცა წყალობას თვისას
მოავლენს ჩვენზე. — თქვენ მოგმართავთ,
წინაშემდგომნო,
მე ჩემი სქესის კვალობაზე როდი მიჩვევია
მოთქმა-ვაება; არდადენამ ამაო ცვართა
იქნებ დაშრიტოს სიბრალული თქვენში ანაზღად,
მაგრამ უწყოდეთ, ჭმუნვის ცეცხლი მილადრავს გულსა,
ცრემლთ უარესი. გევედრებით, უფალნო ჩემნო,
გულმოწყალების თქვენისამებრ საჯეთ ყოველი,
ამწონ-დამწონეთ, — დე, ამრიგად აღსრულდებოდეს
ხელმწიფის ნება!

ლონტე.

(მხლებლებისადმი) აღასრულეთ ბრძანება ჩემი!

ჰერმონე.

ვინ გავიყოლო? ვევედრები თქვენს მეუფებას



მაახლოს ჩემნი სეფექალნი. ცხადია, ვგონებ, რომ ჩემი ჭმუნვა ითხოვს ამას. ნუ სტირით, რა საბაბი გაქვთ? ჯერ დარწმუნდით, რომ დედოფალი დაიმსახურა საპყრობილე. შემდეგ მიგლოვით. წინარე უამთა. ამჟამად კი მივეშურები, რომ განვაჩინო სამართალი. მშვიდობით, მეფევ, აროდეს მსურდა თქვენი ჭმუნვა, აწ კი უცილოდ განახავთ მჭმუნვარეს. სეფექალნო, თან გამომყევით.

ლ ე ო ნ ტ ე.

აბა, საჩქაროდ, ნუ აყოვნებთ!

(გადიან ჰერმიონე, სეფექალნი და მცველნი).

პ ი რ ვ ე ლ ი დ ი დ ე ბ უ ლ ი.

გთხოვთ, უკუიხმოთ დედოფალი, მეფევ ბატონო!

ა ნ ტ ი გ ო ნ ე.

სერ, დაუფიქრდით, სამართალი არ გადაიქცეს ძალმომრეობად, რომლის მსხვერპლნიც თქვენვე გახდებით.

დედოფალი და წული თქვენნი.

პ ი რ ვ ე ლ ი დ ი დ ე ბ უ ლ ი.

ხელმწიფევ ჩემო,

თუ დამენდობით, შემოგწირავთ სიცოცხლეს ჩემსას, როგორც საწინდარს, რომ დედოფალს არა აქვს ბრალი არც ღვთის წინაშე, არც თქვენს თვალში, თუ

ვიგულისხმებთ

ბრალდებას თქვენსას.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე.

რომ დამტკიცდეს ეგ ყოველივე.

ჩემს საწოლ დარბაზს ბოსლად ვაქცევ და ცოლთან

ერთად

უღელს შევიდგამ პირუტყვივით, რათა ყოველწამს

ვუჭვრეტდე მას და განვიცდიდე მის სიახლოვეს.

აღარ ვენდობი, რაკი ქვეყნად ყოველი ქალი,

განა თუ ქალი, თითო გოჯიც ქალის სხეულის

ყალბი ყოფილა, დედოფალი თუ არის ყალბი.



ლ ე ო ნ ტ ე.

იყუჩეთ-მეთქი.

პ ი რ ვ ე ლ ი დ ი დ ე ბ უ ლ ი.

მომისმინეთ, ძვირფასო მილორდ, —

ა ნ ტ ი გ ო ნ ე.

მეფეო, თქვენთვის მოგახსენებთ, და არა ჩვენთვის,
უთუოდ ვინმე მეხვანჯეა თქვენი შემცდენი,
ღირსი წყევლისა, რომ მცნობოდა ეგ არამზადა,
გავაძევებდი სამუდამოდ. ეგ რომ დამტკიცდეს,
სამი ქალი მყავს, შეუსრულდა უფროსს თერთმეტი,
შუათანას ცხრა, უმრწემესი ხუთი წლისაა,
ეგ რომ დამტკიცდეს, დავაბერწებ სამთავეს, ვფიცავ,
ვერ მიაღწევენ თოთხმეტ წლამდის, რათა ქვეყანას
შესძინონ ყალბნი თაობანი; მემკვიდრეთ ჩემთა
კეთილნი ძენი თუ არ მიშვეს, სჯობს გადავიქცე
თვით საჭურისად.

ლ ე ო ნ ტ ე.

კმარაჲმეთქი, ნულარ მარწმუნებთ.

ამ საქმის ორანს ვერ დასუნთქავს ეგ თქვენი ცხვირი,
თუნდ მკვდრის ყოფილა და თუნდ თქვენი. მე კი
ვგრძნობ კარგად
როგორც შენა გრძნობ ამ შეხებას და სჭვრეტ
ხელსაწყოს,
ამ შეხებისას.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე.

თუ აგრეა მეფევ ბატონო,

უმანკოების არ მოგვიწევს დასაფლავება
მისხალსაც ვერსად ვბოვებთ მისას, რათა შევამკოთ
ეგ თვალხენეში დედამიწა.

ლ ე ო ნ ტ ე.

აღარც მენდობით?

პ ი რ ვ ე ლ ი დ ი დ ე ბ უ ლ ი.

სჯობს თქვენ დაჰკარგოთ, მილორდ, ნდობა, ვიდრე
თუნდაც მე,
ამ შემთხვევაში. რარიგ ვიშვებ, თუ გამართლდება

დედოფალი და გამტყუნდება მით თქვენი ეჭვი,
თუნდაც შემრისხოთ ამ სიტყვისთვის.



ლ ე ო ნ ტ ე.

აჰ, რად დამჭირდა

თქვენთან ბაასი ამ საქმისთვის, არ მიჯობს განა
ვენდო ჩემს ზრახვას? ხელმწიფობა როდი გულისხმობს
თათბირთა სმენას, — ბუნებრივი სიქველე ჩემი
მკარნახობს ყოველს, თქვენ დაგეხმოთ, სჩანს,

გულისყური,

ან სახიობით თუ იქმთ მაგას, — არ ძალგიძთ, არ გსურთ,
ჭეშმარიტების ათვისება ჩემს კვალობაზე,
ამადაც აღარ ვსაჭიროებ თათბირს დღეიდან,
ვნებას, სარგებელს, აღსრულებას ამა საქმისას,
მე თვითონა ვზღავ.

ან ტ ი გ ო ნ ე.

აჯობებდა, მეფევ ბატონო,

ფარული ბჭობა გაგემართათ წინაშემდგომთა,
გახმაურება არ ვარგოდა.

ლ ე ო ნ ტ ე.

ვით იქნებოდა?

სჩანს, სიბერისგან შლეგადქმნილხარ, ან დაბადებით
თუ ხარ რეგვენი. დაუფიქრდი: კამილოს ამბავს
ზედ ერთვის მათი სიახლოვე დაუშვებელი,
ეგზომ უხეში, მიმხვედრთათვის იოლსაცნობი,
უტყუარ საბუთს თუ დაარქმევ თვალნათლივ ხილვას
ბილწი საქმისას, — ეგ აკლია, სხვა არაფერი;
რომ საბოლოოდ ირწმუნო და შეიქმნა აზრი.
თუმც საფრთხილოა სულსწრაფობა მაგგვარ საქმეში,
და რამდენადაც განმტკიცება სჭირდება რწმენას,
უკვე ვაფრინე მალემსრბოლნი წმინდა დელფოში,
აპოლოს ტაძარს ეწვევიან სამოციქულოდ
კლეომენესი და დიონე, რომელთაც იცნობთ
სარწმუნო ხალხად: განგვიცხადებს სამისნო თავათ
ჭეშმარიტებას. ეგ თათბირი სულისმიერი
ან შემაკავებს, ან დეზსა მკრავს. ცუდი ვქმენ, განა?

პირველი დიდებული.

ჭეშმარიტად კარგი გიქნიათ.



ლ ე ო ნ ტ ე.

თავად კმაყოფილს არას შემძენს ცნობა მეტისა,
ვიდრე მე ვუწყი. ეგ წინათქმა გულს დაუმშვიდებს
სხვა გარეშემყოფთ, დააწყნარებს გონებას მათსას,
ვისი ბრყვეული უნდობლობაც ვერ ეზიარა
ჭეშმარიტებას. ამასთანვე ვარჩიეთ ჩვენა,
თვალს განვარდოთ დედოფალი, დავატუსალოთ,
რათა ღალატი წარლტოლვილთა არ განმეორდეს
მისი გაქცევით. გამომყევით აწ ორივენი,
საჯაროდ უნდა განვაცხადოთ ეგ ყოველივე,
დიდი და მცირე მით აღიძვრის.

ან ტ ი გ ო ნ ე.

(თავისთვის)

სიცილი გველის.

ჭეშმარიტება თუ გაირკვა.

ს უ რ ა თ ი II. სიცილია. წინა ოთახი საპყრობილეში.
შემოდის პოლინა, აზნაური და მხლებელნი.

პ ო ლ ი ნ ა.

ზედამდგომს უხმეთ, აზნაურო, ამ დილეგისას.

ამცნეთ ვინცა ვარ. (გადის აზნაური)

დედოფალო უსათნოესო,

საშენო კარი ევროპაში არ იპოვება

დილეგის ღირსად ვინ გაგხადა!

(შემოდინან აზნაური და ზედამდგომი)

სერ, მომისმინეთ.

მე რარიგ მიცნობთ?


ზ ე დ ა მ დ გ ო მ ი.

ვითა ღირსეულ მანდილოსანს და პატივსაცემს.

პ ო ლ ი ნ ა.

გვედრები, მომაპყარ ყური:

ჩვენს დედოფალთან შემიძეხი.



ზ ე დ ა მ დ გ ო მ ი.

მეფის ბრძანებას ვერ გარდუვალ.

პ ო ლ ი ნ ა.

საოცარია,

პატიოსნება დაამწყვდიო საპყრობილეში,
კეთილ მნახველთაც მოარიდო! — შესაძლო თუა
მის სეფექალთან საუბარი, ემილიასთან?

ზ ე დ ა მ დ გ ო მ ი.

თუ თქვენ ინებებთ
თქვენთა მხლებელთა დათხოვნას და მარტო დარჩენას,
უმალვე მოგგვრით ემილიას.

პ ო ლ ი ნ ა.

მაშ, უხმეთ სწრაფად.

თქვენ კი მიბრძანდით.
(გადიან აზნაური და მხლებელნი).

ზ ე დ ა მ დ გ ო მ ი.

ქალბატონო, თქვენის ნებართვით
უნდა დავესწრო თქვენს საუბარს, თუ არ შემრისხავთ.

პ ო ლ ი ნ ა.

დე, იყოს აგრე.
რარიგ ცდილობენ მოგაჩვენონ სიწმინდე ლაქად,
ლამის ირწმუნო.

(შემოდიან ზედამდგომი და ემილია).

ოჰ, სალამი, ჩემო ძვირფასო,

რასა იქმს ჩვენი დედოფალი?

ე მ ი ლ ი ა.

რას უნდა იქმდეს

ეგზომ ქველი და თანაც ეგზომ მოყივნებული?

დაზაფრულია, შიშისა და ჭმუნვის დათმობა

ქალურ სინაზეს როდი ძალუძს ესდენ უზომოდ, —

იმშობიარა დროზე ადრე, საბრალო ქალმა.



პოლინა.

ბიჭი ეყოლა?

ემილია.

არა ქალი; კარგი ბაღია,
ფრიად ცოცხალი. ნუგეშია დედოფლისათვის,
შვების მომგვრელი. ეუბნება: „საბრალო ტყვეო,
უცოდველი ვარ მეც შენსავით“.

პოლინა.

აგრეა, ვფიცავ!

წყეულიმც იყოს ეგ სიშმაგე ჩვენი მეფისა!
ეგ უნდა ვამცნოთ უსათუოდ; აღსრულება კი
ქალს უფრო ჰშვენის ამ საქმისა, მე აღვასრულებ.
ენა-ტკბილობა თუ დავიწყო, გამიხმეს ენა,
მძვინვარებისა ჩემის ალი ნუღარც ყოფილა
მძლავრი დაფდაფი. — გევედრები, ჩემო ძვირფასო,
დაუმოწმებდე ჩვენს დედოფალს ჩემს ერთგულებას,
თუ მომანდობდა პაწაწინას მცირედის ჟამით,
მეფეს მივგვრიდი ყრმას თვისას და აღვიმალლებდი
ხმას მის წინაშე. არვინ უწყის, იქნებ ანაზდად
მოლბეს ხელმწიფე უცოდველი ბაღლის მხილველი,
უმანკოების უთქმელობა ხშირად უფრო სჭრის,
ვიდრე სიმჭევრე.

ემილია.

ქალბატონო უსათნოესო,
პატიოსნება და სიქველე თქვენი უზომო
მაგვარ საქმეში წარმატების საწინდარია.
მანდილოსანი თუ იქნება ნეტავ ამქვეყნად,
თქვენებრ შესძლებდეს მოგვარებას ამა საქმისას,
და თუ შეიცდით მცირეოდენს, მოვახსენებდი
დედოფალს ესდენ კეთილშობილ განზრახვას თქვენსას,
მას თავად ჰქონდა ეგ განზრახვა სწორედ ამ დილით,
მაგრამ რატომღაც ვერ შეჰბედა წინაშემდგომთა,
უარის თქმას თუ მოელოდა.

პოლინა.

ენამჭევრობა თუ დავზოგო, დამაკლდეს სიბრძნე,
ან შემართებამ თუ მიმტყუნოს ნულარ მიგულებით
ქველის მოქმედად.

ემილია.

მოიწიოს თქვენზე კურთხევა!

მივეშურები დედოფალთან, მომიახლოვდით.

ზედამდგომი.

თუ დედოფალი მოისურვებს ყრმის გამოგზავნას,
ვერ გამოგატანთ, მაგდაგვარი არ გვაქვს ბრძანება,
სასჯელი მულის გარდუვალი.

პოლინა.

სერ, ნუ შეკრთებით,

ბალღი, საშოში ტყვედ ნამყოფი, განთავისუფლდა
დედა-ბუნების უქცეველი სჯულით და წესით,
ბორკილებშეხსნილს აბა მარქვით, რა ესაქმება
მეფის რისხვასთან, ან დედოფლის დანაშაულთან,
(თუ რამ მიუძღვის ჩვენს დედოფალს ბრალი

ამქვეყნად)?

ზედამდგომი.

მწამს, რომ აგრეა.

პოლინა.

ნუ შეშფოთდებით, გეფიცებით პატიოსნებას,
მე დაგიფარავთ საფრთხისაგან.

(გადიან)

სურათი III. სიცილია. სრაპალატა სასახლეში.

შემოდინ ლეონტე, ანტიგონე, დიდებულნი და მხლებელნი.

ლეონტე.

დღისით თუ ღამით ვიგვემები. სიძაბუნეა
ეგზომ ღრმად განცდა ამ ამბისა, სისუსტე კრული.
მოვსპო მიზეზი — ნაწილია მაგ მიზეზისა



მრუში დიაცი. ხელმწიფეს ხომ ვერ მოვახელებ
 მრუშობის ჩამდენს, ვერც გონება მისწვდება ჩემი
 სამყოფლოს მისას. — დედოფალი კი ჩემს ხელთაა,
 დროზე შევიპყარ. დროულად სჯობს მისი მოშობა,
 კოცონზე დაწვა: ნაწილობრივ დამიბრუნდება,
 ალბათ, სიმშვიდე. ჰეი, ვინ ხარ?

პ ი რ ვ ე ლ ი მ ხ ლ ე ბ ე ლ ი .

ვახლავართ მეფეს.

ლ ე ო ნ ტ ე .
 ბალლი რასა იქმს?

პ ი რ ვ ე ლ ი მ ხ ლ ე ბ ე ლ ი .

წუხელ თითქოს მშვიდად ეძინა.

განიკურნება, ალბათ, მალე.

ლ ე ო ნ ტ ე .

შეხეთ სიქველეს ყმაწვილისას!
 დედის შერცხვენა რა შეიტყო ენითუთქმელი,
 ანაზდეულად შეღონება წამოეძალა,
 ეგ მოყივნება განიცადა ვით საკუთარი,
 ძილი დაჰკარგა, სასმელ-საჭმელს აღარ იკარებს,
 დაზაფრულია. — გამეცალე, მარტო დამტოვე,
 მიხედე ყმაწვილს
 (მხლებელი გადის).

არა, არა, ფიქრიც არ არის,

შურისძიება მაგდაგვარი არ შეიძლება,
 ფიქრიც არ არის: ძლიერია საკმაოდ იგი,
 მოკავშირენიც ჭარბად უვის, სჯობს დაველოდო
 ხელსაყრელ ჟამსა, ამჯერად კი შურისძიება
 თავს დავატეხო მოლაღატეს. თუ იცინიან
 პოლიქსენესი და კამილო ნეტავ ამყამად!
 გამისხლტნენ, თორემ ვანანებდი სიცილს ორთავეს,
 ვერც დედოფალი გაიცინებს ამიერიდან.
 (შემოდის პოლინა ბალლითურთ).

პ ი რ ვ ე ლ ი დ ი დ ე ბ უ ლ ი .
 მანდ ვერ შეგიშვებთ.

პოლინა.

დიდებულნო, გთხოვთ თქვენთვის: ტირანის რისხვით ზარგანხდილნი რად აღარ წაღველობთ სიცოცხლეს ჩვენი დედოფლისას? უმანკო სული იჭვიანობის მსხვერპლადქმნილი არ გებრალებათ?

ანტიგონე.

საკმარისია.

მეორე დიდებული.

მადამ, წუხელ არ სძინებია, გვიბრძანა, არვინ მოუშვათო.

პოლინა.

ნუ ცხარობთ, მილორდ; ძილის კურნება მომაქვს სწორედ. თქვენის მწეობით — აჩრდილებსავით რომ რიალებთ მეფის გარშემო, უსაგნო რისხვას უჩუმდებით — თქვენის მწეობით განუკრთა ძილი ჩვენს ხელმწიფეს — მე კი თან მომაქვს კურნების სიტყვა ჭეშმარიტი, და ეგ უწყოდეთ სიქველე ჩემი განუფანტავს უგუნებობას და მოჭგვრის ძილსა.

ლეონტე.

რა ღრიანცელი შეგიქმნიათ?

პოლინა.

არარა, მილორდ; ვართ თათბირთა გასაგებელად, რათა ნათლია შევურჩიოთ თქვენს ხელმწიფებას.

ლეონტე.

მაგ თავხედ დიაცს რა სურს ჩემგან? — შენ, ანტიგონევ, განა არ გითხარ, დედაკაცი ალაგმე-მეთქი? აგრეც ვიცოდი!

ანტიგონე.

გავაფრთხილე, მეფევ ბატონო, განრისხდება-თქო შენი მისვლით ხელმწიფე დიდად, თან გავუწყერი —



ლ ე ო ნ ტ ე.

რაო, დიაცს ვერ შორევიხარ?

პ ო ლ ი ნ ა.

მომერეოდა, რომ შეეტყო უკეთურება
ჩემს საქციელში. ამჟამად კი სჯობს ჩამამწყვდიოს
სატუსაღოში მართლის თქმისთვის, თქვენს კვალობაზე,
თორემ ვერასგზით დამადუმებს.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე.

გესმით თუ არა?

ოდეს სადავეს წარიტაცებს, მივუშვებ ხოლმე,
წაბორძიებას არჩევულის.

პ ო ლ ი ნ ა.

მეფევ ბატონო!

ვედრება ჩემი შეისმინე, ვაცხადებ ჩემს თავს
შენს უერთგულეს ქვეშევრდომად, მკურნალად თანაც.
თათბირი ჩემი ყურად იხვენ, თუმც ჩამოვრჩები
სხვა მრჩევლებს შენსას, მლიქვნელობით რომ

გიმძაფრებენ

უჯერო ზრახვებს — უსათნოეს დედოფლისაგან
ვარ მოვლენილი.

ლ ე ო ნ ტ ე.

დედოფალი — უსათნოესი?!

პ ო ლ ი ნ ა.

უსათნოესი, ხელმწიფეო, უსათნოესი,
დავამოწმებდი ორთაბრძოლით, რომ ვიყო მამრი
უძაბუნესი ამათ შორის.

ლ ე ო ნ ტ ე.

გაბაწრეთ ახლავ!

პ ო ლ ი ნ ა.

მომიახლოვდეს, ვისაც თავი მოსძულებია.
მე თავად წავალ, აღვასრულებ ოდეს ჩემს საქმეს,
სამოციქულოს — დედოფალმა უსათნოესმა
გიშვათ ასული თვისისაებრ სათნოებისა,
უნდა დალოცოთ, ხელმწიფეო!
(ძირს დააწვენს ბაღს).



ლ ე ო ნ ტ ე.

ეგ კუდიანი განმაშორეთ დაუყოვნებლივ,
ეგ უნამუსო მაჭანკალი!

პ ო ლ ი ნ ა.

იყუჩე მეფევ!

არ მემარჯვება მაჭანკლობა, ისე როგორც თქვენ
არ გემარჯვებათ ამოცნობა კაცთა ბუნების.
ჩემი სიკეთე ტოლფასია თქვენი სიშლეგის
და ეგ მეყოფა სამუდამოდ.

ლ ე ო ნ ტ ე.

მოლალატენო!

რად არ აძევებთ? მიაქვავეთ უკანვე ბუში,
(ანტიგონესადმი): ჭკუანაკლულო ბერიკაცო, კაპასმა
კრუხმა

ვით შეგაშინა? წამოავლე ნაბუშარს ხელი
და დაუბრუნე შენს დედაბერს.

პ ო ლ ი ნ ა.

სამარადისოდ

კრულნიმც ყოფილან ეგ ხელები, თუ შეჭხებიხარ
ასულს მეფისას, — უდიერად რახან ახსენა
იგი ხელმწიფემ —

ლ ე ო ნ ტ ე.

აცახცახდა ცოლის წინაშე.

პ ო ლ ი ნ ა.

მეუღლისა რომ გშინებოდათ, აღარ ჩასთვლიდით
საკუთარ ასულს ნაბუშარად.

ლ ე ო ნ ტ ე.

გამცემთა ბუდე!

ანტიგონე.

თქვენმა მზემ, არ ვარ მოლალატე.

პ ო ლ ი ნ ა.

არც მე ვარ, არც სხვა,



ეგ თავადაა მოღალატე საკუთარ თავის,
 ცილი დასწამა საკუთარ თავს, ცოლსა და შვილსა,
 პაწიას თვისას ახალშობილს, უცოდველს ჯერაც,
 ხმალზე ძლიერ სჭრის ხშირად მსგავსი ცილისწამება,
 უბედურებაც ის არის, რომ ვერასგზით შესძლებ
 მის დარწმუნებას — ვერაოდეს ვერ ამოძირავ
 ძირფესვიანად მის გახრწნილ ფიქრს, ისევე გახრწნილს,
 როგორც საღია ქვა და მუხა.

ლ ე ო ნ ტ ე.

ოჰ, ეს აშარი,

ენაქართალა დედაკაცი სახლში ქმარსა სცემს,
 ახლა კი ჩემი მოლორება მოიწადინა!
 არად მჭირდება ნაბიჭვარი პოლიქსენესი
 მომწყდეს თვალთაგან, ეგ დიაციც გაბაწრეთ ჩქარა,
 კოცონზე დასწვით ორივენი!

პ ო ლ ი ნ ა.

ბავშვი თქვენია,

იმდენადა გგავთ, რომ ანდაზას მაგონებს ძველსა:
 „მსგავსება მეტისმეტიაო“ — ჰე დიდებულნო!
 ხომ წვრილად არის დაბეჭდილი, მაგრამ შიგთავსით
 მთლად ასლი გახლავთ ლეონტესი — ცხვირი, ტუჩები,
 წარბშეკრულობა, შუბლი მისი, თუნდაც ეგ ღრმული
 ფაფუკ ნიკაპზე, თუნდ ლაწვეები, თუნდაც ღიმილი,
 სათუთი ხელი, ეს ფრჩხილები, და ეს თითები
 ჰოი ქალღმერთო მადლიანო, დედაბუნებავ!
 რაკი ეგოდენ მიამსგავსე ეგ ბალღი მამას,
 უკეთუ ძალგის მომადლება ცნობიერების,
 ყვითელ ფერს¹ ნულარ გამოუტრევ, რომ არ დაეჭვდეს
 საკუთარ ქმარზე მომავალში.

ლ ე ო ნ ტ ე.

ბილწო ჯადეგო!

(ანტიგონესადმი) სახრჩობელაა, არამზადავ შენი
 წამალი,
 რომ არ აღუმებ მაგ ყიამყრალს.



ანტიგონე.

ყველა, ვინც ვერ იქმს მაგ გმირობას, დიდო მეფეო, უქვეშევრდომოდ დაგვირჩიებით.

ლეონტე.

გამშორდეს მალე!

პოლინა.

უგულარძნილესს მეუღლესაც არ შეშვენოდა საქმე მაგგვარი.

ლეონტე.

ცოცხლად დაგწვავ!

პოლინა.

არ ვნაღვლობ, არა, თავად იგია მწვალებელი, ვინც ხალხს ცეცხლზე სწვავს, და არა იგი, ვისაც სწვავენ. არ გიხმობთ „ტირანს“, მაგრამ ეგ თქვენი სისასტიკე დედოფლის მიმართ, თქვენი გონების დაბნელებით გამოწვეული უღვთო ბრალდება — ტირანიის ელფერს ატარებს, თქვენს პიროვნებას ეგ დაამჩნევს წარუშლელ ლაქას მოყივნებისას.

ლეონტე.

საპატრონუმო პირობის ძალით:

ალაგმე ეხლავ! ვყოფილიყავ ტირანი მართლაც, შევანანებდი სამუდამოდ. ვერც გაბედავდა ჩემთვის წოდებას „ტირანისას“. აბა, გამშორდით!

პოლინა.

ნუ გამაძევებთ, გევედრებით, მე თავად წავალ, მიხედეთ ამ ბაღს ხელმწიფეო, იგი თქვენია, ზეესმა მოჰმადლოს თქვენზე მეტად საღი გონება. თქვენ კი მაგგვარი უხერხემლო ნებისდაყოლით მხოლოდ ზიანს თუ შეჰყრით მეფეს, კარგად იცოდეთ. აბა, ნახვამდის, გაგეცალეთ. მშვიდობით გნახეთ!

(გადის)



ლ ე ო ნ ტ ე.

შენ დაარბე, მოლალატე, ეგ კუდიანი!
ჩემი ბავშვიო? განმაშორეთ! შენვე გავალებ
ვისაც ეგოდენ შეგტკიოდა ბუშისთვის გული, —
წაიყვანო და შენის ხელით დასწვა კოცონზე.
შენ, დიახ, შენა, სხვას არავის. დაავლე ხელი
და ერთ საათში მომიტანე უკან ამბავი,
თან საბუთი რამ მოაყოლე — თორემ მოგაშობ
და ყოველივეს წარვიხმ შენსას. უარზე თუ ხარ,
მარქვი პირდაპირ, შეაგებე ჩემს რისხვას შუბლი!
თავს გავუჭეჭყავ ამ ნაბუშარს, ტვინს ამოვუღებ
ჩემივე ხელით! შენვე დასწვავ დღესვე კოცონზე,
რაკი აპყევი შენს როკაპ ცოლს.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე.

სცდებით, მეფეო,

კეთილშობილნი დიდებულნი დამიმოწმებენ
რომ უბრალო ვარ.

პ ი რ ვ ე ლ ი დ ი დ ე ბ უ ლ ი.

ჭეშმარიტად, მეფევ ბატონო,

ბრალი არ უძევს ანტიგონეს მის აქ მოსვლაში.

ლ ე ო ნ ტ ე

სცრუობთ ყველანი.

პ ი რ ვ ე ლ ი დ ი დ ე ბ უ ლ ი.

თქვენს მეუფებას ვევედრებით, ნდობა მოგვიმადლოს,
შეორგულება არ გვჩვეოდა ჩვენ არაოდეს,
გთხოვთ, შეგვაფასოთ უკეთესად და გევედრებით
ნუ დაივიწყებთ სამსახურთა ჩვენთა წარსულთა
და აწინდელთა — გთხოვთ, გადასთქვათ ეგ ავი ზრახვა
ესდენ საზარხი, ამაზრზენი და სისხლიანი,
მუხლმოდრეკილნი გევედრებით ყველანი ერთხმად.

ლ ე ო ნ ტ ე.

რამდენი ქარიც დაუბერავს — ბუმბულად ვიქცე?
იმას მოვესწრო, რომ ეს ბუში მუხლის მოდრეკით
„მამას“ მეძახდეს? არა, არა, სჯობს აქვე დავწვა,



ვიდრე დავწყევლო იგი შემდგომ. — თუმცა,

ხომ ვერ გაატანს მაინც დიდხანს. (ანტიგონესადმი) სერ,
აქ მობრძანდით,

რახან ცდილობდით ეგოდენის გულმოდგინებით
თქვენ და მეუღლე თქვენი, ძველი ბებიაქალი,
მაგ ბუშის შველას, — იცოდე რომ, ეგ არის ბუში,
როგორც ეგ წვერი ჭაღარაა, — მითხარ, რას იქმდი
მაგ ნაბუშარის დასახსნელად?

ანტიგონე.

ყველაფერს, მილორდ,

რასაც შევძლებდი, გავწვდებოდი ჩემის ძალებით,
და ან სიქველით — ვეცდებოდი ყოველნაირად,
საკუთარ სისხლს არ დავზოგავდი, რათა დამეხსნა
უმანკო ჩვილი — რომ მქონოდა შესაძლებლობა...

ლეონტე.

შესაძლებლობა მოგეცემა. ხრამალზე ფიცს იტყვი,
რომ აღასრულებენ ნაბრძანს ჩემსას.

ანტიგონე.

უცილოდ, მილორდ.

ლეონტე.

მაშ, დაიხსომე: თუ გარდახვალ ბრძანებას ჩემსას,
ან თუ სხვარიგად იმოქმედებ, ვიდრე მე გეტყვი,
სიკვდილით დაგსჯით შენაც და შენს ენაგრძელ ცოლსაც,
თუმც კი ამჯერად შეგიწყალებ. მე შენ გავალებ
როგორც ქვეშევრდომს, საპატრონუმო პირობის ძალით,
ეგ ნაბუშარი მოაშორე აქაურობას,
სადმე უკაცურს და მივარდნილს ტყეში დასტოვო,
სამეფოს ჩვენის საზღვრებს გარეთ. იქ მიატოვებ
უმეთვალყუროდ. — დე, იზრუნოს მასზე ამინდმა.
აგრე აჯობებს: ქარს გავატან ქარის მოტანილს,
კანონის ძალით გიბრძანებ და თუკი არა გასურს
სულის წაწყმედა სამუდამო და ხორცთა დაწვა,
სადმე მიაგდებ მაგ უბადრუკს განმარტოებით,
სადაც შემთხვევა ან გაზრდის, ან ბოლოს მოუღებს.



ანტიგონე.

ვფიცავ, ბრძანებას აღვასრულებ, თუმც მირჩევნია,
სიკვდილი ბევრად — მაშ, წავიდეთ, პაწია ჩვილო,
ძერებს და ყვავებს რომელიმე ძალუმი სული
აღბათ ასწავლის, ვით გაგზარდონ. მგლები, დათვები,
ამბობენ, თურმე ივიწყებენ მხეცობას თვისას
მსგავსს შემთხვევაში და სიბრალულს იჩენენ ხოლმე.
შევევედრები ღვთის განგებას, შეგინდოს, მეფევ!
ამ სისასტიკეს შენთან ერთად წინ აღვუდგები,
ჩემო პაწიავ, განწირულო, ობლად შთენილო!

(გაღის ბავშვიანად).

ლეონტე.

ნაბუშარს სხვისას მე ვერ გავზრდი.

(შემოდის მსახური).

მსახური.

დიდო მეფეო!

თქვენს მიერ დელფოს წარგზავნილი მალეიმსრბოლები
დაბრუნდნენ კარზე. — დიონე და კლეომენესი
გაღმოსხდნენ უკვე ხომალდიდან და ისწრაფვიან
სასახლისაკენ.

პირველი დიდებული.

ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა

მათმა სისწრაფემ.

ლეონტე.

მგზავრობაში იმყოფებოდნენ

ოცდასამი დღე. ყოველივე კარგად მენიშნა:
დიდი აბოლო გამოგვივლენს თვისის შეწევნით
ჭეშმარიტებას. განემზადეთ, წინაშემდგომნო,
დარბაზისერნი იხმეთ ფიცხლავ, რათა განკითხვა
მოვუწყოთ უღირს დედოფალსა. რაკი საჯაროდ
დავდევით ბრალი, სასამართლოც იქნეს საჯარო,
ყველასთვის ხსნილი. მე ხომ გული არ მომასვენებს,
ვიდრემდის იგი ცოცხალია. აწ კი დამტოვეთ
და დაუფიქრდით ნაბრძანს ჩემსას.

(გაღიან)

მოქმედება III

სურათი I. — ნავსადგური სიცილიაში.
შემოდინ კლეომენე და დიონე.

კლეომენე.

რარიგ ამშვენებს საამო და წმინდა ჰაერი
ხვავრიელ კუნძულს, სიდიადე თუნდაც ტაძრისა!
ხომ ზედმეტია ქების სიტყვა!

დიონე.

მე განმაცვიფრა

ღვთივმშვენიერმა სამოსელმა ქურუმებისამ,
სიტყვაც არ კმარა — სიდიადე მათი იერის
კვლავ თვალწინ მიდგას. ან რარიგად ზორავენ
მსხვერპლსა,

ზემიწიერი, საზეიმო განწყობილებით!

კლეომენე.

ან, თუნდაც გრგვინვა გაიხსენე ანაზდეული,
დამახშობელი ყურთა სმენის, სამისნოს კართან,
ზევსის ქუხილს რომ ჩამოჰგავდა! მე განკვირვება
დამეცა ლამის.

დიონე.

ნეტავ ჩვენმა მოგზაურობამ

არგოს დედოფალს, — წარემართოს ნეტავ კეთილად,

როგორც კეთილად წარგვემართა ჩვენ ეს მგზავრობა,
სასიხარულოდ და საშვებლად.



კ ლ ე ო მ ე ნ ე .

დიდო აპოლო!

გვიჩვენე ძლევა, მოაწიე ჩვენზე კურთხევა,
დედოფალს ჩვენსას შეეწიე! არ მომწონს დიდად
ეგ უსაფუძვლოდ და უსაგნოდ გამოგონილი
ბრალდება ჩვენი ხელმწიფისა.

დ ი ო ნ ე .

სისწრაფე ჩვენი

საქმეს წარმართავს სასიკეთოდ: როს აპოლონის
დიად სამისნოს ბეჭედს გავხსნით და განვაცხადებთ
შინაარსს მისი უსტარისას, უჩვეულო რამ
გამოირკვევა ალბათ მაშინ. — ცხენები ჩქარა,
კეთილი ბოლო უჩანს საქმეს.
(გადიან).

ს უ რ ა თ ი II. სიცილია. სასამართლო დარბაზი.

შემოდიან: ლეონტე, დიდებულნი და მოხელენი.

ლ ე ო ნ ტ ე .

გულისტკივილით განგიცხადებთ: ეგ სასამართლო
არ არის ჩვენთვის სასურველი. ბრალი ედება
ასულს მეფისას, ჩვენს დედოფალს, რომელიც ერთ

დროს

გვიყვარდა ძლიერ. ვერ დამწამებს ალბათ ვერავინ
ტირანულ ჩვევებს, ვინაიდან ვაჩენთ სამართალს
აქ, ხალხის თვალში. ალბათ აქვე გამოირკვევა,
სასჯელი უნდა შევუფაროდოთ თუ მიტევება
ბრალდებულს ჩვენსას.

მ ო ხ ე ლ ე .


დიდ ხელმწიფეს სურს გამოცხადდეს თვით დედოფალი
სასამართლოზე და გვეჩვენოს. — აბა, სიჩუმე!

შემოდიან: ჰერმიონე ბადრაგითურთ, პოლინა და

სეფექალნი.

ლ ე ო ნ ტ ე .

წაიკითხეთ ბრალდების წიგნი.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

მ ო ხ ე ლ ე .

(კითხულობს) ბრალი ედება ღალატში ჰერმიონეს, სიცილიის ქველი ხელმწიფის ლეონტეს მეუღლეს, რამეთუ მან ჩაიდინა მრუშობა ბოჭემიის ხელმწიფესთან პოლიქსენესთან. შეთქმულება მოაწყო კამილოსთან ერთად, რათა მოესპო სიცოცხლე საკუთარი მეუღლისათვის, სიცილიის მეფისათვის. შეთქმულთა გამოაშკარავების შემდგომ, შენ, ჰერმიონე, უგულვებელპყავ მოვალეობა ჭეშმარიტი ქვეშევრდომისა და დაეხმარე დამნაშავეებს, რათა ეშველათ თავისათვის და გაქცეულიყვნენ ღამით.

ჰ ე რ მ ი ო ნ ე .

სათქმელი ჩემი შეეხება მხოლოდ და მხოლოდ ყალბი ბრალდების უარყოფას, ხოლო მტკიცება, არ გამაჩნია მე სრულიად, გარდა იმისა რასაც აღმოსთქვამს პირი ჩემი. განა რას მარგებს, რომ ვსთქვა: „არა ვარ დამნაშავე“? ჩემს უმანკობას საეჭვოდ სთვლიან და რამდენიც უნდა ვიზრომოდ, მაინც ჩასთვლიან. მაგრამ რადგან ძალნი ღვთიურნი კაცთა საქმეებს სჭვრეტენ მაღლით, მრწამს და მოველი-რომ გააწბილებს საბოლოოდ უმანკოება ბრალდებას ყალბსა, და შეეცბება თვით ტირანიაც თმობის პირისპირ. — კარგად უწყით, უფალო ჩემო, აღიარებას თუმც უარობთ — რომ ჩემი ყოფა სამაგალითო იყო მუდამ. ისევე წმინდა, როგორც ამჟამად უბედური. ეს ყოველივე აღემატება ისტორიას ან თუნდაც დრამას მაყურებელთა შემაზრზენსა. აბა, შემხედეთ: თანამეცხედრე ხელმწიფისა, მეფის ასული, ტახტის ნახევრის მოზიარე, სკიპტრისამპყრობელი, დედა პრინცისა, — უნდა ვიდგე, — აქ, ქვეყნის თვალში, პატიებასა და სიცოცხლეს გამოვითხოვდე სამართლისაგან! თუმც სიცოცხლეს მე არად ვაგდებ,



ისევე როგორც მჭმუნვარებას, მაგრამ სახელი
 პატიოსანი გადმომეცა შთამომავლობით
 და მას დავიცავ. მოვუწოდებ, დიდო მეფეო,
 მე სინდისს თქვენსას: პოლიქსენე ოდეს გვეწვია,
 ხომ მათასებდით მე უსაზღვროდ, გიყვარდით ძლიერ,
 ვიმსახურებდი ხომ სიყვარულს? ოდეს გვესტუმრა
 განა უღირსად შევეგებე სტუმარს კარისას?
 რით შევიღობე მე თქვენს თვალში, საქმით, ან ნებით
 გადავაჭარბე იქნებ საზღვრებს პატივდებისას?
 ეგ თუ აგრეა, გული ნულარ შეგტკივათ ჩემთვის
 ჩემთა მსმენელთა, დეე, ხალხი ზედ აფურთხებდეს
 სამარეს ჩემსას!

ლ ე ო ნ ტ ე.

არ მსმენია ჯერ არაოდეს,

დამნაშავეთა სითავხედეს არ უარეყოს
 ავი ქმედება გაცილებით მეტის სიმძაფრით,
 ვიდრე სჩადიან დანაშაულს.

ჰ ე რ მ ი ო ნ ე.

ეგ მართალია


თუმც არ ეხება ეგ ჩემს ამბავს იოტისოდნავ.

ლ ე ო ნ ტ ე.

თვით არ გნებავთ, რომ ეხებოდეს.

ჰ ე რ მ ი ო ნ ე.

ცილს ვერ დავწამებ საკუთარ თავს, ვერც მოვიგონებ
 ისეთ ბრალდებას, რაც აროდეს ჩამიდენია,
 მე ვერ ვიჭმ მავას. პოლიქსენეს რაც შეეხება,
 ვისთან კავშირიც თქვენ დამწამეთ — მე ვალიარებ:
 მიყვარდა იგი, ამას ითხოვს დიასახლისის
 ვალდებულება, ვით ჩემგვარმა მანდილოსანმა
 ხამს შეიყვაროს მეგობარი, და რა თქმა უნდა
 არა იმგვარად, ვით თქვენ ბრძანეთ მცირე ხნის წინათ.
 არსიყვარული ჩემის მხრიდან პოლიქსენესი
 ხომ იქნებოდა ურჩობა და უმადურობა?
 განრისხდებოდით თქვენც ამაზე, უცილობელად,



თქვენზე მეტად კი განა ვისმე შევიყვარებდი
 ნეტავ ოდესმე? შეთქმულებას რაც შეეხება, ჩემთვის უცხოა მისი გემო, თუმცა კი მომართება
 ლანგარზე იგი. ჩემი აზრი აი, ეს გახლავთ:
 შეუმწიკლავი იყო მუდამ ჩვენი კამილო,
 და რად დასტოვა მან სასახლე, ღმერთებს რომ ჰკითხოთ,
 ალბათ ვერარას მოგიგებენ, ეგ არც მე ვუწყი.

ლ ე ო ნ ტ ე.

თქვენ გამგზავრება გემცნოთ მათი, ისე ვით ახლა
 უწყით ყოველი ავი ზრახვა თქვენივ გულისა.

ჰ ე რ მ ი ო ნ ე.

სერ, მე არ მესმის თქვენი ენა. ჩემი სიცოცხლე
 თქვენი სიზმრების მსხვერპლად უნდა შეიქმნეს ალბათ.
 ნება თქვენია.

ლ ე ო ნ ტ ე.

ჰო, სიზმარი დავარქვათ ცხადსა.

პოლიქსენესგან რომ გეყოლა შენ ნაბუშარი
 ეგეც სიზმარი არის განა? — მაგრამ ურცხვი ხარ,
 ისევე როგორც სხვა შენგვარნი და გძულს სიშართლე.
 ამო არის უარყოფა. კარგად იცოდე:
 როგორც ეს შენი ნაბუშარი გადაიკარგა
 — დანაშაული შენვე გაწივს მის გაჩენაში,
 ისევე როგორც მისი ცოდვა შენ გეკისრება —
 მსგავსად მოსწყდები შენც ამ სოფელს და მაშინ

ივრძნობ

სამსჯავროისა ჩვენის ძალას.

ჰ ე რ მ ი ო ნ ე.

ნუ მემუქრებით.

თავად დავებებ მე იმ სასჯელს, რასაც მიქადით,
 აბა რას ვაქნევ ამ სიცოცხლეს, მოყიფნებული?
 ცხოვრების ჩემის ნუგეში და გვირგვინი იყო
 თქვენი ჩემდამი სიყვარული — დავკარგე იგი,
 თუმცა კი არ ვუწყი, რა მიზეზით. მეორე შვება
 ჩემი პატარა, ჩემი პირმშო, — ჩამომაცილეს,
 თითქოს სენი რამ შემყრიაო. მესამე შვება

ბაღლი ბედკრული, რძე რომ პირზე არ შეშრობოდა,
ჯერ უცოდველი, — ძუძუთაგან მომსახლიტეს უცებ
და გადაჰკარგეს, თან საქვეყნოდ გამომაცხადეს
ქუჩის მეძაგად. არნახულის კაცთმძულვარებით
დედის უფლება ჩამომართვეს, რაიც ყოველ ქალს
მშობიარობის ეამს ეკუთვნის, შემდგომ ამისა,
დასუსტებული, დამაშვრალი გამომაქროლეს
და დამაყენეს აქ, ხალხის წინ. სთქვი, ხელმწიფეო,
რა შვება ვნახე ცხოვრებისგან, რომ მეშინოდეს
აღსასრულისა? დე, გაგრძელდეს ეგ სასამართლო,
არვინ იფიქროს თითქოს ვნაღვლობ იოტისოდნავ,
სიცოცხლეს ჩემსას. — არა, ჩემი პატიოსნება
უნდა დამტკიცდეს ქვეყნის თვალში, არ განვისაჯო
თქვენის ეჭვებით, უსაფუძვლო ვარაუდებით,
თქვენ კი მეფეო, ამას გეტყვით: ეგ ყოველივე
ძალადობაა: სამართალი არ ეთქმის ამას,
მე ჩემი ბედი მიმინდვია აპოლონისთვის,
დე, მან მისაჯოს!

პ ი რ ვ ე ლ ი დ ი დ ე ბ უ ლ ი.

მოთხოვნაა კანონიერი

ამას მოითხოვს სამართალიც — გამოგვიცხადეთ
პასუხი დელფოს სამისნოსი დაუყოვნებლივ.
(გამოდრიან მოხელენი).

ჰ ე რ მ ი ო ნ ე.

რომ ყოფილიყო დღეს ცოცხალი რუსთა ხელმწიფე
მშობელი ჩემი, და ეხილა თვისის ასულის
გასამართლება! ო, ეხილა ეს ყოველივე,
არათუ შურის საძიებლად, არა, მარტოდენ
შესაბრალისად!


(შემოდრიან მოხელენი, კლეომენე და დიონე).

მ ო ხ ე ლ ე.

კლეომენესი და დიონე დაიფიცებენ

სამსჯავროს ხმაღზე, რომ ნამდვილად იყვნენ დელფოში,
ჰკითხეს ორაკულს, შემდეგ მისცეს მათ ქურუმებმა

წიგნი აპოლოს სამისნოსი, ბექედდასმული,
მათ მოიტანეს ეგ უსტარი ხელმწიფის კარზე,
ხელშეუხებლად, ბექედი არ გარდაუხსნიათ,
არც წაუკითხავთ საიდუმლო.



კ ლ ე ო მ ე ნ ე დ ა დ ი ო ნ ე.

ორნივ ვფიცავართ.

ლ ე ო ნ ტ ე.
გარდახსენით და წაიკითხეთ.

მ ო ხ ე ლ ე.

(კითხულობს) „ჰერმიონე უმანკოა. პოლიქსენე შეუმწიკ-
ლავი. კამილო ერთგული კარისკაცია, ლეონტე — იჭვით სნე-
ული ტირანი, მისი უცოდველი ბაღი კანონიერია. ხელმწიფე
დარჩება უმემკვიდრედ, თუ დაკარგული ბავშვი არ აღ-
მოჩნდა.“

დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი.
კურთხეულ არს დიდი აპოლო!

ჰ ე რ მ ი ო ნ ე.
დიდება შენდა!

ლ ე ო ნ ტ ე.
რამ, ნამდვილად ეგ სწერია?

მ ო ხ ე ლ ე.

ნამდვილად, მეფევ-

არც მეტია და არც ნაკლები.

ლ ე ო ნ ტ ე.
არ ამბობს მართალს ეგ სამისნო, მე არა მჯერა,
სჯობს გავაგრძელოთ სასამართლო, შორს ეგ სიყალბე.
(შემოდის მსახური).

მ ს ა ხ უ რ ი.
დიდო მეფეო, ხელმწიფეო!

ლ ე ო ნ ტ ე.

რამ, რა მოხდა?



მსახური.

ო, გამხმობოდა ნეტავ ენა, სანამ გეტყოდით!
დედოფალზე დარდს შეეწირა ყმაწვილი თქვენი,
გარდაიცვალა!

ლეონტე.

რაო, რაო!

მსახური.

გარდაიცვალა!

ლეონტე.

დიდი აპოლო განმირისხდა, ზეცა სჯის თავად,
ჩემს უმართლობას (ჰერმიონე ეცემა). ჰა, რა ხდება,
რა ამბავია!

პოლინა.

ველარ გაუძლო დედოფალმა, ახალ ვაებას,
ჰოი, სიკვდილის უღმობლობავ!

ლეონტე.

მიხედეთ ჩქარა:

აღბათ გული თუ შეუღონდა, არაფერია,
ზედმეტად ვენდე ჩემსავ ეჭვებს, ველარ მოვზომე,
აღმოუჩინეთ დახმარება, გეთაყვა, მალე,
უშველოთ იქნებ.

(გადიან პოლინა, სეფექალი და გაჰყავთ ჰერმიონე).

მომიტევე, დიდო აპოლო,

ეს ამაზრზენი გმობა შენი საღვთო სიტყვისა,
შევურიგდები პოლიქსენეს დაუყოვნებლივ,
დედოფალს ჩემსას დავუყვავებ და უკუვიხმობ
კამილოს, ჩემგან უსამართლოდ გაძევებულსა.
ეჭვიანობამ გამაშმაგა როს განვიზრახე
შურისძიება სისხლიანი, ბრძანება მივეც
კამილოს, რათა შეერია ღვინოში შხამი,
პოლიქსენესთვის მიერთმია, ეგ მოხდებოდა
რომ არ დაეწყო თვით კამილოს ფეხის ათრევა,
თუმც დავემუქრე ბრძანების არადსრულებისთვის



ქვემოთა
განმარტობა

მძიმე სასჯელით, თან ჯილდოსაც შევპირდი დიდსა,
თუ დაჰყვებოდნა ნებას ჩემსას. მან კი იდროვად
შეატყობინა პოლიქსენეს განზრახვა ჩემი,
დასთმო ქონება, საპატრონუმო მდგომარეობა, —
მოგეხსენებათ, სვესვიანად ცხოვრობდა იგი, —
და ბედს მიენდო, ხოლო თვისი კეთილდღეობა
მთავარ საუნჯეს ანაცვალა — პატროსნებას.
ო, რარიგ ბრწყინავს იგი ჩემი ჟანგის პირისპირ!
საქმენი ჩემნი ვით გაშავდნენ მისის სიქველით!
(შემოდის პოლინა).

პოლინა.

ვაება გემართებს!
ო, გამიკვეთეთ ეს სამკერდე, რათა ეს გული
არ ამომვარდეს საგულედან!

პირველი დიდებული.

გვამცნეთ, რა მოხდა?

პოლინა.

სთქვი, რა წამება შეამზადე ჩემთვის, ტირანო?
რვალი, კოცონი, ძელზე იჯასმა, თვალთდაბნელება,
იქნებ მოხარშვა დამიპირო მდულარე ზეთში?
დავთმობ წამებას ყოველნაირს, ახალს თუ ძველსა,
თითოეული ჩემი სიტყვა შეგძრავს იცოდე!
შენს ტირანობას ზედ დაერთო იჭვიანობა,
დამყარებული ნაბოდვარზე, ცხრა წლის ბაღსაც რომ
განაცვიფრებდა. — აწ კი ნახე, რა ჩაიდინე,
და გადასცდები ალბათ ჭკუას ისედაც შლეგო!
სწორედ სიშლეგემ მოაწია შენს თავზე რისხვა:
რომ უღალატე პოლიქსენეს, — არაფერია.
თავქარიანად, ჭკუაბნელად გვიჩვენე თავი,
თან უმადურად. — საკმარისი არც ეგ აღმოჩნდა,
დასამარება კამილოსი შენ მოინდომე,
როს დაავალე მეფის მოკვლა: მთავარი მაინც
უარესია, შემზარავი, არგაგონილი!
ჩვილი ბაღლი რომ გადაუგდე ყვავებს საძიძვნად,
ეგეც გეგონა შეგრჩებოდა: თუმც თვით სატანა



ამის ჩამდენი, ცეცხლის ცრემლით ატირდებოდა
 შენ თუმც უშუალოდ არ გეხება — გარდაიცვალა
 ყრმა სეფეწული — რომლის აზრნი კეთილშობილნი
 განაცვიფრებდნენ ირგვლივ ყველას — გულს

შემოასკდა,

ოდეს იხილა ვით თათხავდა უხეში მამა
 დედას უცოდველს, შეუმწიკლავს — არც ეს არ ითქმის
 მთავარ ბრალდებად — საბოლოო — ო, დიდებულნო,
 მაშინ როდესაც მე შევკვივლე „ვაება“ — მეთქი,
 გარდაგვეცვალა დედოფალი უსაყვარლესი,
 შურისძიება კი ჯერ არ სჩანს!

პ ი რ ვ ე ლ ი დ ი დ ე ბ უ ლ ი .

ცაო, მოგვხედე!

პ ო ლ ი ნ ა .

გარდაიცვალა, გეუბნებით, თუ არ სჭრის სიტყვა,
 არც ზენაარი, ძობრძანდით და თუ დაუბრუნებთ
 თვალთა სინათლეს, ან ბრწყინვალე იერს სახისას,
 სითბოს კანისას, და ან სულთქმას — ღმერთებად
 ჩავთვლით.

შენ კი, უწყოდე, ო, ტირანო, ამიერიდან
 მონანიება ამოა შენთვის ყოველი,
 მთელს შენს ვაებას ვერაოდეს ხელეწიფება
 ცოდვათ დაძლევა. დაგრჩენია მხოლოდ და მხოლოდ
 სასოწარკვეთა. ათას წელს რომ ევედრო ღმერთებს
 მარხვით და ლოცვით, ტანშიშველი, კლდეზე მდგომარე,
 ზამთრის ყინვაში, ქარწვიმაში, — არ შეისმენენ
 ვედრებას შენსას არაოდეს.

ლ ე ო ნ ტ ე .

განაგრძე კიდევ.

ვერ ამოსწურავ სათქმელს მაინც: მე ვიმსახურებ
 უმწარეს სიტყვებს.

პ ი რ ვ ე ლ ი დ ი დ ე ბ უ ლ ი .

ქალბატონო, საკმარისია,
 რაც უნდა მოხდეს, სითამამე თქვენი ეგზომი,
 გამართლებული ვერ იქნება.



პოლინა.

ოდეს შევიგნებ დანაშაულს, მონანიებაც
 მზადა მაქვს იქვე. — აჰ, ზედმეტად გამოვამყლავნე
 ქალის სიანჩხლე. მეფის გული კეთილშობილი
 დავკოდე მძიმედ. — დე, ჩაპბარდეს წარსულს ყოველი
 განქარდეს დარდი: ნუ მიიღებთ, სერ, მტკივნეულად,
 ნაუბარს ჩემსას, გევედრებით, თუ მოისურვებთ
 დამსაჯეთ კიდევ, ვინაიდან მე შეგახსენეთ
 რისი არხსოვნაც ხამდა თქვენთვის დიდო მეფეო,
 პატრონო ჩემო, მომიტევე უგუნურ დიაცს,
 დიდად მიყვარდა დედოფალი განსვენებული, —
 აჰ, რაღას ვროშავ — არა, მეტს მე არ შეგახსენებთ,
 აღარც მეუღლეს შეგახსენებთ ჩემსას, რომელიც
 დაღუპულია სამუდამოდ. გთხოვთ, მშვიდად იყოთ,
 აღარას ვიტყვი.

ლეონტე.

სიმართლეა შენს ნაუბარში.


მოჭარბებული. მე სიმართლეს უფრო ვაფასებ
 ამყამად, ვიდრე თანაგრძნობას. გთხოვ წამიყვანო,
 თვალთ მაჩვენო დედოფალი და ვაჟი ჩემი,
 ერთ აკლდამაში დავკრძალავ მათ, ზედ ეწერება
 მიზეზი მათი სიკვდილისა, დიდმა და მცირემ
 დაე, შეიტყოს მოყვინება ჩემი მარადი.

ყოველ ცისმარ დღეს ვინახულებ აკლდამას მათსა,
 სინანულისა ცრემლს დავანთხევ, ვიდრე ბუნება
 ჩემს არსებობას შეიწყნარებს. ვივლი, ვფიცავარ,
 და აღვასრულებ ყოველივეს. მაშ, წამიყვანე
 პოლინავ, ჩემო, შემამთხვიე ამ მწუხარებას!

სურათი III. — ბოჰემია. უდაბური ადგილი ზღვის სანაპი-
 როზე. შემოდის ანტიგონე ბავშვითურთ, თან ახლავს მეზღვაური.

ანტიგონე.

დაბეჯითებით მეუბნები რომ ბოჰემიას
 მოადგა ჩვენი იალქანი?



მ ე ზ ლ ვ ა უ რ ი.

უცილოდ მილორდ.

თუმცა ვა ვა ვა, უკანაური ჟამი შეგვესწრო:
გაავდარდება; თანაც გული მეთანაღრება,
რომ განვარდისხეთ ზეცა ჩვენის შავი განზრახვით.
შემოგვეწყრა ზეცა!

ანტიგონე.

დაე, აღსრულდეს ნება მისი წმიდათაწმიდა!
მიხედე ხომალდს, დაგიძახებ მცირე ხნის შემდეგ,
არ გალოდინებ.

მ ე ზ ლ ვ ა უ რ ი.

ღრმად ნუ შეხვალთ ხმელეთისაკენ,

იჩქარეთ ძლიერ, გაავდრებას აპირებს ვგონებ,
ამ სანახებში თან ეტყობა მრავლად არიან
მხეცნი ტყისანი.

ანტიგონე.

გამიგონე, შენს გზას მიჰყევი,

მეც მალე მოვალ.

მ ე ზ ლ ვ ა უ რ ი.

შვება ვიგრძენ მცირეოდენი,

რაკი მოგვეხსნა დღეს ეგ ტვირთი.
(გადის).

ანტიგონე.

საბრალო ჩვილო!

მსმენია, თუმცა კი არა მწამდა, რომ გარდაცვლილნი
კვლავ შეიძლება განგვეცხადონ; ეგ თუ აგრეა,
მე დედაშენი მომეველინა სიზმარში წუხელ,
თითქოს სიციხადე ყოფილიყოს: მომიახლოვდა,
ჯერ გააქნია რამდენჯერმე საბრალომ თავი,
არვინ მიხილავს მწუხარებით ეგზომ აღვსილი
და მშვენიერი: თეთრად იყო იგი მოსილი,
გამოცხადება სიწმინდისა ვიხილე თითქოს,
ჩემს კარს მოადგა, შემდეგ სამგზის დამიკრა თავი,



თითქოს უჭირსო თქმა სიტყვისა, აუწყლიანდა
 თვალნი ანაზღადა: შემდეგ, რაკი დამშვიდდა ოდნავ,
 აღმოხდა: „ჩემო ანტიგონე, გთხოვ მომისმინო:
 კეთილგანწყობის, სიბრალულის მიუხედავად,
 შენ ბედისწერამ აგირჩია ამა საქმისთვის,
 ფიციც დასდევ, რომ პაწიას ჩემსას დაჰკარგავ;
 ბოჰემიაში უხვად არის ყრუ ადგილები,
 თვალცრემლიანმა მანდ დასტოვე და რაკი ბალღი
 დაკარგულია სამუდამოდ, სახელი მისი
 იყოს პერდიტა და რამეთუ შენ აღასრულე
 ეგ შავი საქმე მეუღლისა ჩემის ბრძანებით,
 ველარ იხილავ შენს პოლინას“ და ამ სიტყვებით
 განქარწყლდა იგი. რულოგამკრთალი ზეწამოვიტერ,
 ვერ გავერკვიე, ცხადი იყო ეს ყოველივე
 თუ ზმანებული. სიზმრები ხომ თოჯინებია,
 მაგრამ ამ სიზმარს ცრუმორწმუნედ ვემორჩილები,
 არ ვიცი რატომ. ჰერმიონე რომ მოაკვდინეს,
 ეჭვგარეშეა. და ამჯერად, რაკი, ეს ბალღი
 პოლიქსენესგან შეეძინა დედოფალს ჩვენსას,
 აპოლოს ნებით ბოჰემიად წარივლინება,
 (ან სასიცოცხლოდ და ან სამკვდროდ), მამისა თვისის
 საბრძანებელში. გაიზარდე, ჩემო ყვავილო!
 აქვეა შენი საბუთები და ყოველივე
 რაც აღზრდისათვის საჭიროა, უკეთუ ნებავეს
 ფორტუნას აგრე. — ქარიშხალი იწყება უკვე,
 ოჰ, საცოდავო, დედის გამო ესდენ გვემულო,
 და განწირულო! ო, არ ძალმიძს დაღვრა ცრემლისა,
 თუმცდა ეს გული ლამის გასკდეს! წყევლაა ჩემს თავს:
 ვაჰ, რომ ფიციც მაქვს დადებული! — მშვიდობით იყავ,
 დღემ დაიხურა პირსაბური: უხეში ნანა
 უნდა გიმღეროს ქარიშხალმა, არ მომსწრებია
 ესდენ ბნელი დღე. რა ღრიალი მოისმის ნეტავ?
 მივასწრო მაინც ნაპირამდე! აჰ დათვს მოსდევენ,
 აჰ, დავიღუპე სამუდამოდ!
 (გარბის, უკან მოსდევს დათვი).
 (შემოდის მწყემსი.)



მ წ ყ ე მ ს ი .

კარგი იქნებოდა ცამეტოდან ოცდასამ წლამდე არავინ არასაკი არ არსებულებოდა, ან ყმაწვილებს ძილში გაეტარებინათ ეგ წლები. ამ ხანში სხვა საქმე არა აქვთ რა, გარდა მოხუცების წვალებისა, გოგონებისთვის ბუშების კეთებისა, ქურდობისა და აყალმაყალისა. აბა, ერთი ყური დაუგდეთ! ამ ტვინადუღებულმა ხალხმა ცხრამეტი და ოცდაორის წლისამ ნადირობა მოინდომა ამ შავი დღის ამინდშია! მაგ გასაწყვეტლებმა ორი საუკეთესო ცხვარი დამიფრთხეს. ალბათ მგელი ჩემზე ადრე წააწყდება მაგათ. ეჰ, ისევ და ისევ ა იმ ნაპირის უსურვაზებში თუ გაიხლართნენ. ბარაქამც ნუ გამოგლევიათ, ეს ვიღასი ბედია, ჰა? უი, დაგენაცვლე, რა კოპწია ბაღია! ბიჭია თუ გოგო? ვიღაცის ნაეშმაკარს ჰგავს. მართალია, წიგნი არ ვიცი, მაგრამ მაინც ვკითხულობ: ვინმე კარის მოახლე იკვიმატებდა; სადმე კიბისთავზე იქნებოდა მუშაობა, ან ზანდუკზე, ან კარს უკან: ისე, უფრო თბილად კი იქნებოდნენ მოკალათებულნი, ვიდრე ეს საბრალო ამ სიცივეში. ცოდოა, ცოდო! უნდა ავიყვანო. ჩემს ვაჟსაც დაველოდები ბარემ. ეს ესაა, დამიძახა. ჰეი, ჰეიი!

შემოდის ოტროველა.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა .

ჰეი, ჰეიი!

მ წ ყ ე მ ს ი .

რაო, აგრე ახლოს ყოფილხარ! მოდი, მოდი, რა გიჩვენო. შენ რომ მიწაში დაღებები, ხალხს კიდევ სალაპარაკოდ ექნება ეს ამბავი. აბა, ერთი აქეთ მობრძანდი! რაო, რა დაგემართა, კაცო?

ო ტ რ ო ვ ე ლ ა .

ჰაი, ჰაი, რა ამბები ვნახე ზღვასა და ხმელეთზე! ზღვაზე-მეთქი ვიძახი, თორემ ცამდის უწევდა, ერთი ხანჯლის ტოლა ადგილიდა იყო დარჩენილი ზღვასა და ცას შუა.

მ წ ყ ე მ ს ი .

რაო, ბიჭო, რაო?

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

ერთი გენახა მაინც, რარიგ შმაგობს, რარიგ იბრძვის, რარიგ ღრიალებს, რარიგ ასკდება ნაპირს! მაგრამ ეგ კიდევ არაფერია. აჰ, საბრალო ხალხის ყვირილი! ხან გამოჩნდებოდნენ, ხან ჩაიძირებოდნენ; ხან იყო და მთვარეს უწევდა მთავარი ანძა, ხან იყო და ჩაინთქებოდა დუქმორეულ წყალში, საცობი რომ ჩავარდება ხოლმე ღორისთავა კასრში, იმრიგად. ახლა ნაპირზე აღარ იკითხავ? ბეჭის ძვალი ააგლიჯა დათვიმ იმ კაცს; რარიგ მეძახდა მიშველეო, ანტიგონე მქვიანო, აზნაური ვარო მეფის კარისა. თუმცა, დამაცა, გემის ამბავი გითხრა, ზღვამ რარიგ გადაყლაპა ერთბაშად—არა—საწყალი ხალხი რომ ღრიალებდა ჯერ, მერე ზღვის ღრიალიდა ისმოდა, — თითქოს აჯავრებსო საცოდავებს, შემდეგ საბრალო კარისკაცის ყვირილიდა ისმოდა და დათვიც ბანს აძლევდა, იმ ორის ხმამ ხო ზღვასაც გადააჭარბა და ამინდსაცა.

მ წ ყ ე მ ს ი.

ღვთის გულისათვის, მითხარი, როდის მოხდა ეგ ყველაფერი?

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

ეს წუთია; თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი. ხალხი ჯერაც არ გაცივებულა წყალქვეშ, იმ დათვისაც ნახევრამდე თუ ეყოლება ის კაცი შესანსლული: ალბათ ჯერაც სადილობს.

მ წ ყ ე მ ს ი.


მანდ ვყოფილიყავი, მე გადავარჩენდი ბერიკაცს.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

გემის მახლობლად ყოფილიყავ ერთი, ნეტავ თუ უშველიდი რასმე: იქ კი ნამდვილად ფეხს აითრევდა შენი კაცთმოყვარეობა!

მ წ ყ ე მ ს ი.

ჰაი, ჰაი, რა ამბებია! ბიჭო, ერთი აქეთ გამოიხედე. აი, წყალობამც ნუ მოგაკლდება — თუ შენ მომაკვდავები გინახავს, მე ახალდაბადებულს წავაწყდი. მოდი, მოდი, რა გაჩვენო; საცვალისც რომ აზნაურის ბაღლისა აცვია! ერთი დახედე,



დახედე მაინცა! აიყვა, ბიჭო, აიყვა, გახსენი ერთი. აბა ჰა!
 ვილაცამ მითხრა, ფერიები გაგამდიდრებენო ოდესმე მოგდეს
 ბული ბაღლი იქნება: ერთი გახსენი, ვნახოთ, შიგნით თუ
 არის რამე?

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

ფეხბედნიერი ბერიკაცი ყოფილხარ: თუ სიჭაბუკის ცოდ-
 ვები მოგეტევა, კეთილი ცხოვრება გიწერია. ოქროა, ოქრო!

მ წ ყ ე მ ს ი.

ფერიების ოქროა, ბიჭო, ფერიების ოქრო! მე მითქვამს
 და შენ დაიმახსოვრე. ადგე, ბიჭო, მაგრად მოუჭირე ხელი: ში-
 ნისაკენ, აბა, შინისაკენ სასწრაფოდ. ბედი მოგვადგა კარს, გე-
 ყურება თუ არა! კრინტი არავისთან დასძრა. დაიცა, მე ცხვარს
 გამოვდენი. შინისაკენ, აბა, შინისაკენ სასწრაფოდ.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

შენ მიდი, გასწი შენი ნაპოვნი განძითურთ, მე კი ვნახავ,
 მოშორდა დათვი იმ აზნაურს, თუ მთლად გადასანსლა: ხომ
 იცი, რარიგ აცოფებს შიმშილი მაგ წყეულს. თუ დარჩა რაი-
 მე, დავასაფლავებ.

მ წ ყ ე მ ს ი.

სამადლო საქმე იქნება. თუ მართლა რაიმე დარჩა, მეც
 მაჩვენე.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

კეთილი და პატიოსანი. მაშინ შენც მომეხმარები დაფ-
 ლვაში, ხომ?

მ წ ყ ე მ ს ი.

იღბლიანი დღეა, ბიჭო, იღბლიანი. კეთილი საქმე უნდა
 შევაგებოთ ამგვარ დღეს.


მოქმედება IV

შემოდის დრო, ქოროს მაგივრად.

დ რ ო.

მე მრავალთათვის სიამე ვარ. შვება და ძრწოლა
ძალმიძს მოვგვარო ქველს თუ ბოროტს. მე ვიცი
ბრძოლა

ძველ შეცდომებთან. გამცნობთ: დროა სახელი ჩემი.
გავშალე ფრთები. ნუ იტყვით, რომ მე ვარ გამცემი,
რახან სწრაფად ვფრენ და ამაღაც გავფანტავ ასე
თექვსმეტ წელიწადს და დანაკლისს არაფრით ვავსებ,
აღარ ვმოქმედებ, თუმც კი ძალმიძს კანონთა რღვევა,
ძალმიძს უეცრად მოვიტანო ჩვევით აღრევა
ან გამკვიდრება სამუდამოდ, აწ და მარადის.
დაუდგრომელი სრბოლა ჩემი კარით კარამდის,
წარსულის, აწმყოს და ყოფადის არს მარად მჩენი
მე დასაბამის მომსწრე ვარ და შეხება ჩემი
ძველს განაახლებს, ხოლო აწმყო დროის საფარი
ძველდება მისგან როგორც ჩვენი ზამთრის ზღაპარი.
ამჟამად ვითხოვ მოთმინებას და უწინარეს
გადავაბრუნებ საათს ჩემსას. ქმედების არეს
შევცვლი ანაზღად. დაუშვით, რომ იყავით ძილში:
ლეონტემ დასთმო თვისი იჭვი და სევდის ჩრდილში
აწ განისვენებს. განმარტოვდა, არვის იკარებს,
მე კი ამჟამად ბოჭემიას შევუღებ კარებს,
მსმენელნო ჩემნო, შესაძლოა მოგეხსენებათ:



ფლორიზელ ჰქვია ძეს მეფისას. განგების ნება
შე მიაძულეებს, კიდევ გამცნოთ ერთი სახელი:
ნაზი პერდიტა. მასზე ამბობს ყველა მნახველი,
რომ სიტუარფეში ვერავინ სჯობს. აწ ბედი მისი
ჯერაც არ ძალმიძს გაგიმელავნოთ. თუმც დასაწყისი
გამცნობდათ მცირედს. ახლო ხანში გამომელავნდება
თუ რა მოელის ქალს მეფისას. ამის თავდები
დრო გახლავთ თავათ. დასასრულ გთხოვთ, მიბოძოთ

ნება —

თუ მოიწყინეთ, და არ მოგწონთ ეს დროსტარება,
ან დაიქანცეთ — გისურვოთ, რომ მოწყენა მსგავსი
არ განგეცადოთ არაოდეს. წერტილი დავსვი.

ს უ რ ა თ ი I. — ბოჰემია. სრაპალატა პოლიქსენეს სასახლეში.
შემოდინ პოლიქსენე და კამილო.

პოლიქსენე.

გვედრები, ჩემო კამილო, ნულარ შემაწყენ თავს. შენთვის
უარის თქმა ჩემთვის ავად გახდომისა უდრის, მაგრამ ამჯერად
თანხმობის მოცემას სიკვდილი მიჯობს.

კამილო.

თბუთმეტი წელი შესრულდა, მეფევ ბატონო, რაც სამ-
შობლოს მოვწყდი. მართალია, უმეტესად უცხოეთში მიხდე-
ბოდა ხოლმე ყოფნა, მაინც მსურს მშობლიურ მიწას მივაბა-
რო ძვლები. გარდა ამისა, მონანიებულმა ხელმწიფემ, ჩემმა
პატრონმა, კაცი გამომიგზავნა, მისი კაეშანი ხამს მეც გავი-
ზიარო. ესეც მეორე მიზეზი ჩემი წასვლისა.

პოლიქსენე.

თუ კვლავაც გიყვარვარ, კამილო, ნუ წარხოცავ შენი წასვ-
ლით მთელს იმ სამსახურს, რაც გამიწიე შენის აქ ყოფნით.
შენ კარგად უწყი, ჩემთვის აუცილებელ კაცად გაქცია შენმა
სიქველემ. სულაც არ მწვეოდნი, ის აჯობებდა აგრე უშენოდ
დარჩენას. ამჟამად ისეთი საქმიეები მაქვს წამოწყებული, რო-
მელთაც უშენოდ თავს ვერავინ გაართმევს. ან დარჩი და და-
ასრულე ისინი, ან წყალში გადაყარე მთელი შენი სამსახური



ამ გაქცევით. იქნებ ჯეროვნად ვერ შევაფასე რაიმე. იქნებ ვერ შევიძელ დაფასება შენი ღვაწლისა — ამიერიდან მისი შევეცდები მეტი მაღლიერება გაგიმუღავნო. ჩემთვის შევების-მომგვრელი იქნება, მეგობრობა თუ დაგიდასტურე როგორმე. იმ საბედისწერო მხარეს, სიცილიას კი ნულარ მიხსენებ, გევედრები; გახსენებაც კი მზარავს, შენი თქმისა არ იყოს, იმ მონანიებულისა, აწ შემორიგებული ძმისა და ხელმწიფის, რომლის ძვირფასი ოჯახის დაკარგვა დღემდე ვერ გამოვიტირეთ. ერთი მითხარი, გეთაყვა, უკანასკნელად როდის ნახე ჩემი ვაჟი, უფლისწული ფლორიზელი? ხომ დიდი ჭმუნვაა მეფისათვის ღირსეული მემკვიდრის დაკარგვა, მაგრამ არანაკლები ურვაა უღირსი მემკვიდრის ყოლა.

კ ა მ ი ლ ო.

სამიოდე დღის წინათ შევეყარე სეფეწულს, სერ. ვერ გამიგია, რა საქმეები უნდა ჰქონდეს ასეთი საშურო, კარზე იშვიათად თუ ნახავთ ბოლოყამს, საუფლისწულო წვრთნასაც თავს არიდებს განსაკუთრებით.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

მეც ძლიერ დამათქრა მაგ ამბავმა, ჩემო კამილო, და მივუჩინე კიდევაც ჩემ მხლებელთაგანნი ზოგნი, რათა თვალყური ედევნებინათ მისი მისვლა-მოსვლისათვის. როგორც მამცნეს, ერთი უბრალო მწყემსის სახლში დაბრძანდება. არარაობას წარმოადგენდაო უწინ ის მწყემსი, არნახულად გამდიდრდაო უეცრად, მეზობლებმა არც კი უწყიანო, რა გზით.

კ ა მ ი ლ ო

მეც ყური მოვკარ, სერ: არნახული სილამაზის ასული ჰყავსო იმ კაცს, ისეთი ხმები დადის მის სილამაზეზე, გაუგებარია, იმ მივარდნილ ქოხში ვით დაიბადა ასეთი ქალი.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

მეც დაახლოებით მსგავსი ამბები მომწვდა. აგრეც ვიფიქრე, მაგ ანკესზე თუ წამოეგო-მეთქი ჩემი ვაჟი. წავიდეთ მოვინახულოთ ის ადგილი, ჩვენს ვინაობას ნუ გავამუღავნებთ, ისე დავკითხოთ მწყემსი. მდაბიორთაგანი იქნება ვინმე, იოლად გამოვძალავთ სიმართლეს, შევიტყობთ, თუ რად დაბრ-

ძანდება მანდ ეგ ვაჟბატონი. გევედრები, ამიბი
საქმეში, კამილო, განაძე შენგან ეგ ფიქრები სიცილიაზე.

კ ა მ ი ლ ო .

ვემორჩილები ბრძანებას თქვენსას.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე .

ჩემი ძვირფასი კამილო! — აბა წავიდეთ, გადავიცვათ.
(გადიან).

ს უ რ ა თ ი II. შარაგზა მწყემსის ქოხის მახლობლად.
შემოდის ავტოლიკე, სიმღერით:

გოგოვ, წამოდი მინდორში,
ველად ნარგაზი ჰყვავისო,
სისხლი ჩუხჩუხებს ძარღვებში,
გული სიამით აივსო.

საცვლებს აფენენ ღობეზე,
ქურდიც მარჯვე დროს ელისო,
და ერთი კათხა ლუდიც ხომ
უგუნებობას შევლისო.

ტოროლა გალობს წიავეთ,
შაშვი და ჩხიკვი-ჯაფარა
ჩვენ გვიმღერიან, წაწალო,
თივაა ჩვენი საფარი.

თავის დროზე უფლისწულ ფლორიზელთან ვმსახურობდი
და სამმაგი ხავერდის ჯუბასაც ვატარებდი, მაგრამ ამჟამად
უსამსახუროდ დავდივარ:

მაგრამ განა გლოვა გვმართებს?
მთვარე გაფითრდა ცაზედა,
აქეთ-იქით ხეტიალში
მაინც დავდგები გზაზედა.

ქვეყნად მკალავიც პურსა სჭამს,
ჩანთა აქვს ღორისტყავისა,
მაშ, მე რად უნდა მიჭირდეს
სხვებთან მართლება თავისა?

ჩემი საქმიანობაა საცვლები. ქორი რომ ბუდის შენებას იწყებს, წვრილ-წვრილი საცვლებიც მაშინ გამოაქვთ. მამა-ჩემმა ავტოლიკე დამარქვა. ისიც ჩემსავით მერკურის ნიშნის ქვეშ იყო გამოჭყლეთილი, ჩემსავით უყვარდა აწაბნვა უმნიშვნელო წვრილმანებისა. კამათელმა და გოგოების დევნამ აი, ამ მორთულობამდე მიმიყვანეს. ახლა წვრილმანი თაღლითობით გავდივარ ფონს. სახრჩობელას და დიდი შარაგზის თავი არა მაქვს: მათრახისა და ყულფის დანახვისას ჟრუანტელი დამივლის ხოლმე. ისე, ხვალინდელ დღეზე ფიქრით ძილს არ ვიფუჭებ. სარფაა მთავარი, სარფა!

შემოდის ოტროველა.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

მოდი, ერთი ვიანგარიშო: თერთმეტი ცხვარი — ოცდარვა გირვანქას იძლევა. ოცდარვა გირვანქა მატყლი — სტერლინგი და ორიოდე შილინგი; ხუთასი ცხვარი გავკრიჭეთ, რამდენის მატყლი გამოვიდოდა?

ავტოლიკე

(თავისთვის). მარყუჟმა თუ არ მიმტყუნა, ოფოფი ჩემია.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

საანგარიშოს გარეშე ვერას გავაწყობ. მოდი დავფიქრდე. აბა, რას ვყიდულობ მატყლის აღების დღისათვის? სამი გირვანქა შაქარი; ხუთი გირვანქა ჩიტისყურძენა; ბრინჯი — ნეტავ რას გავვიკეთებს ჩემი და ბრინჯისაგან? თუმც თავათ იცის უკეთ, მაგას არ მიახლო მამაჩემმა დიასახლისობა? ოცდაოთხი თაიგული მოუმზადა ცხვრის მკრეჭელებს. სამივე ჯგუფი მომღერალი ბიჭებია. მერმე და რა კარგად მღერიან! უმეტესობას ბანები აქვთ და პირველი ხმებია. თუმც ერთი პურიტანელი კი ურევია მათში, ფსალმუნებს რომ ამღერებს ხოლმე გუდასტვირზე. ზაფრანა მაქვს საშოვი ნამცხვრისათვის



ფერის მისაცემად; მუსკატი; ნაკის-კუდა — თუმცა არა, ეს
 მე არ მევალება. შვიდიოდე ჯავზი, ილის ორიოდე ნამცვრევი,
 ვთხოვ და ალბათ დამიმატებენ. შავი ქლიავი ოთხი გირვანქა,
 ამდენივე ქიშმიში

ავტოლიკე.

(მიწაზე კოტრილობს) ეჰ, რატომ გავჩნდი ამქვეყნად!

ოტროველა.

რა მოგივიდა, თუ ძმა ხარ!

ავტოლიკე.

ვაჰმე, მიშველეთ, მიშველეთ, ეს ძონძები გამხადეთ და
 მერმე თუნდაც მოვკვდე, თუნდაც მოვკვდე!

ოტროველა.

ჰაი, შე საბრალოვ! უფრო მეტი ძონძები უნდა შემოიხვიო
 მაგ ტანზე, მაგათ გახდაზე რაღას ლაპარაკობ.

ავტოლიკე.

ო, სერ, ესენი უფრო მაწუხებენ, ვიდრე სხეულის დაბეჭი-
 ლობა; მილიონამდე დარტყმა მივიღე. მერმე რა დარტყმები!

ოტროველა.

აჰ, საცოდავო! მილიონი დარტყმაო! ხუმრობა საქმეა?

ავტოლიკე.

გამძარცვეს, სერ, გამძარცვეს, ფული წამართვეს, ტანისა-
 მოსი წამართვეს და ეს საზიზღარი ძონძები ჩამაცვეს მის მა-
 გიერ.

ოტროველა.

ცხენოსანი იყო თუ ქვეითი?

ავტოლიკე.

ქვეითი, კეთილო სერ, ქვეითი.

ოტროველა.

ცხადია, ქვეითი იქნებოდა მაგ ძონძების პატრონი. ცხე-
 ნოსნის ჯუბა თუ იყო ეგ ოდესმე, ბევრი ქარცეცხლი გამო-

უვლია. მომეცი ხელი, წამოგაყენო. ჰა, მოიტა ხელი!
(ეშველება წამოდგომაში)



ავტორიკე.

ფრთხილად, კეთილო სერ, ფრთხილად!

ოტროველა.

აჰ, შე უბედურის დღისაჲ!

ავტორიკე.

ნელ-ნელა, სერ, გთხოვთ ნელ-ნელა წამომაყენოთ. ვშიშობ, მხარი თუ ამომივარდა.

ოტროველა.

ჰა, როგორა ხარ, დგომა შეგიძლია?

ავტორიკე.

ფრთხილად, სერ, (აცლის ჯიბიდან ქისას), ფრთხილად, თქვენი კვნესამე. ოჰ, რა სამადლო საქმე მიყავით!

ოტროველა.

ფული ხომ არ გინდა? ცოტა მექნება შენთვის...

ავტორიკე.

არა, ჩემო ბატონო, არა, ჩემო სანუკვარო ბატონო, აქვე ნათესავი მყავს, ნახევარი მილის სავალზე, მასთან მივდიოდი სწორედ. ფულსაც ის მომცემს და ყოველმხრივაც დამეხმარება. ფულს კი ნულარ შემომთავაზებ, შენი კვნესა მე, გული მიკვდება.

ოტროველა.

რა კაცი იყო ის კაცი, შენ რომ გაგძარცვა?

ავტორიკე.

სერ, ეგ კაცი ტროლ-მაი-დემსის¹ თამაშისას გავიცანი. როგორც გავიგე, უფლისწულის მსახური ყოფილა ერთ დროს, შემდეგ გამოუძევებიათ მეფის კარიდან, ვერ კი მოგახსენებთ, რა სიქველისათვის.

¹ ძველებური ინგლისური თამაში.



ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

მანკისათვის, უნდა გეთქვა. სიქველისათვის განა ამევებენ ვისმე სასახლიდან? პირიქით სიქველეს თავს ევლებიან მანდ, არსად წაგვივიდესო, თუმც დიდად კი უჭირთ მისი შეთვისება.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

სწორედ მანკს ვგულისხმობდი, სერ. მე კარგად ვიცნობ მაგ კაცს, ერთ დროს მაიმუნს დაატარებდა, მერე სასამართლოში მუშაობდა აღმასრულებლად, შემდეგ ნებართვა ჩაიგდო ხელში და „უძღებ შვილს“ სდგამდა თოჯინების თეატრში, შემდეგ მკალავს ცოლი წაართვა, ჩემი მამულიდან ერთ მილზე მცხოვრებს. შემდეგ კიდევ ბევრი საეჭვო ხელობა გამოიცვალა და ბოლოს მაწანწალა გახდა. ზოგიერთი ავტოლიკეს უძახის.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

ჰაი, ეგ წყეული ეგა! ქურდია, ჩემმა მზემ, ქურდი! ქელეხებზე დაწოწილობს, ბაზრებში დაეთრევა, დათვების ცირკშიაც ხშირად ნახავთ.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

სწორი ბრძანებაა, სერ. ეგ არის სწორედ. მაგ მაწანწალამ ჩამაგდო ამ დღეში.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

მაგაზე მხდალი მაწანწალა მთელს ბოჭემიაში არ დადის: ოდნავ თუ შეუბღვირე და ერთიც შეაფურთხე, მაშინვე მოკურცხლავს.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

გამოგიტყდებით, სერ, ვერა ვარ მოჩხუბარი. მაგან სწორედ ეგ გაითვალისწინა, მე თქვენ გარწმუნებთ.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

ჰა, როგორა ხარ ეხლა?

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

უკეთ, კეთილო სერ, გაცილებით უკეთ. ფეხზე დგომა

ძალმიძს და სიარული, ახლა დაგტოვებთ კიდევ და გავეშუ-
რები ნელ-ნელა ჩემი ნათესავის სახლისაკენ.



ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

ხომ არ წაგეხმარო სიარულში?

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

არა, ჩემო მშვენიერო ბატონო, არა შენი სულის ჭირი მე.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

გზა მშვიდობისა! სსსყიდლები მაქვს ცხვრის კრეჭის დღე-
სასწაულისათვის.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

კეთილად წარგიმართოთ, სერ (გადის ოტროველა) არ ვი-
ცი, გეყოფა თუ არა ქისაში ოქრო ტკბილეულობისათვის.
ცხვრის კრეჭაზე მეც გეახლებით: თუ მეორე ხრიკით ამ პირ-
ველს არ გადავაჭარბო, თუ ცხვრის მკრეჭელები თავად ცხვრე-
ბად არ გაქციოთ, ამომშალეთ აქედან და პატიოსნების წიგნში
ჩამწერეთ.

გასწი, გასწი ბილიკ-ბილიკ,
გადაალაგე ხაროსა,
დღეში ათას მილს გაივლი
თუ გული მუდამ ხარობსა.

ს უ რ ა თ ი III. ბოჰემია. მწყემსის ქოხი.
შემოდინ: ფლორიზელი და პერდიტა.

ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი.

ეგ უჩვეულო ტალავარი სიცოცხლეს ჰმატებს
მთელს შენს არსებას. ხორცშესხმული ფლორა ხარ
თითქოს,

აპრილის თვეში; ხოლო თქვენი დღესასწაული,
მცირე ღმერთების შესაკრებლად გადაქცეულა,
სადაც შენა ხარ დედოფალი.

პ ე რ დ ი ტ ა.



მილორდ, ძვერფასოქი
შეზღოროთეჲს

არა ხამს ჩემგან გმობა თქვენი უცნაურობის,
ო, მომიტევეთ ეგ იგამოთქმა! — თქვენს ბრწყინვალებას,
სამეფოს იმედს, გაცვეთილი ჯუბა გაცვიათ
უბრალო მწყემსის; ხოლო მე კი, მდაბიო ქალი,
ქალღმერთის დარად გამომაწყვეთ. ჩვენს წვეულებებს
რომ არ სჩვეოდეთ სიანცე და თანადამსწრენი
წესად არ სთვლიდნენ მაგგვარ ხრიკებს,

გავწითლდებოდი

თქვენი სამოსის შემხედვარე. თითქოს სარკეში
ვუჭვრეტდე ჩემს თავს!

ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი

კურთხეულიმც იყოს ის წამი,

ჩემი მწყაზარი შავარდენი როს გადმოფრინდა
ამ შენს მამულში.

პ ე რ დ ი ტ ა.

ო, გისმინოთ იუბიტერმა!

მაკრობუს უზომო იანსხვაება მე და თქვენს შორის,
ამაზრზენია ეგ სიმაღლე, თან ვთრთი ნიადაგ
როს გამიელვებს: მამათქვენი აქ რომ აღმოჩნდეს,
თქვენებრ შემთხვევით გამოვლილი, ო ბედისწერავ!
ვით გადმოხედავს კეთილშობილ ნაშიერს თვისას,
ამგვარად ჩაცმულს? რას გვიბრძანებს? ან მე ვით

დავთმობ

ამ ნასესხები მორთულობით, აქყოფნას მისას,
მის მრისხანებას, მის კუშტ მზერას?

ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი.

ნურას მოელი

გარდა შვებისა. უწყოდე, რომ თავად ღმერთები
ქედმოდრეკილნი მიჯნურობის ძალის წინაშე
ცხოველთა სახეს ღებულობდნენ: იუბიტერი
ხარად იქცა და ღრიალებდა, ხოლო ნებტუნი —
კიკინა ვერძად; თვით აპოლო ცეცხლისმთოველი,
ოქროს აპოლო გადაიქცა საბრალო მწყემსად,

ვით მე ამაჟამად. თან, უწყოდე, გარდაქმნა მათი
როდი მომხდარა ეგზომ ტურფა არსებისათვის,
განზრახვა მათი როდი იყო ეგზომ უმწიკვლო!
გულისთქმა ჩემი წინ არ უსწრებს ღირსებას ჩემსას,
ვნებაც როდია ჩემს რწმენაზე უმხურვალესი.

პ ე რ დ ი ტ ა.

თქვენი განზრახვის შეფერხება გარდუვალია --
წინ აღგიდგებათ თვით ხელმწიფის ძალმოსილება.

ამ ორთაგანი რომელიმე უნდა აღსრულდეს:

ამ მოკლე ხანში: ან თქვენ დასთმობთ განზრახვას

თქვენსას,

ან მე — სიცოცხლეს.

ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი.

საყვარელო ჩემო პერდიტა,

გთხოვ, განიშორო ეგ ფიქრები ნაძალადევი,
ნუ ჩამაშხამებ დღესასწაულს. შენი ვიქნები,
ან მივატოვებ მამულს ჩემსას: არარად მიღირს
არც ჩემი თავი, არც არავინ, თუ შენ დაგშორდი;
ეგ ყოველივე მტკიცედა მაქვს გადაწყვეტილი,
თუნდ ბედისწერაც შემედავოს. გამხიარულდი,
განაძე შენგან ეგ ფიქრები, მოავლე თვალი
ტურფა გარემოს: ჰა, სტუმრებიც მობრძანდებიან.
აღაპყრე მზერა, თითქოს დადგა დღე სანუკვარი
ქორწინებისა. უწყოდე, რომ მალე მოგვიწევს
ჩვენ ეგ სიამე.

პ ე რ დ ი ტ ა.

გევედრები, ჰოი, ფორტუნავ,

გვიპყარი ხელი.

ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი.

მოახლოვდნენ სტუმარნი თქვენნი,

აღივსე შვებით, შეეგებე პირმომცინარი,

დღეს შევიფაკლოთ შვებისაგან.

შემოდიან: მწყემსი, პოლიქსენე და კამილო გადაცმულნი, ოტ-
როველა, მოპსა, დორკა და სხვანი.



მ წ ყ ე მ ს ი.

ეჰ, ჩემო ქალო! მეუღლე რომ ცოცხალი მყავდა, ამ დღეს მნეც იყო, მზარეულიც, მესტუმრეც ზრდილი, დიასახლისიც და მსახურიც: ხვდებოდა ყველას, მღეროდა კარგად, თან ცეკვავდა, ხან აქ ნახავდით, ხან სუფრის თავში, ხანაც ბოლოს, დასტრიალებდა სტუმრებს ნიადაგ, შეფაკლული ჰქონდა ლოყები მეტი გარჯისგან; ნახულობდა ერთადერთ შვებას სხვის სმა-ჭამაში. შენ კი, აბა, სად დაკარგულხარ, თითქოს ქეიფი შენ მოგიწყვეს, თითქოს არ იყო დიასახლისი: გევედრები, უცხო მეგობრებს სთხოვე მობრძანდნენ, პურობაში შემოგვიერთდნენ, დავახლოვდებით ამდაგვარად, გავიცნობთ ურთერთს, მოდი, დააცხრე ეგ ალმური შენი ლოყების, დაუხვდი სტუმრებს, დიასახლისს როგორც შეშვენის, მაგიდისაკენ გაგვიძეხი, გაგვიმასპინძლდი, დეე, იმრავლოს შენმა ფარამ.

პ ე რ დ ი ტ ა.

(პოლიქსენესადმი) სერ, გთხოვთ მობრძანდეთ, მამამ ისურვა, რათა ვიყო ამ დღეისათვის დიასახლისი. (კამილოს) გევედრებით, მობრძანდით

მილორდ.

დორკა, მოგვართვი ყვავილები, — უფალნო ჩემნო, გვაქვს როზმარინი და ტეგანი, ისინი ხშირად ინარჩუნებენ ზამთრობამდის თვის სურნელებას: ჩვენგან სახსოვრად გთხოვთ ინებოთ. აწ კი მობრძანდით და დაგვეწვიეთ.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

მწყემსო ქალო, პირმშვენიერო, უტყუარად სთქვი, შეჰფერიან ჩვენს წლოვანებას ზამთრის ყვავილნი.

პ ე რ დ ი ტ ა.

წელიწადი ბერდება ოდეს ვიდრე ზაფხული მოკვდებოდეს, ზამთრის შობამდე, ჰყვავიან ხოლმე ყვავილები, განსაკუთრებით

დაძარღვული და ალისფერი მიხაკი ჰყვავის,
ხალხი ბუნების ბუშებს არქმევს ამ მცენარეებს,
ჩვენს ბაღს აკლია ეგ მშვენება. მე არც მიცდის
ამ ყვავილების აქ დანერგვა.

პოლიქსენე.

რისთვის ასულო?

არ მოგწონს განა?

პერდიტა.

გამიგია, სიჭრელე მათი

ხელოვნურია, ეგ არ არის დედა ბუნების
შემოქმედება.

პოლიქსენე.

სჯობს დანერგო ეგ ყვავილები

ადამიანი ხომ ბუნებას აუმჯობესებს
ბუნებისავე საშუალებით: ეგ ხელოვნება
ბუნებისავე შექმნილია, მშვენებას ჰმატებს
იგი ბუნებას. დაუკვირდი, ტურფა ასულო,
კეთილშობილ ყლორტს ხშირად ვამყნით ველურ

მცენარეს.

რათა ხენეში ჯიშის ტოტმა აღმოაცენოს
დვრიტა კეთილი: ხელოვნება არ არის განა,
დედაბუნების დამშვენება, გარდაქმნა მისი?
თვით ბუნებაა ხელოვნება.

პერდიტა.

ჭეშმარიტს ბრძანებთ.

პოლიქსენე.

მაშ გაამდიდრე ყარამფილით ეგ შენი ბაღი,
ბუნების ბუშსაც ნუ უწოდებ ამიერიდან.

პერდიტა.

მათთვის სარებსაც არ დავხარჯავ, არათუ შრომას,
ისევე როგორც ფერ-უმარილს არ მივიკარებ,
რათა ამ ჭაბუკს მოვაწონო ჩემი იერი
და ცოლად გავყვე. — ყვავილები ინებეთ, მილორდ,
ლავენდი, პიტნა, ქონდარი და თავშავა ნაზი,



ოქროსფურცელა, მზესთან ერთად რომ ხუჭავს თვალებს,
 განთიადისას რომ იღვიძებს ცრემლმორეული,
 შუაზაფხულის ყვავილები უფრო შეგფერით
 შუახნის კაცთა. გთხოვთ, მობრძანდეთ უფალნო ჩემნო!

კ ა მ ი ლ ო .

რომ ვყოფილიყავ შენს ფარაში, შევწყვეტიდი ცოხნას
 და შენის ცქერით ვიცოცხლებდი.

პ ე რ დ ი ტ ა .

ოჰ, რასა ბრძანებთ,
 იანვრის ქარი წაგიღებდათ გაძვალტყავებულს,
 შორს გაგაფრენდათ. შენ მოგმართავ ჩემო სწორფერო,
 ნეტავ მქონოდა ყვავილები საგაზაფხულო,
 შენს სიჭაბუკეს რომ შეჰფერის: თქვენც, გოგონებო,
 უბიწოების კოკრები რომ ჯერაც შვენიან
 თქვენს სათუთ რტოებს; იქნებ გვამცნო, პე პროზერპინე,
 სადღა არიან ის ყვავილნი, შენ რომ დაგცვივდნენ
 დიოსის ეტლით გატაცებულს? ის ნარგიზები,
 მერცხლების მოსვლას რომ უსწრებენ, ქარებს მარტისას
 თავის სიტურფით რომ ხიბლავენ; მკრთალი იები,
 თვით იუნონეს წამწამებზედ უნატიფესნი,
 ციტერეს სულთქმის დასაღარნი. ყოჩივარდები,
 უქორწინებლად რომ სჩვევიათ გარდაცვალება,
 ვიდრე ფოიბოსს¹ იხილავდნენ, სინათლისმთოველს, —
 (ვითარ სჩვევია ქალწულობას) — ფურისულები,
 მეფისგვირგვინა, ზამბახი და შროშანი ნაზი,
 ნეტავ გვქონოდა, ყვავილწნულებს შევთხზავდი

თქვენთვის

შემოგახვევდით დიდს და მცირეს. ჩემო სწორფერო,
 ზედ დაგათოვდა ყვავილები.

¹ ფოიბოს — აპოლონის სახელია.

ფლორიზელი.



ვით მიცვალებულს?

პერიტა

არა, ვით ბაღნარს, სიყვარულის ნატიფ სარეცელს,
და თუნდაც ცხედარს, ოღონდ არა დასატირებელს,
არამედ ჩემთვის საალერსოს. — ჰა ყვავილები,
სულთმოფენობის დღესასწაულს ვესწრები თითქოს,
გავმხიარულდი, შემიცვალა განწყობილება
ამ მორთულობამ.

ფლორიზელი.

თვითოეულს შენს მიხვრა-მოხვრას

განცვიფრებაში მოჰყავს ყველა. ოდეს საუბრობ,
მსურს ისაუბრო გამუდმებით; ოდეს მღერიხარ,
მსურს რომ იმღერო, ყიდულობ თუ ჰყიდი რაიმეს,
წყალობას გასცემ თუ ლოცულობ, ან სხვა საქმეებს
ოდეს ასრულებ ჩვეულებრივ და ოდეს ცეკვავ,
მსურს გადაიქცე ზღვის ტალღად და ტოკავდე მარად,
ნაზი ლივლივით, უხმო სრბოლა შეინარჩუნო
სამარადუამოდ, და ყოველი ქმედება შენი
უჩვეულოა, ზეადმტაცი და უცნაური,
სიცხოვლეს ჰმატებს შენს წინაშე ქმედებას მუდამ,
იერს გამშვენებს სადედოფლოს.

პერიტა

ჩემო დორიკლეს,

უზომო ქებას ნუ შემასხამთ. ეგ სიჭაბუკე,
უმანკოება თქვენი სახის, მე მეუბნება,
რომ თქვენ უბრალო და უმწიკვლო მწყემსი

ბრძანდებით,

თორემ უცილოდ გულწრფელობა დამაეჭვებდა
თქვენი ნათქვამის.

ფლორიზელი.

საფუძველი მაგდაგვარ ფიქრებს
უფრო მცირე აქვს, ვიდრე ჩემთვის — ზაკვას და
ლიქნას.

ცეკვა მომწყურდა, გევედრები, ჩემო პერდიტა,
მომეცი ხელი: განუყრელად უნდა დავწყვილდეო,
როგორც გვრიტები.

პერდიტა.

დავამოწმებ შენს ნათქვამს ფიცით.

პოლიქსენე.

მდაბიო ქალი, ეგრერიგად პირმშვენიერი
ამ მინდორ-ველებს არ უხილავთ. საოცარია
ეს მიხვრა-მოხვრა ეგზომ ნაზი, კეთილშობილი
ამგვარ ადგილას.

კამილო.

სეფეწული ეჩურჩულება,
ალმური მოსდო მთელს სახეზე. ვფიცავ, მეფეო,
ნაღებისა და არაყანის დედოფალია.

ოტროველა.

ჰა, დაუკარით!

დორკა

მოპსას ეცეკვე, დააყოლე კოცნას ნიორი,
აბა, შენ იცი!

მოპსა.

თუ გიყვარდე, გაჩუმდი ერთი!

ოტროველა.

კრინტი არ დასძრათ, კრინტი-მეთქი. აბა წესრიგი!
შენ დაუკარი!

(მუსიკა. მწყემსებისა და მწყემსი ქალების ცეკვა)

პოლიქსენე.


მოხუცო მწყემსო, ეგ ჭაბუკი ვინ უნდა იყოს,
მოხდენილად რომ ეცეკვება ქალიშვილს შენსას?

მწყემსი.

დორიკლე ჰქვია, მამულებით ტრაბახობს ხშირად,
შეძლებულია როგორცა სჩანს: მე ნათქვამს მისას
სარწმუნოდ ვიღებ. თუ არ ვცდები, წესიერია,
მიყვარსო შენი ქალიშვილი, აგრე იძახის,

მაგისიც მჯერა: წყალს რომ მთვარე დააშტერდება,
აგრე შესცქერის დღენიადაგ ჩემს ქალს თვალებში,

დღემუდამ დასდევს: მოკლედ რომ ვთქვა, ვერავინ



რომელი სჯობნის სიყვარულში, რამდენი კოცნით.

პოლიქსენე.

მართალი გითხრა, კოხტად ცეკვავს შენი ასული.

მწყემსი.

სიმართლე გითხრათ, თუმც მამა ვარ და არ შემფერის: აგრე კოხტაა ყველაფერში: ჭაბუკ დორიკლესს თუ ერგო წილად, ისეთ მზითევს გამოვაყოლებ, რომ ზმანებითაც არ ენახოს.

(შემოდის მსახური).

მსახური.

ეჰ, ბატონო, ერთი გაჩვენათ მაინც, რა მომღერალი მოგვადგა კარს, მაგ ზურნა-დუდუკს და ცეკვას თავს დაანებებდით, ეგ გუდასტვირიც აღარ აგაცუნდრუკებდათ. პაპ, პაპ, რა მომღერალია, ისე ჩქარ-ჩქარა იცვლის კილოებს, ფულის დათვლასაც ვერ მოასწრებთ. ისე მოგაყრის სიმღერებს, თითქოს ბალადებით გამობესტილაო. დიდი და მცირე მაგას უგდებს ყურს.

ოტროველა.

უკეთეს დროს ვერ შეარჩევდა აქ მოსასვლელად. შემოიყვანა აქეთ. რარიგ მიყვარს, სევდიან ამბავს რომ მხიარულად დაამღერებენ ხოლმე ბალადაში, ან სამხიარულოს რასმე გლოვის ხმაზედ რომ ააკვნესებენ.

მსახური.

რა და რა ჯურის სიმღერები არა აქვს, სულო და გულო, გინდ ქალთათვის, გინდ ვაჟთათვის: ვერც ერთი თერძი ვერ მოგარგებს აგრე ხელთათმანს: კოხტა სამიჯნურო სიმღერები გოგოებისთვის, ყოველგვარი უწმაწურობის გარეშე, რაც ძლიერ იშვიათია; სხვადასხვა ილეთები და მოძახილები იცის, მაგალითად „ჩაბლუჯე და ჩაკოცნეს“ მსგავსი და ისეთ ადგილას, სადაც ვინმე თავქეიფა გარეწარი რაიმე უკუღმართო-

ბას და სიბილწეს ჩაურევდა სიმღერაში, ქალიშვილი პასუ-
ხობს: „ჰოპლა, არაფერი მავნო, ჩემო კეთილო“, ნახად მოიშო-
რებს ვაჟს და ეტყვის: „ჰოპლა, არაფერი მავნო, ჩემო კე-
თილო“.

პოლიქსენე.

ყოჩალი ბიჭია, როგორც სჩანს.

ოტროველა.

ჩემმა მზემ თავიანი კაცია ვილაც. საქონელი თუ აქვს გამო-
ფენილი?

მსახური.

როგორ არა: ცისარტყელას შვიდივე ფერის ბაფთები; ისეთი
დახლართული, ღუგმიანი თასმები აქვს, რომ მთელი ბოჭემიის
ადვოკატებიც ვერ დახსნიან, საქმისათვის რომ დასჭირდეთ.
მოვი, დაზლის ნართი, ჩითი, ისე უმღერის ყოველივე ამას,
როგორც ღმერთებს და ქალღმერთებს. ქალღმერთს უმღე-
რისო, აგრე იფიქრებთ, პერანგისა და საყელოს მოქარგულო-
ბას რომ აქებს.

ოტროველა.

გეხვეწები შემოიყვანე. სიმღერით შემოვიდეს, უთხარი.

პერდიტა.

გააფრთხილეთ, უხეში სიტყვები არ გაურიოს სიმღერაში.

ოტროველა.

ჩემო დაიკო, მაგნაირ მეწვრილმანესთან ზოგჯერ ისეთს
რასმე წააწყდები, რასაც არ მოელი.

პერდიტა.

და რაც აზრადაც არ მოგსვლია.

(შემოდის ავტოლიკე სიმღერით:)

ფართალი — თეთრი თოვლისა,
მარმაში — ბოლო ყორნისა,
თათმანი — ვარდი დამასკის,
ცხვირის ნილაბი — ცხრა ნასკვით.
მაქვს თვლები სამაჯურისა,
სუნამო მრავალ ჯურისა,

ოქროს ბეჭდები, საცვლები,
სწორფერსამც დაენაცვლები,
ქინძისთავეები რვალისა,
ქალის შვება და ხალისი,
აბა, იყიდე, შენია,
სანამ შენს ტურფას სწყენია,
იყიდე, ჰეი, იყიდე.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

მოპსაზე რომ არ ვიყო შეყვარებული, ერთ გროშსაც ვერ მი-
იღებდი ჩემგან; ახლა კი, ასე დამონებულმა, ბათებრისა და
ხელთათმანების ხარკი უნდა ვიხადო.

მ ო პ ს ა.

თუმც სადღესასწაულოდ დამპირდი ყოველივე მაგას, მაგ-
რამ არც ახლაა გვიან.

დ ო რ კ ა.

თუ ხალხი არა სტყუის, კიდევ ბევრს რასმე დაგპირდა ეგ.

მ ო პ ს ა.

შენც ხომ დაგპირდა და მოგართვა კიდევ ყველაფერი,
მგონი, დაპირებასაც გადააჭარბა, — უკან მიცემა ალბათ შეგრ-
ცხვება.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

ეჰ, მთლად დაჰკარგეს ზრდილობა ქალიშვილებმა. მალე ალ-
ბათ კაბებს აიფარებენ სახეზე. განა ცხვრის წველისას ცო-
ტადრო გაქვთ, ან საწოლში კოტრილისას, ან ქურასთან ფუს-
ფუსისას; იქ იჩურჩულეთ, რაღა აქ აჭარტალებთ ენას, სტუმ-
რების გასაგონად? კიდევ კარგი, თავისთვის საუბრობენ. აბა,
ხმა გაკმინდეთ.

მ ო პ ს ა.

ჰა, გავათავე, ყელსაბამს არ დამპირდი და ერთ წყვილ ხელ-
თათმანს?

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

განა არ გითხარ, გზაში მომატყუეს და ფული მთლიანად
მომპარეს-მეთქი?



ავტოლიკე.

სიფრთხილზე გმართებთ, სერ, ძლიერ მომრავლდნენ თქვენი
ლითები ამდებოლოს.

ოტროველა.

ნუ გეშინია, მეგობარო, აქ არაფერს დაჰკარგავ.

ავტოლიკე.

ვიმედოვნებ, სერ; ფასიანი ვაშკარანები მაქვს თან.

ოტროველა.

რა გაქვს მანდი? ბალადები?

მოპსა.

მოდი, ვიყიდოთ რამდენიმე: აჰ, როგორ მიყვარს, წიგნად
დაბეჭდილს რომ ვნახავ, დაბეჭითებით მჯერა ხოლმე, რომ ნამ-
დვილი ამბავია.

ავტოლიკე.

აქ არის ერთი ბალადა, ძლიერ ნაღვლიან ხმაზე იმღერებდა,
იმის შესახებ, თუ როგორ შობა მევახშის ცოლმა ფულის
ოცი ტომარა და მერე როგორ ითხოვდა საჭმელად ასპიტის
თავებს და შემწვარ ბაყაყებს.

მოპსა.

მაშ, ეგ ნამდვილი ამბავია, თქვენის აზრით?

ავტოლიკე.

სრული ჭეშმარიტებაა. სულ ერთი თვის წინათ მოხდა ეს ამ-
ბავი.

დორკა.

ზენამ დამიფაროს მევახშის ცოლობისაგან!

ავტოლიკე.

აქ ბებიაქალიც არის დასახელებული, ქალბატონი ტეილ-
პორტერი¹, აქვეა ხუთი თუ ექვსი თანადამსწრე მანდილოსანი,
განა რა მრჯის რომ მოგატყუოთ?

მოპსა.

გეხვეწები იყიდე.

¹ მეპორე. (ინგ.).



ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

გადადევნი გვერდზე. მოდი, ჯერ სხვა ბალადებზე ვნახოთ, სხვა საქონელი შემდეგ დავათვალიეროთ.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

აქ არის მეორე ბალადა, თევზის შესახებ, რომელიც ოთხშაბათ დღეს, აპრილის ოთხმოცს, ორმოცი ათას წყრთაზე ახტა ზღვის დონიდან და იმღერა ბალადა გულქვა ქალიშვილების შესახებ. როგორც ფიქრობენ, ქალი უნდა ყოფილიყო უწინ, გულისმიჯნურს არ დანებდნო, ამბობენ და ამიტომ ცივ თევზად გადაიქცაო. ძლიერ გულისმომწყვლელი ბალადაა, მართალი გითხრათ.

დ ო რ კ ა.

ეგეც ნამდვილი ამბავია, თქვენის ფიქრით?

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

ხუთი მოსამართლე აწერს ხელს, მოწმეებიც იმდენია, რომ ჩემი ჩანთა ვერ დაიტევს მათ ჩვენებებს.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

ეგეც გადავდოთ. ახლა შემდეგი.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

ეს ბალადა სამხიარულო გახლავთ, ძლიერ კონტა რამეა.

მ ო პ ს ა.

მოდი სამხიარულოც შევიძინოთ.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

აი, ეს მაგალითად, სამხიარულოა. დაახლოებით ასეთ კილოზე იმღერება: „ერთი ვაჟი შეიყვარა ორმა გოგონამ“. ამ დასავლეთში ქალიშვილი არ დადის, რომ არ იცოდეს ეგ მოტივი. დიდი მოთხოვნაა ამ ბალადაზე, სიმართლე გითხრათ.

მ ო პ ს ა.

მოდი ვიმღეროთ. ჩვენ ორნი დავიწყებთ, შენ მოძახილი გვითხარ. სამ ხმაში იმღერება.

დ ო რ კ ა.

სწორედ ერთი თვის წინათ ვამღერებდით მაგას.



ავტორი კე.

მე ჩემს ხმას ვიტყვი. მაგის მეტი ხომ იცით არაფერი გაბე-
გება: აბა, დაიწყეთ.

(სიმღერა).

ავტორი კე.

გამიშვით, წავალ ჩემი გზით,
საით? არ გეტყვით არასგზით.

დორკა.

სად მიხვალ?

მოპსა.

სად მიხვალ?

დორკა:

სად მიხვალ?

მოპსა.

შენ შემომფიცე დანდობით
საიდუმლოთა განდობა,

დორკა.

მეც შემომფიცე, სად მიხვალ, სად მიხვალ, სად მიხვალ?

მოპსა.

წისქვილში თუ ბელლის მხარეს?

დარჩი ჩვენთან, გაგვახარე.

ავტორი კე

არა-მეთქი.

დორკა:

არა?

ავტორი კე

არა.

დორკა:

გახსოვს სამიჯნურო ფიცი?

მოპსა:

თითქოს ტრფობა დამიმტკიცე.

სად მიდიხარ? შეხე, შეხე, გაგვეპარა.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა

ეს სიმღერა შემდეგ ვიმღეროთ, მარტო რომ დავრჩებით: მამაჩემი და ის ბატონები რაღაც მნიშვნელოვანი საუბრით არიან გართულნი, ხელს ნუ შევუშლით. წამო, წამოიღე შენი ფუთა. ყველაფერს გიყიდით, გოგოებო, ყველაფერს. აბა, გადმოალაგე, მეწვრილმანევ, შენი საქონელი, აბა რას გვირჩევს იფთაზე. წამოდით, გოგოებო, წამოდით.

(გადის დორკასთან და მოპსასთან ერთად).

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

ძვირად დაგიჯდება, ჯერ სადა ხარ.

(მიჰყვება მათ სიმღერით).

ვის უნდა თასმა, ზონარი,
ბაფთები გაუგონარი,
ვარსკვლავის სადარებელი?
აბრეშუმი და ძაფები,
თავსამკაული, კაბები,
საამო სატარებელი?
მოგროვდით მეწვრილმანესთან,
არ დაიშუროთ მანეთი,
საქონელი მაქვს ძვირფასი,
თვალთათვის საამებელი!

(გადის)

შემოდის მსახური.

მ ს ა ხ უ რ ი.

მომისმინეთ, ჩემო ბატონო. სამი მეურმე მოგვადგა კარს, სამი მწყემსი, სამი მენახირე და სამიც მელორე. თავით ფეხებამდე მაჯლაჯუნებს ჰგვანან და იძახიან სალტირეები¹ ვართო: რაღაც ცეკვა უსწავლიათ, გოგოები იძახიან ეგ ცეკვა კი არა ცარიელი ხტომა-ბაჯბაჯიანო, თვითონ არ მონაწილეობენო მაგ ცეკვაში. თავათ კი სჯერათ, რომ თავს მოიწონებენ, თუ ვინმე არ აღმოჩნდა ბულრაობის მცოდნე და არ დაიწუნა.

¹ მსახური სიტყვა „სატირს“ ამახინჯებს



მ წ ყ ე მ ს ი.

დამეკარგონ აქედან, ისედაც ბევრს მაიმუნობენ ჩვენს შინაურები. სერ, ალბათ ძლიერ დაიქანცეთ ჩვენთან ყოფნით.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

არა, მაგრამ, ისინი კი ნამდვილად დაიქანცებოდნენ ლოდინით, ვინც ჩვენს გასართობად მოსულა აქ. მოდით გვაჩვენეთ ეგ თორმეტი მენახირე.

მ ს ა ხ უ რ ი.

სერ, ერთი სამეული იძახის, არ ვიცი თუ დაეჯერებათ, მეფის წინაშე გვიცეკვიაო. მათ შორის ყველაზე მსუბუქი თორმეტი წყრთანახევარზე ხტის.

მ წ ყ ე მ ს ი.

კმარა, ნულარ ყბედობ. რაკი ამ პატივცემულ ხალხს ესიამოვნება, შემოიყვანე. აბა, რაც შეიძლება ჩქარა.

მ ს ა ხ უ რ ი.

კარზე არიან, სერ, მომდგარნი.

(გადის).

კვლავ შემოდის მსახური; უკან მოჰყვება თორმეტი გლეხი სატირებად გადაცმული. ცეკვავენ და გადიან.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

სხვა დროისათვის მოგიყვები, ძმაო, დანარჩენს (კამილოსადმი).

დრო დადგა მათი განშორების; შესტოპეს ძლიერ, მიაპიტია ეს მოხუცი, გამოტყდა თავად.

(ფლორიზელისადმი).

ჭაბუკო მწყემსო, ნადიმობა დაგვიწყებია, გაუტაცნიხარ მიჯნურობას. სიჭაბუკისას

ოდეს მეც მყავდა გულისვარდი, მარად ვცდილობდი არ მოჰკლებოდა საჩუქრები. უხვად ვიძენდი

მეწვრილმანესთან ნაირ-ნაირ აბრეშუმეულს

და მივართმევდი მიჯნურს ჩემსას. შენ კი აქ დარჩი

და არაფერი შეიძინე მეწვრილმანესთან,

შენი გოგონა რომ შემოგწყურეს და რომ დაგწამოს



მიჯნურობაში გულცივობა, გაგიცუდდება
გება სიტყვისა. ან იქნებ გსურს რომ მიაყენო
მას წყენის ჩრდილი?

ფლორიზელი.

მხცოვანო სერ, გეტყვით სიმართლეს:
მას არად უღირს ეგზომ ფუჭი ამოება,
ბე მის საჩუქარს დავატარებ, აი, ამ გულში,
დიდი ხანია მას ეკუთვნის ეს საჩუქარი,
გადავცემ მალე. მომისმინე, ჩემო სულისდგმავ!
ამ ბერიკაცსაც განუცდია სჩანს მიჯნურობა,
მომეცი ზელი — ეგ სათუთი, უმანკო ზელი,
მტრედის ნაკრტენი რომ ვერ სჯობნის მას სითეთრეში,
ვერც ჰინდოს კბილთა სიელვარე, ვერც ჩრდილოეთის
პირველი თოვლი ქარცემული.

პოლიქსენე.

სხვას რაღას იტყვი?
განა სჭირდება გათეთრება, ჭაბუკო მწყემსო,
რისი სითეთრეც საჩინოა? თუმც უკაცრავად,
გაგვაგებინეთ, რა გსურთ ამცნოთ თანადამსწრეთა,
ან დაფიცება რად გჭირდებათ?

ფლორიზელი.

მოწმეობას გთხოვთ.

პოლიქსენე.

ჩემს მეზობელსაც?

ფლორიზელი.

მეზობლებსაც და მახლობლებსაც,
ადამიანებს, ცას, ქვეყანას და ყოველივეს:
რომ ვყოფილიყავ უდიდესი მეფეთა შორის,
ღირსთაგან ღირსი, მზეჭაბუკი პირმშვენიერი,
ჯერ არნახული სიბრძნისა და ძალაუფლების, —
ამ ყოველივეს მივიჩნევდი არარაობად,
ვამჯობინებდი მის სიყვარულს. უკუვაგდებდი
სოფლის დიდებას, თუ მომთხოვდნენ მიჯნურთან გაყრას,
აი, ეს გახლავთ ჩემი ფიცი.

პოლიქსენე.

კამილო.

გულწრფელი გრძნობა ამეტყველებს.

მწყემსი.

ასულო ჩემო,

თუ ხარ თანახმა?

პერიტა

ვერ გამოვთქვამ უკეთ ჩემს სათქმელს,
ვერც დავალაგებ, ვერც გულისთქმას გადმოგცემთ ჩემსას,
თუმცა გრძნობა ჩემი მისი გრძნობის სიწმინდეს ჰბაძავს
და მას მიჰყვება.

მწყემსი.

დაჰკა ხელი, გავრიგებულვართ.
ჩვენი უცნობი მეგობრები მოწმედ დავისწროთ:
გაგატან ჩემს ქალს და იზითევსაც გამოგაყოლებ
შენი ქონების თანასწორსა.

ფლორიზელი.

ქონებას ჩემსას
მხოლოდ სიქველე აიწონის შენი ქალისა,
და როს მოკვდება ერთი ვინმე — ქონება ჩემი
აღგავსებთ ყველას განცვიფრებით. მაშ ვთქვათ პირობა,
ჩვენი სტუმრები მოწმეებად დაგვიდგებიან.

მწყემსი.

გავრიგებულვართ. ჩქარა, ხელი გამომიწოდე,
შენც, ჩემო ქალო.

პოლიქსენე.

შეიცადეთ მცირეოდენი.

სთქვი, მამა თუ გყავს?

ფლორიზელი.

ღიახაც მყავს. ეგ რად იკითხეთ?



პოლიქსენე.
უწყის თუ არა ეგ ამბავი?

ფლორიზელი.

არ უწყის, მილორდ.

პოლიქსენე.
მე ვფიქრობ, მამა,
ძის ნიშნობაზე ჩაითვლება სასურველ სტუმრად,
დამამშვენებლად პურობისა. ერთი მითხარი
იქნებ დაბერდა მამაშენი, და სიბერეში
დაჰკარგა გონი? იქნებ სრულად გამოეთიშა
გარემო ყოფას? საუბარი თუ შეუძლია,
კაცს თუ გაარჩევს კაცისაგან? ხომ საქმიანობს?
თუ ლოგინზეა მიჯაჭვული? იქნებ გაბავშვდა
და აღარ უწყის თუ რასა იქმს?

ფლორიზელი.

არა, უფალო,

ჯანმგარია, ძის ასაკში ძნელად თუ ნახავთ
მაგგვარ სიმრთელეს.

პოლიქსენე.

გეფიცებით აი ამ თეთრ წვერს,
ეგ თუ აგრეა, არ შეჰფერის მსგავსი ქმედება
ღირსებას ძისას. ჩემმა შვილმა დე, შეარჩიოს
მეუღლე თავად, მაგრამ განა არა ხამს მისგან
მამის მოწვევა, რომლის შვება და სიხარული
ვაქია მხოლოდ? რჩევა მაინც გეკითხა მისთვის
აქ წამოსვლისას.

ფლორიზელი.

გეთანხმებით, უფალო ჩემო,
მაგრამ მამაჩემს ვერ გავანდობ ამა განზრახვას
და რა მიზეზით, დღეს ვერ გამცნობთ, გთხოვთ
მომიტევით.

პოლიქსენე.

იქნებ აცნობო მამას შენსას ეგ არჩევანი?



ფლორიზელი.
მევერ ვიქმ მაგას.

პოლიქსენე.

გევედრები.

ფლორიზელი.

არ ძალმიძს-მეთქი.

მწყემსი.

შეატყობინე, შვილო ჩემო, არ დამწუხრდება
როცა დალანდავს შენს საცოლეს.

ფლორიზელი.

კარგი, გვეყოფა,

დავთქვათ ნიშნობა.

პოლიქსენე.

(გამოაშკარავდება). გაყრა დასთქვით, ჭაბუკო ქველო,
მე შენ ვაყს აღარ დაგიძახებ. არა ხარ ღირსი,
ტახტის მემკვიდრემ, უფლისწულმა რომ ამჯობინე
სკიპტრას კომბალი. შენ, ბებერო ქვეგამხედვარო,
ვაი, რომ შენი ჩამოხრჩობა სიცოცხლეს შენსას
ერთი კვირითღა შეამოკლებს! — შენც, მოხდენილო,
მოხერხებულო კუდიანო, ალბათ უწყოდი,
რომ სეფეწული გააშმაგე...

მწყემსი.

ოჰ, ჩემი გული!

პოლიქსენე.

დავაკაწვრინებ მაგ სახეს და მაშინ შენს ჯილაგს
გადააჭარბებ სიმახინჯით. შენ კი, ყმაწვილო,
თუკი გაჰბედავ და ერთს მაინც ამოიოხრებ,
ამ თოჯინას როს დაშორდება — მაშინ უწყოდე,
დაუყოვნებლივ წაგერთმევა მემკვიდრეობა,
დევეკალიონზე! შორებელად ჩაგთვლი, იცოდე,

1 ბერძნ. მით. — ყველა ადამიანის წინაპარი.



ნათესავადაც არ გიგულებ: დაიმახსოვრე
 სიტყვანი ჩემნი. აწ მოგვეყვი სასახლისაკენ,
 შენ კი, გაგრიავ, მოიწიე შენს თავზე რისხვა,
 თუმც კი ამჯერად გადაურჩი სიკვდილით დასჯას.
 შენ, ჯადოქარო, ჭეშმარიტად მისი ღირსი ხარ,
 თუმც ჩემს ნაშვილს, ჩემი მოდგმის მომაცივნებელს,
 შენგვარი ქალიც არ ეკუთვნის. დაიმახსოვრე,
 თუ კვლავ გაუღებ მას ქოხის კარს ამიერიდან
 და ხვევნა-კოცნით გააბრუებ კვლავინდებურად,
 აღაზრზენ სიკვდილს ვერ ასცდები, იმდენად სასტიკს,
 რამდენადაც თვით ძაბუნის ხარ.

(გადის).

პ ე რ დ ი ტ ა.

ჰა, დასასრულიც!

არც კი შევმკრთალვარ, დავაპირე შეპაექრება
 რამდენიმეჯერ. მსურდა მეთქვა დაბეჯითებით,
 რომ იგივე მზე, მის სასახლეს რომ აფრქვევს სხივებს,
 ჩვენს მდაბიო ქოხს სახეს თვისას როდი არიდებს,
 როდი უცხოობს. რაღა დაგვრჩია? სერ, თქვენ
 წაბრძანდით,

მე მოგახსენეთ, რას გვიქადდა ეს ყოველივე.
 გთხოვთ, გაუფრთხილდეთ თქვენს მომავალს, ჩემი
 ზმანება

განქარწყლდა უკვე, დედოფლობას მოეღო ბოლო,
 რა დამრჩენია ტირილის და ცხვრის წველის გარდა!

კ ა მ ი ლ ო.

მოხუცო, იქნებ გვითხრა რამე, სულთამხუთავი
 კარს მოგდგომია.

მ წ ყ ე მ ს ი.

ვერას ვამბობ, ფიქრიც გამირბის,
 ეს რა გავიგე, ნეტავ სულაც არ გამეგონა,
 ოთხმოცდასამი წლის ბერიკაცს ეს რა მომწიეთ,
 საფლავში მშვიდად განსვენებას ველოდებოდი,
 ზამისა ჩემის სარეცელზე სიკვდილს ვნატრობდი,
 მოვუწვეები-თქო პატიოსან ძვლებს მისას გვერდით,



აწ კი ჯალათი გადამაცმევს ტანზე სუდარას,
 მღვდელიც არ მოვა ჩემს საფლავზე.—აჰ, დაწყველილი,
 თურმე იცოდი უფლისწულთან რომ გქონდა საქმე,
 მაინც გაბედე! დავილუბე, აჰ, დავილუბე!
 სიკვდილი მაინც მოვიდოდეს, არაფერს ვეძებ
 სიკვდილის გარდა სხვას არაფერს...

ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი.

რას მომაცქერდი?

მე როდი ვშიშობ, ვწუხვარ მხოლოდ: გადაიდება
 ქორწილი ჩვენი. უცვლელია ჩემი განზრახვა,
 თუმც მოისურვეს მოდრეკა და ალაგმვა ჩემი,
 მე მაინც ჩემსას არ დავიშლი.

კ ა მ ი ლ ო.

ძვირფასო მილორდ,

თქვენ კარგად უწყით ხასიათი მამითქვენისა,
 აწ დახშულია სმენა მისი — თქვენც, ჩემის აზრით,
 მასთან საუბარს არ აპირებთ. ამუამად, ვგონებ,
 თვალით დანახვაც არ სურს თქვენი, ამიტომ გირჩევთ,
 ვიდრე დასცხრება გულისწყრომა ხელმწიფის ჩვენის
 ნუ გამოჩნდებით მის წინაშე.

ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი.

არც განმიზრახავს.

კამილო, თქვენა?

კ ა მ ი ლ ო.

მე გახლავართ, ბატონო ჩემო.

პ ე რ დ ი ტ ა.

რა ხშირად მითქვამს, ყველაფერი განქარწყლდება-თქო!
 ღირსება ჩემი გასტანს-მეთქი მხოლოდ მანამდე,
 ვიდრე ხელმწიფეს ამცნობს ვინმე...

ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი.

ღირსებას შენსას,

ორგულობა თუ წარხოცს ჩემი. მაშინ ბუნებამ
 დეე წარხოცოს დედამიწა, გააცამტვეროს

და ჩანასახიც მოსპოს მისი. აღაპყრე მზერა!
მამავ, შენ გქონდეს მთელი შენი მემკვიდრეობა,
მე ჩემი გრძნობის მემკვიდრე ვარ.



კ ა მ ი ლ ო.

ისმინეთ რჩევა.

ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი.

ჩემი მრჩეველი სიყვარული! არის მარტოდენ
და თუ გონება აღარ მომცემს თანხმობას, მაშინ
სრული სიშმაგე მირჩევნია გონიერებას,
მას მივენდობი.

კ ა მ ი ლ ო.

ნუ წარიკვეთთ მაგგვარად სასოს.

ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი.

დე, იყოს აგრე: მე ამგვარი სასოწარკვეთა
ფიცის გატეხვას ამარიდებს. ჩემო კამილო,
ბოჭემიას და მთელს დიდებას მისი კარიას,
მთელს ცათაქვეშეთს, საბრძანებელს დიადი მზისას,
მიწის სიღრმეში შთამალულს თუ ზღვაში არსებულს,
არად ჩავაგდებ, თუ მომთხოვენ ფიცის გატეხვას
ან ჩემს მიჯნურთან განშორებას. ამადაც გვედრი
ვით მამის ჩემის მეგობარს და კეთილისმყოფელს,
როს გაგშორდებით — მტკიცედა მაქვს გადაწყვეტილი
არხილვა მისი, — ნუ მოაკლებ სალბუნს რჩევისას,
დაუცხრე რისხვა: მე კა, ჩემი ბედის ანაბრად
შევეჭიდები ჩემს მომავალს. — ეგ ყოველივე
აცნობეთ წერილად: ზღვას გავყვები დაუყოვნებლივ
მიჯნურთან ერთად, რახან ხმელზე არ მაყენებენ;
საბედნიეროდ, ხომალდიც მყავს აქ შორიახლოს,
იცდის ღუზაზე, თუმც არ გახლავთ განმზადებული
შორი გზისათვის. აღარ გეტყვი მიმართულებას
არად გჭირდებათ თქვენ შეტყობა ჩემი გეზისა
და ვერც გაგანდობთ.



კ ა მ ი ლ ო.

მომისმინეთ, ძვირფასო მილორდო
მე ვისურვებდი გული თქვენი ისმენდეს რჩევას
ან განსაცდელში მეტ სიმტკიცეს იჩენდეს იგი.

ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი.

ჩემო პერდიტა, მომისმინე რა უნდა გითხრა.
(გაჰყავს პერდიტა განზე.)

თქვენც გისმენთ, მილორდო.

კ ა მ ი ლ ო.

უდრეკია განზრახვა მისი.
გაქცევას ფიქრობს. იქნებოდა ბედნიერება
რომ გამეწია სამსახური ყმაწვილისათვის,
საფრთხისგან მეხსნა, თავდადება გამომეჩინა,
თვალი მომეკრა ჩემი ტურფა სიცილიისთვის,
ურვილი მეფე, ბედდამწვარი პატრონი ჩემი
მეხილა თანაც.

ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი.

გეთხოვებით, ჩემო კამილო.
დატვირთული ვარ საქმეებით მომეტებულად,
ცერემონიას ნულარ მომთხოვთ.

კ ა მ ი ლ ო.

მილორდო, მე ვფიქრობ,
გაგიგონიათ, მამას თქვენსას რარიგ ვუყვარვარ,
ღვაწლიც მიმიძღვის მის წინაშე.

ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი.

თქვენივე სიქველით
დაიბსახურეთ ეგ ყოველი: მამაჩემისთვის
უსაყვარლესი ჰანგი გახლავთ ლაპარაკისას
ქება-დიდება თქვენი საქმის. მარადის ფიქრობს
სამაგიერო ვით მოგიზღათ.

კ ა მ ი ლ ო.

მილორდო, ძვირფასო,
თუ სიყვარული ჩემი უწყით ხელმწიფისადმი,



უახლოესნი ნათესავნი არ მეყვარება,
 უსაყვარლესნი ამავე დროს? — აბა, დაფიქრდით,
 იქნებ ცვლილება შეიტანოთ მცირეოდენი
 მაგ თქვენს გეგმაში — დაენდეთ ჩემს პატიოსნებას —
 მე მიგითითებთ ისეთ მხარეს, სადაც მიღებას
 გაგიმართავენ შესაფერისს. სადაც თქვენ შესძლებთ
 დასტკბეთ მიჯნურთან სიახლოვით. მე როგორც ვატყობ,
 არარას ძალუძს თქვენი გაყრა სიკვდილის გარდა
 დე, დაგიფაროთ ზენა არსმა, მუნ დაქორწინდით,
 თქვენს არყოფნაში შევეცდები ყოველნაირად
 ზოვულობო გული მამას თქვენსას ჭმუნვით დაზაფრულს
 და კვლავ განვაწყო სასიკეთოდ.

ფლორიზელი.

როგორ, კამილო,

ნუთუ მოხდება სასწაული ეგზომ უეცრად?
 მაშინ ზეკაცად ჩაითვლები, შენდამი ნდობაც
 გაასკეცდება!

კამილო.

მარქვით, მილორდ, თუ გიფიქრიათ

სად აპირებდით გამგზავრებას?

ფლორიზელი.

არ გვიფიქრია:

ბრმა შემთხვევაა დამნაშავე ჩვენს შეხვედრაში,
 ბრმად დავაპირეთ ცვალებადი ბედის დანდობა,
 მივენდობოდით ასევე ბრმად ზღვის ქარის ქროლას
 განუკითხველნი...

კამილო.

მაშ, მისმინეთ, ძვირფასო მილორდ,

თუ ჭეშმარიტად განგიზრახავთ თქვენ გადახვეწა,
 გეზი აიღეთ სიცილიის სამეფოსაკენ,
 მუნ წარუდგინეთ თქვენი თავი და მომავალი
 მეუღლე თქვენი სიცილიის მეფეს, ლეონტეს.
 თან ტალავარიც შეურჩიეთ, როგორც შეშვენის
 მეუღლეს თქვენსას. თითქოს ვხედავ მეფეს წინასწარ,

მკლავებგაშლილი სიხარულით ვით გეგებებათ,
ცრემლმორეული გევედრებათ ვაჟს პატიებას
მამის მადიერ. ხელზე ჰკოცნის ასულს მეფისას
აღტაცებული; საუბარში კვლავ გადასწვდება
სიავეს წარსულს და სიკეთეს — პირველს დასწყევლის
სამარადისოდ, და ისურვებს მეორის გაზრდას
უსაზღვრობამდე...

ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი.

ღირსეულო, ჩემო კამილო
სთქვი რა სარჩული მოვუძებნო სტუმრობას ჩემსას
ხელმწიფის კარზე?

კ ა მ ი ლ ო.

მამათქვენი გაგზავნით თითქოს,
მოკითხვას უთვლის და სამძიმარს მეგობარს თვისას.
მასთან მოქცევა ვით აჯობებს, თავის დაჭერა,
ან მამისაგან რა ამბები უნდა გადასცეთ,
ამას მე გამცნობთ, ჩამოგიწერთ ქალაქდზე წვრილად,
თუ შეხვედრისას რარიგ უნდა ილაპარაკოთ,
ან რა აღნიშნოთ: დარწმუნდება იგი მაშინვე,
რომ მამითქვენის გული გიცემთ მგზნებარე მკერდში.
და მისი პირი გამეტყველებთ.


ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი.

მადლობას გიძღვნით
საქმიანი სიხანს ეგ განზრახვა.

კ ა მ ი ლ ო.

განა რას მოგცემთ
უგზოდ, უმიზნოდ ხეტიალი უცხო მხარეში,
ზღვასა და ხმელზე, უნაცნობოდ, უთავშესაფროდ,
ვინ გამოგიწვდით ხელს საშველად ან სანუგეშოდ?
განსაცდელიდან განსაცდლამდე უნდა იაროთ,
მხოლოდ ღუზას თუ დაენდობით გაჩერებისას,
ოდეს ჩაუშვებთ უცხო წყლებში და უნებლიე
გიწევთ ლოდინი; ამავე დროს, ხომ უწყით კარგად,
რომ სიყვარულის პირობაა კეთილდღეობა,

ხოლო განსაცდელს ძალუძს შეცვლა მცინარე სახის
და თვით გულისაც.



პერდიტა.

ნაწილობრივ მართალსა ბრძანებთ,
განსაცდელს ძალუძს სახის შეცვლა, გაფერმკრთალება,
გულს კი ვერ შესცვლის ვერასოდეს.

კამილო.

შენ აგრე ფიქრობ?
ვფიცავ თქვენს ქოხში შვიდ წელიწადს არ გამოჩნდება
შენგვარი ქალი.

ფლორიზელი.

უნდა გითხრათ, ჩემო კამილო,
თუმც დაბადებით ჩამოგვრჩება იგი საკმაოდ,
ზრდილობა მისი განგაცვიფრებთ.

კამილო.

სამწუხაროა,
წვრთნა რომ ჰქონოდა, მასწავლებლებს დაარიგებდა
სიქველით სრულით.

პერდიტა.

დაგიმოწმებთ ჩემი შეფაკლვა
მადლიერებას.

ფლორიზელი.

საყვარელო ჩემო პერდიტა!
რა ეკლიანი გზა მოგველის! — ჩემო კამილო,
მამისა ჩემის გადამრჩენო და მხსნელო ჩემო,
სალბუნო ჩვენი ოჯახისავე! რარიგ მოვიქცე:
ტანთ არ მაცვია ვით უფლისწულს შეეფერება,
სიცილიაში ვით გამოვჩნდე?

კამილო.

ნუ დარდობთ, მილორდ.
მოგეხსენებათ, მთელი ჩემი ავლადიდება
იქ არის დღესაც, მე მომანდეთ ეგ საზრუნავი,
მეფურ ტალავარს მოგიძებხით, თავად ვიქნები

სცენის ავტორიც და დამდგმელიც. აბა მობრძანდით,
ყური დამიგდეთ, მოგახსენებთ აწ ყოველივეს სტრუქტურული
ბიზნისი
(განზე საუბრობენ)

შემოდის ავტოლიკე.

ავტოლიკე.

ჰაი, ჰაი, რა სულელია ეს პატიოსნება! მისი ძმადნაფიცი
ნდობაც კარგი გამოჩერჩეტებული ვინმეა. მთელი ჩემი ნაგავი
გავასაღე. თაღლითი ქვეები, ბაფთები, სარკეები, სუნამო, უბის
წიგნაკი, ბალადა, დანა, ჭინჭი, ხელთათმანი, ფენსაცმლის ზო-
ნარი, სამაჯური, რქის ბეჭედი — ყველაფერი უკლებლივ გა-
საღდა. ისე მოაწყდნენ ჩემს ნაყარნუყარ საქონელს, თითქოს
ეს არის, მაღლი რიგდებო. ამ ალიაქოთში კარგად შევათვა-
ლიერე ვის უფრო გამოტენილი ჰქონდა ქისა; შევათვალიერე
და კარგადაც დავიმახსოვრე. იმ ჩემ ოტროველასაც კარგა
ბევრი აკლია თავში, ისე გაბრუვდა გოგოების სიმღერით, ფე-
ხიც არ მოიცვალა ადგილიდან, სანამ არ დაისწავლა სიტყვე-
ბიც და ჰანგიცა. ამის მეოხებით დანარჩენმა ფარამაც ჩემს
გარშემო მოიყარა თავი. სმენად იყვნენ გადაქცეულნი, ასე
იტყოდი, გრძნობა-გონება დაჩლუნგებიათო: მიდი, უსინჯე
ჯიბეები რამდენიც გენებოს. განა მარტო ქისებს, ძეწკვებზე
მიბმულ გასაღებებსაც კი მოაქლიბავდა კაცი. აღარც არა-
ფერს გრძნობდნენ, აღარც არაფერი ეყურებოდათ, ჩემი ვაჟ-
ბატონის სიმღერასლა უსმენდნენ: ამასობაში მეც დრო ვი-
ხელთე და წავაჭერი უმეტესობას სადღესასწაულო ქისები.
ბერიკაცი რომ არ მოსულიყო და ღრიანცელი არ აეტება უფ-
ლისწულისა და მისი ქალის გამო და არ დაეფრთხო ჩემი ჭილ-
ყვავები, ერთ ქისასაც აღარ დავტოვებდი ცოცხალს მთელს
ლაშქარში.

კამილო.

თქვენს ჩაბრძანებას ხომ ჩაუსწრებს ჩემი უსტარი
და გაირკვევა ყოველივე, რაც საეჭვოა.

ფლორიზელი.

თქვენაც მიიღებთ ლეონტესგან ალბათ წერილებს.



კ ა მ ი ლ ო.

მაგით მოღებე მამათქვენს!

პ ე რ დ ი ტ ა.

თქვენს პირს შაქარი!

ქეშმარიტია ეგ ბრძანება.

კ ა მ ი ლ ო.

ეს ვილა არის?
(შენიშნავს ავტოლიკეს)

გამოვიყენოთ იარაღად ჩვენ ეს ყმაწვილი,
ნურას დავტოვებთ მოუხმარად.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

თუ გაიგონეს ჩემი ნალაპარაკევი, მორჩა, სახრჩობელას
ვეღარ წაუვალ.

კ ა მ ი ლ ო.

რაო, რას ცახცახებ შე კაიკაცო, რა დაგემართა? ნუ გეში-
ნია, არაფერს გავნებთ.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

ერთი საწყალი კაცი ვარ, სერ.

კ ა მ ი ლ ო.

ხარ და იყავი. არავინ წაგართმევს მაგას. ახლა კი შენი
გარეგანი სიღარიბე უნდა გაგვიცვალო სიმდიდრეში. გაიხადე
ტანზე, აუცილებლობა მოითხოვს, რომ შენ ტანსაცმელი გაუ-
ცვალო აი, ამ ჯენტლმენს. თუმც ერთი ორი პენსით ძვირია ეს
ქულაჯა შენს ტანსაცმელზე, მაინც გამორჩები ხეირს.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

ერთი საწყალი კაცი ვარ, სერ (თავისთვის) გიცნობთ, გიც-
ნობთ კარგად.

კ ა მ ი ლ ო.

დააჩქარე, თუ ძმა ხარ, ხომ ხედავ სანახევროდ ტყავგახ-
დილია უკვე ეს ჯენტლმენი.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

რაო, არ ხუმრობთ, სერ? (თავისთვის) ეჰ, რაღაც ხრიკის
სუნი უდის ამ საქმეს.



ფლორიზელი.
დააჩქარე, თუ ძმა ხარ.

ავტოლიკე
მართალია, ნაღდი საქმეა, მაგრამ სინდისი მაინც არ მად-
ლევს ნებას.

კამილო.
გაიძრე, გაიძრე.
(ფლორიზელი და ავტოლიკე უცვლიან ერთმანეთს ტანისა-
მოსს).

ფეხბედნიერო ქალბატონო! აღსრულდებოდეს
წინათქმა ჩემი! შეინიღბოთ უნდა როგორმე,
გამოგადგებათ ალბათ ქუდი თქვენი მიჯნურის,
ჩამოიფხატეთ თვალებამდე, დამალეთ სახე,
შექლესამებრ შეიფუთნეთ, რათა შეიძლოთ
(ხომ უწყით თვალი ყველგან არის) — გემში ჩაჯდომა
შეუმჩნეველად.

პერიტა.
როგორც ვხედავ ამ პიესაში
წილად მხვდა როლი...

კამილო.
სხვა არ გახლავთ გამოსავალი
ხომ დაასრულეთ გახდა-ჩაცმა?

ფლორიზელი.
რომ მნახოს მამამ,
უარს იტყოდა თავის ვაჟზე.

კამილო.
ჰა თქვენი ქუდიც.
(აწვდის ქუდს პერიტას).

აბა, ვიჩქაროთ, ქალბატონო! ნახვამდის ძმაო.

ავტოლიკე.
ნახვამდის, მილორდ.



ფლორიზელი.

ოჰ, პერდიტა, რა დაგვსვიწყდა!

მოდრი გაგიხარა. (განზე საუბრობენ).

კამილო.

(თავისთვის) ახლა კი მივალ ხელმწიფესთან და

მოვახსენებ

მათ გადახვეწას, მოვახსენებ საით წავიდნენ, თან ვიმედოვნებ, ზეგავლენას მოვახდენ მასზე, რათა გავსდიოთ გაქცეულებს და მასთან ერთად ვნახავ ჩემს ტურფა სიცილიას; სევდა მომაწვა, ველარ ვძლებ მეტად.

ფლორიზელი.

დაგვაჩქარე, ჰოი, ფორტუნავ!

ჩემო კამილო, ჩვენ მივდივართ ზღვის ნაპირისკენ.

კამილო.

რაც უფრო მეტად აჩქარდებით, უმჯობესია.

(გადიან ფლორიზელი, პერდიტა და კამილო).

ავტოლიკე.

მიგიხვდით ყველაფერს, გავიგონე ყველაფერი: მახვილი ყური, გამჭრიახი თვალი და მარჯვე ხელი — სხვა რა სჭირდება ქისის ქურდს. კარგი მგრძნობიარე ცხვირიც საჭიროა, რომ კარგად გაყნოსო სამუშაო. როგორც ვხედავ ჩვენს დროში მარტო არამზადა თუ გაიტანს თავს. აბა, რა ფასი აქვს მუშაობას სარფის გარეშე, ან სარფა რაა მუშაობის გარეშე? როგორც სჩანს ღმერთები გვწყალობენ წლეულს, მზად ყოფნაა ყოველ წუთს საჭირო. თავათ უფლისწული სჩადის უკუღმართობას, მამამისს გაექცა ფეხებზე ბორკილშებმული! პატიოსნებად რომ არ მიმაჩნდეს მეფის ყურამდე ამ ამბის მიტანა, ვამცნობდი უთუოდ, მაგრამ ვინაიდან არამზადობად მიმაჩნია ამის დაფიცვა, დავფიცავ და ამით აღარ გამოვალ ჩემი ხელობის მოღალატე.

(შემოდიან: ოტროველა და მწყემსი).

აბა განზე, განზე, თავიანი კაცი აქ ბევრს რასმე გამოჩე-
ბა: ყოველი ქუჩის კუთხეში, ყოველ დუქანში, ეკლესიაში,
სამართლოში თუ სახრჩობელასთან ყელამდისაა სამუშაო სა-
ზრიანი კაცისთვის.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

დამიჯერე-მეთქი, რომ გეუბნები! რა კაცი ხარ ნეტავ ვი-
ცოდე! სხვა გზა არ არის, უნდა მოვახსენოთ ხელმწიფეს, რომ
ეგ არ არის შენი სისხლი და ხორცი, მიგდებულნი რომ ვიპო-
ვეთ...

მ წ ყ ე მ ს ი: არა, მომისმინე...

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

დაიცა, კაცო, დაიცა...

მ წ ყ ე მ ს ი.

ჰა განაგრძე.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

ჰოდა, რახან შენი სისხლი და ხორცი არ ყოფილა ეგ ქალი,
მეფისათვის შენს სისხლსა და ხორცს კი არ მოუყენებია შეუ-
რაცხყოფა, არამედ სხვასა. ასე რომ შენი სისხლი და ხორცი
აღარ უნდა დასაჯოს მეფემ. უჩვენე ყველაფერი, რაც ბაღლ-
თან ერთად იპოვნე, რასაც ატარებს, უჩვენე ის საიდუმლო
ნივთები და მერმე გიყარონ კაკალი. ვერაფერსაც ვეღარ და-
გაკლებენ.

მ წ ყ ე მ ს ი.

ყველაფერს მოვახსენებ ხელმწიფეს, ყოველ სიტყვას,
დიახ, ყოველ სიტყვას, თავისი ვაჟის ოინებსაც მოვახსენებ, არ
ყოფილა ეგ კაი კაცი. არც მამამისისათვის, არც ჩემთვის. არც
მამამისს დააყარა ხეირი, არც მე, ლამის ხელმწიფის მძახლად
არ მაქცია, მაგ მუდრეგმა, ჰა?

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

მართლაც რომ მძახალი ხდებოდი ხელმწიფისა, არც მეტი,
არც ნაკლები. მაშინ კი გაძვირდებოდა შენი სისხლი, ერთი
უნცია რა ეღირებოდა ნეტავი!

ავ ტ ო ლ ი კ ე.

(თავისთვის) რა ჭკუის კოლოფები ხართ, თქვე მამაძალღე-
ბო!

მ წყ ე მ ს ი.

წამო, ვეახლოთ შეფეს. ეგ ამბავი კარგად დააფიქრებს მაგას და წვერის ქავილსაც აუტეხავს.



ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

განა არ შეუშლის ხელს ეგ ამბავი ჩემი ბატონის გაქცევას?

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

გულით ვილოცოთ, რომ სასახლეში დაგვიხვდეს.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

მართალია, ბუნებით არა ვარ პატიოსანი, მაგრამ ზოგჯერ, შემთხვევით, პატიოსანი კაცის როლში გამოვდივარ ხოლმე. მოდი მოვიშორო ეს მეწვერილმანის სამკაულები (იხსნის ხელოვნურ წვერს). ჰეი, თქვენ, გაგრიებო, საით გაგიწევიათ?

მ წყ ე მ ს ი.

სასახლისაკენ, თქვენო ბრწყინვალება.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

რა საქმე გაქვთ სასახლეში, ვისთან და რატომ მიდიხართ, რა გაქვთ მაგ ფუთაში, თქვენი საცხოვრებელი ადგილი, სახელები, წლოვანება, ქონება, მდგომარეობა და ყველაფერი რაც საჭიროა, მომახსენეთ.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

უბრალო ხალხი ვართ, სერ.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

სცრუობ. უხეში და ბანჯგვლიანი ხალხი ხართ. არ გაბედოთ ტყუილის თქმა: ტყუილი მხოლოდ ვაჭრებს შეჰფერით. ისინი ხშირად გვატყუებენ ჩვენ, ჯარისკაცებს: ჩვენ კი სანაცვლოდ ზარაფხანაში მოჭრილ ფულს ვაძლევთ და არა სიკვდილის შემოსველ ფოლადს; ასე რომ ტყუილსაც უფასოდ როდი ვღებულობთ.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

თქვენი ბრწყინვალება თავათ მოგვართმევდა ტყუილს მაგის თქმით.



მ წ ყ ე მ ს ი.

ნება მიბოძეთ, სერ, მოგმართოთ: კარისკაცი ხომ არ ბრძანდებით?

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

გიბოძებ თუ არ გიბოძებ — მაინც კარისკაცი ვარ. ტანისამოსზე მაინც ვერ მამჩნევ კარისკაცობას? ან სიარულზე? განა არ გცემს ჩემგან სასახლის სუნი? ან იქნებ შენს გაუთლელობას კარისკაცულის ზიზღით არ დავცქერი? ან იქნებ გგონია, რახან შენს საქმეში ცხვირსა ვყოფ და ვიძიებ, არა ვარ კარისკაცი? კარისკაცი ვარ თხემით ტერფამდე, მაშ! თან ისეთი კარისკაცი, შენი საქმის გაკეთებაც რომ შეუძლია და წახდენაც სამეფო კარზე. ამიტომაც გიბრძანებ მომახსენო, რა საქმეზე ხარ მოსული.

მ წ ყ ე მ ს ი.

მე ხელმწიფესთან მაქვს საქმე, სერ.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

აღვოკატი გყავს მერმე?

მ წ ყ ე მ ს ი.

არ ვიცი, თქვენი კვნესამე.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

აღვოკატი ხოხობს ჰქვია სასახლის ენაზე. უთხარი არა მყავს-თქო.

მ წ ყ ე მ ს ი.

არა მყავს, სერ, ხოხობი, არც დედალი, არც მამალი.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

ნეტარნი ვართ ჩვენ, ჩინებულნი ამა სოფლისა!

თუმც, შესაძლოა, ამათგვარი გავჩენილიყავ,

აღარ დავცინებ, აღარც ზიზღით შევესიტყვები.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

ეგ ვილაცაა, დიდი ვეზირი უნდა იყოს.

მ წ ყ ე მ ს ი.

მდიდრულად კი აცვია, მაგრამ კოხტად ვერ იშნობს ტანსაცმელს.



ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

თავს განზრახ იგიჟიანებს, უფრო კეთილშობილი გამოვიჩინებოდეო: დიდი კაცია, ნამდვილად. კბილების გამოხეხვაზე ეტყობა.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

ეგ ფუთა რაღაა? რა გაქვს მანდ? რად გინდა ეგ ყუთი?

მ წ ყ ე მ ს ი.

სერ, ამ ფუთაში და ამ ყუთში ისეთ საიდუმლოებებს ვინახავ, რომელნიც მარტო ხელმწიფემ უნდა იცოდეს. ამ წუთსავე რომ ვნახო სალაპარაკოდ, ყოველივეს ვამცნობდი.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

ბერიკაცო, ამაოდ გარჯილხარ.

მ წ ყ ე მ ს ი.

ვითომ რაღაო, სერ?

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

მეფე ამჟამად სასახლეში არ იმყოფება. იგი ახალ ხომალდში ჩაბრძანდა, რათა გაისეირნოს და დარდი გაიქარვოს ოდნავ. თუ შედის შენს ტვინში მნიშვნელოვანი ამბები, უნდა იცოდე, რომ ხელმწიფე ერთობ დანადვლიანებული ბრძანდება.

მ წ ყ ე მ ს ი.

აგრე ამბობენ, სერ, უფლისწულმა მოაყვანინა გულიო. მწყემსის ქალის შერთვა დააპირაო.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

თუ ეგ მწყემსი ჯერ არ დაუჭერიათ, დეე, გაიქცეს. ისეთი წყევლაა მაგის თავს, ისეთი წამება მოელის რომ ვის არ გასტეხავს წელში, რა ურჩხულს არ გაუხეთქავს გულს!

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

მაშ, აგრე ფიქრობთ, სერ?

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

განა მარტო მის თავზე გადატყდება ყოველივე სიმძიმე და საშინელება, რასაც შურისმაძიებელი ადამიანის ჭკუა მოიგონებს; ნათესაობასაც არ დაადგება ხეირი. ორმოცდამეათე თაობამდე ყველას სახრჩობელა მოელის. მართალია, დიდი საცოდაობაა, მაგრამ აუცილებლობა მოითხოვს და რას იზამ!

ბებერმა ცხვარიკრეჭია არამზადამ, მწყემსმა, ყოჩის მღევნელ-
მა, მოისურვა რომ მისი ქალი წყალობის ღირსი გამხდარიყო!
ზოგი ამბობს ქვით ჩაქოლავენო. მაგრამ ეგეც ცოტაა მისთვის.
ჰმ, ჩვენი ტახტი და ფარეხი! რა და რა წამებით სიკვდილიც არ
უნდა მიუსაჯონ, არ კმარა, უსასტიკესიც უკმარია ასეთ შემ-
თხვევაში.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

ვაჟი თუ ჰყავს იმ ბერიკაცს, სერ?

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

დიახ, ჰყავს ვაჟი და იმ ვაჟს ცოცხლად გაატყავენ. შემდეგ
თაფლს წაუსვამენ და კრაზანის ბუდესთან დასვამენ, სანამ
სამი მეოთხედით და ერთი მისხლით არ მოკვდება. შემდეგ გა-
ზოაცოცხლებენ ბრენდით ან სხვა მაგარი სასმელით და ასეთ
ყოფაში მიაყუდებენ აგურის ღობეზე. ყველაზე ცხელ ღღეს
შეურჩევენ, პროგნოზის მიხედვით, ისე რომ მზე სამხრეთი
თვალით დაჰყურებდეს ზევიდან და ასე, ყველას დასანახად
ბუზებს დააჰმევიანებენ. თუმც რაღას ვლაპარაკობთ მაგ ქვე-
გამხედვარ არამზადებზე, მთელი მაგათი უბედურება ღიმი-
ლის მეტს არაფერს უნდა იწვევდეს, ესოდენ მძიმეა მათი და-
ნაშაული. უბრალო და პატიოსანი ხალხი ჩანხართ, მითხარით,
რა საქმე გაქვთ მეფესთან? თუ კარგად დამიფასებთ, გაგიყ-
ვანთ მასთან გემზე, თქვენს თავს წარვუდგენ მეფეს, ერთ-ორ
სიტყვასაც ვუჩურობთ თქვენს სასარგებლოდ; და თუ ამ-
ქვეყნად, ხელმწიფის გარდა, მოიპოვება თქვენთვის სასარგებ-
ლო კაცი, ასეთად მე მიგულებთ.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

დიდად უფლებამოსილი კაცია, როგორც სჩანს. მოდი, მიეცი
ოქრო, ხომ იცი, რა გარდანიქეშანიც უნდა იყოს, ოქრო მა-
ინც ცხვირით ატარებს. უჩვენე შენი ქისის შიდა სარჩული,
ხელი ჩააყოფინე შიგნით და მოჩა. დაიმახსოვრე რაცა სთქვა:
„ჩაქოლავენო, ცოცხლად გაატყავენო“.

მ წ ყ ე ზ ს ი.

იქნებ ინებოთ, სერ, ჩვენი საქმის აღება. აი მთელი ჩემი
ოქრო: კიდევ ერთ ამდენს მოგართმევთ და ამ ახალგაზრდასაც
ბეს მაგივრად დავტოვებ, სანამ უკან დავბრუნდები.



ავტორი კე.

როცა დანაპირებს შეგისრულებთ, არა?

მწყემსი.

დიახ, სერ.

ავტორი კე.

კარგი, მომეცი ნაწილი. თქვენც წილი გაქვთ ამ საქმეში?

ოტროველა.

ასე თუ ისე, სერ. მართალია ულაზათო ბოხჩაში ვზივარ, მაგრამ იმედი მაინცა მაქვს, რომ აღარ გამომაძვრენენ აქედან.

ავტორი კე.

თქვენ რა შუაში ხართ, ეგ იმ მწყემსის ვაჟს მოელის. უნდა ჩამოახრჩო ეგ გარეწარი, მაშინ თუ ისწავლიან სხვები ჭკუას.

ოტროველა.

კარგი ნუგეშია, კარგი. უნდა ვეახლოთ მეფეს, უნდა ვაჩვენოთ ეს საკვირველი ნივთები, უნდა გაიგოს, რომ ეგ არც მამიჩემის ქალიშვილია და არც ჩემი და, თუ არადა დავიღუპენით... სერ, იმდენსავე მოგართმევთ, რამდენსაც ეს ბერიკაცი ბეს მაგივრობასაც გავწევ, სანამ თანხას მოიტანს.

ავტორი კე.

მე მჯერა თქვენი. იარეთ წინ, ზღვის მიმართულებით, მარჯვნივ გეჭიროთ გეზი. ერთს გადავიხედავ ღობის იქით და დაგეწევით.

ოტროველა.

ჩემმა მზემ, წყალობამ მოგვივლინა ეს კაცი.

მწყემსი.

წამო წავიდეთ, საითაც გვიბრძანებს, მხსნელი მოგვივლინა განგებამ, მხსნელი!

(გადიან მწყემსი და ოტროველა)

ავტორი კე.

აღბათ პატიოსნების გზაზე დადგომა კიდევ რომ განვიზრახო, ფორტუნა აღარ დამანებებს. პირდაპირ გზაზე მაქვედრებს

საკბილოს. ორმაგი საქმე გაკეთდა დღეს: ერთის მხრივ, ოქრო
ჩავიჯიბე, მეორეს მხრივ კი უფლისწულს, ჩემს პატრონს სარ-
გებლობა მოვუტანე. ვინ იცის კვლავ დამაწინაურონ ამ
საქმისათვის. ახლა იმ ორ უსინათლო თხუნელას სეფეწულს
მივუყვან გემზე, თუ საჭიროდ ჩასთვლის და კვლავ ნაპირზე
გადასვამს, თუ მისი აზრით ამათი საჩივარი მას არ ეხება, დაე
დამარქვას ავაზაკი ამ გულმოდგინეობისათვის. უკვე შევეგუე
ამ წოდებას და მთელს იმ სირცხვილს, რაც მას თან ახლავს. ასე
რომ უფლისწულთან მიმყავს ეს ხალხი, ვინ იცის, რა მოხდება.

(გადის).

მოქმედება V

ს უ რ ა თ ი I.

სიცილია. სრაპალატა ლეონტეს სასახლეში. შემოდინ: ლეონტე,
კლეომენე, დიონე, პოლინა და მსახურნი.

კ ლ ე ო მ ე ნ ე .

მილორდ, საკმაო ჟამი წარხდა, წმინდანის მსგავსად
გლოვაში ხართ და სინანულში: თუ რამ შესცოდეთ
გამოისყიდა თქვენმა ურვამ ალბათ ყოველი,
თვითდასჯა თქვენი დანაშაულს აჭარბებს თქვენსას,
აწ დავიწყებულს ზეცის მიერ. მე ვგონებ დროა
თქვენც მიუტევოთ საკუთარ თავს.

ლ ე ო ნ ტ ე .

ოდეს ვიხსენებ

მის გარეგნობას, მის სინაზეს, თვალწინ მიდგება
ჩემი ქმედება. ვფიქრობ, ვფიქრობ გამუდმებულად,
თუ რა მოვსწიე საკუთარ თავს: სამეფო ჩემი
ტახტის მემკვიდრეს ვერ ეღირსა, მეც დამეკარგა
უსაყვარლესი მეგობარი, არ ვიცი ვისმეს
ოდესმე მსგავსი თუ ჰყოლია.

პ ო ლ ი ნ ა .

ჰეშმარიტს ბრძანებთ.

მთელი სამყაროს მანდილოსნებს რომ შეეუღლოთ,
თვითეულისგან რომ აიღოთ კეთილთვისება
და სრულყოფილი იდეალი შეჰქმნათ ქალისა,

თქვენს მიერ მოკლულს ვერ დასჩრდილავს.

ლ ე ო ნ ტ ე.



ქართული
საქმიანობა

მეც აგრე ვფიქრობ.

ღიას, მოვკალი, მაგრამ მაინც ნუ შემახსენებ
გული წყლულდება უმეტესად. ოჰ, რა მძაფრია
ეგ შენი სიტყვა, ვით ზიზხამავს გრძნობა-გონებას!
ნულარ მახსენებ, გთხოვ, დამზოგო.

კ ლ ე ო მ ე ნ ე.

ო, ქალბატონო,

ნუ ბრძანებთ მაგას. მრავალი რამ გახლავთ სათქმელი
რაც სარგებლობას მოგვიტანდა და თქვენს სიქველეს
წარმოაჩინდა უმეტესად.

პ ო ლ ი ნ ა.

თქვენ და თქვენგვარებს

დაქორწინება გნებავთ მისი.

დ ი ო ნ ე.

ვისაც ეგ არ სურს,

არ ებრალება სახელმწიფო, არცთუ პატივს სცემს
მის მეუფებას. ქალბატონო, წუთით დაფიქრდით
რა საფრთხე გველის თუ მემკვიდრე არ შეეძინა
სიცილიის ტახტს? დაინგრევა სამეფო ჩვენი,
განურჩეველთაც შთანთქავს აღძვრა. განა რას გვავენებს
რომ განვიხაროთ ჩვენ დედოფლის ნეტარხსენებით
და ამავე დროს მოვუშუშოთ ხელმწიფეს წყლული,
აწ საამებლად, მომავალში საბედნიეროდ,
თანამეცხედრე შევურჩიოთ ღირსთაგან ღირსი,
ცხედრისა მისის დამამშვენი?

პ ო ლ ი ნ ა.

ვინ გამოჩნდება

აწ გარდაცვლილის შესადარი? ამის კიდევან
ღმერთებმა უნდა აღასრულონ ფარული ზრახვა,
განა აპოლო ღვთაებრივი არ ბრძანებს თავათ,
განა წინათქმა სამისნოსი არ მიგვითითებს,
რომ ჩვენს ხელმწიფეს სხვა მემკვიდრე არ ეღირსება
ვიდრე არ ჰპოვებს დაკარგულ ასულს? თუმც მსგავსი
საქმე

კაცურ გონებას ჩვენსას ძლიერ ეუცხოება,
ისევე როგორც ანტიგონეს მკვდრებით აღდგომა
და ჩემთან მოსვლა: მე მჯერა რომ მეუღლე ჩემი
იმ ჩხვილთან ერთად დაიღუპა. ასე რომ, მილორდ,
ვერ ეთანხმება რჩევა თქვენი განგებას ციურს,
ღმერთების ნებას არად აგდებთ.

(ლეონტესადმი)

სერ, ნუ ინაღვლებთ,

ტახტის მემკვიდრე გამოჩნდება: ალექსანდრე დიდს
ხომ შეენაცვლა ღირსთა შორის ღირსი მემკვიდრე?
კვლავ გამოჩნდება მჯობის მჯობი.

ლ ე ო ნ ტ ე.

ქველო პოლინა,

შენ ჰერმიონეს ხსოვნას იცავ და უფრთხილდები,
მე კარგად მესმის. აჰ ნეტავი ყური დამეგდო
შენი რჩევითვის! იქნებოდა დღესაც ცოცხალი
მეუღლე ჩემი, და კვლავადვე განმამდიდრებდნენ
ბაგენი მისნი სიტკბოებით.

პ ო ლ ი ნ ა.

მათთვის კი მაინც

არ მოიკლებდა ის სიმდიდრე.

ლ ე ო ნ ტ ე.

ქეშმარიტს ბრძანებ.

სადღა შევხვდები მის შესადარს? აწ უარესი
შევირთო თუნდაც, ბედნიერი შევუქმნა ყოფა,
ხომ წამოდგება საფლავიდან სულკურთხეული,
სამდურავს გვეტყვის თვისი ხსოვნის შებღალვისათვის,
რად მივიწყებო, შემომწყრება.


პ ო ლ ი ნ ა.

დანამდვილებით. თუკი შეიძლებს.

ლ ე ო ნ ტ ე.

და მაშინ ხომ მომაშობინებს

ახლადშერთულსაც.



პოლინა.

ჰეშმარიტად, რომ ვყოფილიყავ,

აჩრდილი ქვეყნად მოარული, ჩაგახედებდი
იმის მზერაში, გაჩვენებდი გაყინულ თვალებს
შენი ცოლისას, შევკვივლებდი ანაზდეულად,
გულისმომწყვლელად, ამაზრზენად შემოგძახებდი:
„გაიხსენე-თქო თვალნი ჩემნი“.

ლ ე ო ნ ტ ე.

აჰ, ვარსკვლავები!

დამწვარ ნახშირს თუ შევადარებ ყველა სხვა თვალებს!
ჩემო პოლინა, შიში ნუ გაქვს, არვის შევირთავ.

პოლინა.

მაშ, დაიფიცეთ, რომ ნებართვას აიღებთ ჩემგან.

ლ ე ო ნ ტ ე.

აგრემც იკუთხოს სული ჩემი უკუნისამდე.

პოლინა.

დაიმახსოვრეთ, დიდებულნო, ეს ზენაარი.

კ ლ ე ო მ ე ნ ე.

გთხოვთ, მეტისმეტად ნუ აძალებთ.

პოლინა.

თუ არ იხილავს

თავისი თვალით ჰერმიონეს განმეორებას,
არვის შევირთავს.

კ ლ ე ო მ ე ნ ე.

ქალბატონო, გთხოვთ, მომისმინოთ...

პოლინა.

თუ მოისურვოს ცოლის შერთვა ჩვენმა ხელმწიფემ
(მოისურვოს-თქო, მაშინ ვითხოვ მისგან რწმუნებას)
დედოფალს თავათ ამოვურჩევ: თუმც არ იქნება
იგი იმდენად ახალგაზრდა, ვით ჰერმიონე,
მაგრამ ლანდივით ემსგავსება მეუღლეს თქვენსას,
გულში ჩაიკრავთ სიხარულით.



ლ ე ო ნ ტ ე.

ცოლს არ შევირთავ, შენს ბრძანებას დაველოდები.

პ ო ლ ი ნ ა.

ეგ მხოლოდ მაშინ თუ მოხდება როს დედოფალი
კვლავ სულს ჩაიდგამს.

(შემოდის აზნაური).

ა ზ ნ ა უ რ ი.

ჭაბუკი ვინმე პრინც ფლორიზელს უხმობს თავისთავს,
პოლიქსენეს ძეს. უტურფესი ახლავს ასული,
ჯერ არნახული სილამაზის. სურს, რომ ეახლოს
თქვენს ხელმწიფებას.

ლ ე ო ნ ტ ე.

მამის მისის დიდებულებას

ამგვარი წვევა არ შეშვენის: ეგზომ უეცრად,
მოუმზადებლად კარს მოდგომა გვაფიქრებინებს,
რომ ეგ სტუმრობა უჩვეულო გამოიწვია
საშურო საქმემ. სთქვი, ვინ ახლავს?

ა ზ ნ ა უ რ ი.

ორიოდ კაცი,

თან უბრალონი.

ლ ე ო ნ ტ ე.

მაშ, შენის თქმით ასულიც ახლავს?


ა ზ ნ ა უ რ ი.

დედამიწაზე არ დაუდგამს ფეხი აროდეს
მსგავს მზეთუნახავს, ხელმწიფეო.

პ ო ლ ი ნ ა.

ო, ჰერმიონე,

აწმყო ტრაბახობს ხშირად მსგავსი თვითდარწმუნებით
წარსულის ჯობნას — დღეს გზას უთმობს საფლავი შენი
აწ გამოჩენილ სიახლეებს. არ გახსოვთ განა,
თავად ბრძანებდით, თავად სწერდით — თუმც კი
ამჟამად



გაცუდდა თქვენი მეტყველება, — „არ ყოფილაო,
არც იქნებაო მისი მსგავსი მთელს ქვეყანაზე?“
აგრე აქებდა თქვენი ლექსი სიტურფეს მისას,
აწ კი გაუქმდა, რახან ბრძანებთ საპირისპიროს.

ა ზ ნ ა უ რ ი.

გთხოვთ მომიტევეთ, ქალბატონო უსათნოესო,
პირველი თითქოს დამავიწყდა — გთხოვთ მოტევებას —
ამ მეორეს კი — როს თვალდათვალ იხილავთ ყველა,
ადარ დასცხრებით მისი ხოტბით. რომ განიზრახოს
შექმნა სექტისა — მიაღწევდა დიდ წარმატებას,
შემოიკრებდა პროზელიტებს თავის გარშემო,
წაწყოფით ოდენ.

პ ო ლ ი ნ ა.

რასა ბრძანებთ, განა ქალებსაც?

ა ზ ნ ა უ რ ი.

შეიყვარებენ მას დიაცნი, რადგან ღირსება
მამაკაცისას სჭარბობს მისი. ხოლო მამაცნი —
ვით ქალთა შორის უნატიფესს.

ლ ე ო ნ ტ ე.

გთხოვთ კლეომენეს

კეთილშობილი მეგობრები აიყოლიოთ
და აქ მოგვგვაროთ ჩამოსულნი (გადიან კლეომენე და
სხვ.)

საოცარია,

აგრე უჩუმრად რად გვეწვია.

პ ო ლ ი ნ ა.

სეფეწულს ჩვენსას

ძვირფას მარგალიტს ყრმათა შორის რომ შეხვედროდა,
იმეგობრებდნენ ურთიერთში: ორიოდ კვირით
გახლავთ უფროსი.

ლ ე ო ნ ტ ე.

გევედრები, ნულარ მახსენებ:

განა არ იცი, რომ ხსენებით ჰკლავ მას ხელახლა?



მე ამ ყმაწვილის დანახვისას შენი ნათქვამი
რომ გამახსენდეს, შესაძლოა დავკარგო გონი
ანაზღეულად. ჰა, მოდიან ჩვენი სტუმრებიც.
(შემოდინან კლეომენე და სხვანი. შემდეგ —
ფლორიზელი და პერდიტა.)

სჩანს დედათქვენმა უერთგულა თანამეცხედრეს
რახან აღბეჭდა მისი სახე ესოდენ ზუსტად
თქვენი ჩასახვით: ოცდაერთის რომ ვყოფილიყავ,
იმდენად ჰგავხართ მამას თქვენსას სიჭაბუკეში,
ძმას გიწოდებდით უეჭველად, ჩვეულებისებრ,
ჩამოგიგდებდით თანაც სიტყვას წარსულ დღეებზე,
და ჩვენს ყმაწვილურ ოინებზე. სალამი თქვენდა!
მეფის ასული ქალღმერთსა ჰგავს. ჰოი, საწუთროვ,
სწორედ ასევე აერთებდა ცასა და მიწას
მეუღლე ჩემი. აცვიფრებდა იგი მნახველებს,
ვით თქვენ აცვიფრებთ: მასთან ერთად გამოვესალმე
ხალისს და შვებას ამსოფლიურს, თანაც დავკარგე
სიყვარული და მეგობრობა მამითქვენისა.
აწ თუმც ჭმუნვისგან დავიზაფრე, მწადია მაინც
დალანდვა მისი კიდევ ერთხელ.

ფლორიზელი.

მისის ბრძანებით

ვეახელ ტურფა სიცილიას, მისგანვე მომაქვს
სალამი თქვენთვის, ხელმწიფეს და მეგობარს თვისას
უთვლის მოკითხვას: სნეულებამ დაჰრია ხელი,
ხანდაზმულობის თანამგზავრმა, შეჭბორკა მცირედ
სწრაფვანი მისნი, თორემ ალბათ შესძლებდა თავად
გაღევას წყალთა და ტრამალთა მანძილებისას
და გეწვეოდათ. სიყვარული დიდი აქვს თქვენი,
„ყველა სკიპტრებს და სკიპტრისმპყრობელთ

მირჩევნიხართო“

აგრე მიბრძანა მოგახსენოთ.

ლეონტე.

ოჰ, ძმავ ჩემო

კეთილშობილო, შეგამთხვიე რამდენი წყენა!



გული მიკვდება როს ვიხსენებ. ესოდენ ქველი
ეგ ყურადღება მხილებაა ჩემი სისუსტის
და მცონარების. გესალმებით როგორც გაზაფხულს
ეს დედამიწა! დიდად მიკვირს რარიგ მიანდეთ
ეს საოცრება პოსეიდონს გაგულისებულს,
მის მრისხანებას და ან თუნდაც უხიაგობას,
რათა გეხილათ იგი, ვინაც არ ღირს დაშვრომად,
არც თავგანწირვად მითუმეტეს?

ფლორიზელი.

მეფევ ბატონო,

ლიბიელია წარმოშობით.

ლეონტე.

ლიბიას მართავს

სმალუსი ქველი, მტერთა რისხვა, მოყვასთ სიამე.

ფლორიზელი.

დიახ, მეფეო, მაგ ქვეყნიდან. იგი ქალს თვისას
გამოეთხოვა ცრემლთა დენით: გამოვეშურეთ,
თან სამხრეთიდან ზურგის ქარი წამოგვეშველა,
საბედნიეროდ. შევასრულეთ მამის ბრძანება
და გეახელით. დავითხოვე დიდი ნაწილი
ტაძრეულისა სიცილიის ნაპირებიდან,
ბოჭემიისკენ გაეშურნენ, რათა აცნობონ
ეს დამოყვრება ლიბიასთან, თან ამავე დროს
ჩვენი ჩამოსვლა, სამშვიდობო ღუზის ჩაშვება
თქვენს ნაპირებთან.

ლეონტე.

ვევედრები კურთხეულ ღმერთებს
მოიღონ მადლი და განწმინდონ აქაურობა
თქვენს აქ ყოფნაში. ღვთისნიერი მამა გყავთ, მილორდ,
უსპეტაკესი. ამასთანავე, გამოგიტყდებით,
ცოდვა მიმიძღვის მის წინაშე მიუტევები,
რისთვისაც ზენამ რისხვა თვისი თავს მომივლინა:
უმემკვიდრეოდ დავრჩი დღემდე, ხოლო მამათქვენს
ზენა განგებამ მოუვლინა თქვენდარი ვაჟი,

ღირსი მემკვიდრე. აჰ, ორივე ვინეტარებდით,
ძე და ასული რომ მყოლოდა თვალთ საამებლად
თქვენ ორის მსგავსი.

(შემოდის კარისკაცი)

კ ა რ ი ს კ ა ც ი.

მომისმინეთ, მეფევ ბატონო.

თქვენს ყურთასმენას ჩემი სიტყვა ეუცხოება,
მაგრამ საბუთი აქვე გახლავთ, ხელმწიფევ ჩემო;
მოგესალმებათ ჩემის პირით ბოჰემთა მეფე,
გთხოვთ დააკავოთ მისი ვაჟი რომელმაც ფეხით
გასთელა ტახტის ღირსება და ვალდებულება,
საკუთარ მამას გამოექცა, გამოიტაცა
მწყემსის ასული...

ლ ე ო ნ ტ ე.

ბოჰემიის მეფე სადღაა?!

კ ა რ ი ს კ ა ც ი.

აჰ, თქვენს ქალაქში, სწორედ მისგან მოვეშურები,
თუმც დაბნეულად მოგახსენებთ: მეუცხოება
ეს უჩვეულო დავალება. თქვენი კარისკენ
როს ისწრაფვოდა, ვით მდევარი გამალებული
ამათ დევნაში შეეყარა გზაზე უეცრად
ამ თვითმარქვიას ძმას და მამას, აქ ჩამოსულებს,
დასტოვეს თურმე მათ სამკვიდრო და გაძოსდიეს
ჭაბუკ სეფეწულს.

ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი.

ღალატია კამილოს მხრიდან,

თუმც ყოველგვარი გამოცდები გამოუვლია
სიქველეს მისას აქამომდე.

კ ა რ ი ს კ ა ც ი.

ეგ მოახსენეთ

თავად კამილოს. მეფეს ახლავს...

ლ ე ო ნ ტ ე.

ვინა? კამილო?



კ ა რ ი ს კ ა ც ი.

ღიახ, მეფეო, ეს-ესაა რაც ვესაუბრე,
იმ მდაბიორებს დაჰკითხავდა. არსად მიხილავს
ეგზომ საბრალო მდაბიორნი: მუხლზე ხობავენ,
მიწას ჰკოცნიან, ყოველ სიტყვას ფიცს აშველებენ,
მეფე ყურებში თითებს იცობს და თან უქადის
ათასგვარ სიკვდილს და წამებას.

პ ე რ დ ი ტ ა.

საბრალო მამა!

ზენამ მღევარი მოგვიჩინა: ალბათ ამქვეყნად
არ გვიწერია შეუღლება!

ლ ე ო ნ ტ ე.

ცოლ-ქმარი თუ ხართ?

ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი.

არა, მეფეო და როგორც სჩანს, არ გვიწერია,
ალბათ ვარსკვლავნი დაჰკოცნიან უმაღლ ამ მინდვრებს:
ამაო გახლავთ ყოველი ცდა.

ლ ე ო ნ ტ ე.

მისმინეთ, მილორდ,

მეფის ქალია ეს გოგონა?

ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი.

არა, არ გახლავთ,

მაგრამ გახდება, რამეთუ ჩვენ დავქორწინდებით.

ლ ე ო ნ ტ ე.

სჩანს მაგ „გახდებას“ აღსრულება არ უწერია,
თუ მამათქვენმა არ ისურვა. მე ძლიერ ვწუხვარ,
რომ სიყვარული შეიბღალა თქვენი მისდამი,
მოვალეობაც დაივიწყეთ. მე ძლიერ ვწუხვარ,
რომ ამ მშვენიერს წარმოშობა ხელს ვერ უმართავს,
რა გაეწყობა!

ფ ლ ო რ ი ზ ე ლ ი.

სასურველო, აღაპყარ მზერა!

თუმც ბედისწერა აღარ დასცხრა ჩვენი მტერობით,



ქართული
ენების
სწავლის
სამეცნიერო
ცენტრი

თუმც არ გვეხსნება მამაჩემი — ნუ შეშინდები, ჩვენს დაშორებას ვერვინ შესძლებს. მეფევ ბატონო, გთხოვთ გაიხსენოთ ჟამი თქვენის სიჭაბუკისა, თქვენც ხომ მიჯნური ბრძანდებოდით, ვით მე ამჟამად, გთხოვთ დაგვეხმაროთ. თქვენი თხოვნა თუ შეგვეწევა, ვიცი, რომ მამა უძვირფასესს არად ჩააგდებს.

ლ ე ო ნ ტ ე.

მაშ, თუ აგრეა შევავედრებ ჩვენს ძვირფას სასძლოს, რომელსაც იგი არად აგდებს.

პ ო ლ ი ნ ა.

პატრონო ჩემო,

უზომო ხოტბას ნუ შეასხამთ: დედოფალს ჩვენსას ერთი თვით აღრე სიკვდილამდე არა ნაკლები ჰქონდა იერი.

ლ ე ო ნ ტ ე.

სწორედ იგი მახსენდებოდა,

აი, ამ მზერამ გამახსენა (ფლორიზელისადმი), მილორდ, თქვენს თხოვნას

ჯერ ვერ ვბასუხობ. მამას თქვენსას შევეგებები, თუ თქვენს ღირსებას არ შელახავს თქვენივე სურვილი, კვლავაც მიგულებთ თქვენს მეგობრად: მივეშურები ამ დავალებით. გთხოვთ, მომდიოთ დაუყოვნებლივ, თან დაუკვირდეთ ჩემს ქმედებას: აბა, გავსწიოთ!

(გადიან)

ს უ რ ა თ ი II.

სიცილია. სასახლის წინა ეზო.
შემოდინან: ავტოლიკე და აზნაური.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

— გევედრებით, სერ, მითხარით, დაესწარით თუ არა მთავარ სცენას?



პირველი აზნაური.

— მე დავესწარი ტომრის გახსნას, ყური მოვკარი მწყემსის მონათხრობს, თუ როგორ იპოვნა ის ნივთები, თანადამსწრენი ჯერ გახედნენ, შემდეგ დაუყოვნებლივ დაგვატოვებინეს პალატა. ერთადერთი, რაც დამამახსოვრდა, ის იყო რომ მწყემსმა სთქვა, ვიპოვნეო ბალდი.

ავტოლიკე.

მთელის გულით მსურს შევიტყო, რა შედეგი მოჰყვა ყოველივე ამას.

პირველი აზნაური.

მე მხოლოდ დაახლოებით ძალმიძს მოგახსენოთ საქმის ვითარება. პირველი, რაც შევამჩნიე მეფესა და კამილოს, ეს იყო გაოცება. სახტადდარჩენილნი შეაჩერდნენ ურთიერთს, აგრე იფიქრებდით, თვალები ამოუცვივდებათო საცაა. მახსოვს მათი მრავლისმეტყველი სიძუნჯე, მათი ჟესტები, მათი სახეები, თითქოს ქვეყანა ეს-ესაა რაც გადარჩა დაქცევას, ან ეს-ესაა უნდა დაიქცესო. რა ბრძენიც არ უნდა ყოფილიყო მათი შემყურე, განცვიფრების გარდა ვერას შეამჩნევდა საქმის ვითარებაში გაურკვეველად, ვერც იმას გამოიცნობდა, სიხარული ამოდრავებდათ თუ მწუხარება. ერთ-ერთი ამათგანის უკიდურესობა კი აშკარად მეღავენდებოდა მათში. აი, ამ ჯენტლმენს უფრო მეტი ეცოდინება, ჩემის აზრით.

(შემოდის მეორე აზნაური).

რა ამბებია, როჯერო?

მეორე აზნაური.

შუშხუნები, შუშხუნები; სამისნოს წინათქმა ასრულდა, აღმოჩნდა მეფის ასული: იმდენი საოცრება გამოვლინდა ამ ერთ საათში, მთელი ქვეყნის მგოსნებიც ვერ აღწერენ. აგერ, ლედი პოლინას მოურავიც მობრძანდება, ის უფრო მეტს გვამცნობს.

(შემოდის მესამე აზნაური).

სერ, გვიბრძანეთ, რა ამბავია? ეს ახალი ამბები იმდენად ჰგვანან ძველებურ ზღაპრებს, რომ მათს სინამდვილეში იოლად

დაეჭვდება კაცი. მაშ, დაუბრუნდაო ჩვენს ხელმწიფეს ტახ-
ტის მემკვიდრე?



მ ე ს ა მ ე ა ზ ნ ა უ რ ი.

სრული სიმართლეა, სერ, სრული ჭეშმარიტება. იმდენად იჭვმიუტანელი საბუთებია, შემიძლია დავიფიცო, ჩემი თვალით ვნახე მეთქი, თუმც მხოლოდ გადმოცემულს მოგითხრობთ. დედოფლის, ჰერმიონეს მანტია, მისივე ძვირფასი მანიაკი, ანტიგონეს წერილებიც კი აღმოჩნდა, ხელწერა შეიცვანეს მისი. ქალწულის დიდებული გარეგნობა ერთვის ყოველივე ამას, დედასთან მსგავსება, კეთილშობილური ქცევა; რომელიც აუხსნელია მისი დაბალი წარმოშობის პირობებში. გარდა ამისა კიდევ სხვა მრავალი საბუთი მიგვითითებს, რომ იგი ჭეშმარიტად მეფის ქალია. დაესწარით თუ არა მეფეთა შეხვედრას?

მ ე ო რ ე ა ზ ნ ა უ რ ი.

არა.

მ ე ს ა მ ე ა ზ ნ ა უ რ ი.

მაშ, ისეთი სანახაობა გამოგრჩენიათ, რომელსაც ენა ვერ იტყვის, რომელიც თვალდათვალ უნდა გეხილათ. თქვენ ნახავდით, თუ ვით დააგვირგვინა ერთმა სიხარულმა მეორე, აგრე იტყოდით, მწუხარება გლოვობსო მათთან განშორებას და ცრემლად იღვრებაო. შეიქნა თვალთა კვესება, ხელთაპყრობა; ისე აერიათ სახეები, ტანისამოსის მიხედვით თუ შეიცნობდით მათ, იერის მიხედვით კი ვერასგზით. ხელმწიფე სიხარულისაგან ლამის ცნობაზე გადახდეს თავისი ახლადნაპოვნი ქალის შემყურე. ხან არის და თითქოს სიხარული კვლავ ურვაში გადაეზარდაო, აყვირდება: „აჰ, დედაშენი, აჰ, დედაშენი“, შემდეგ ბოჭემიის მეფეს სთხოვს პატიებას, ახლა თავის სიძეს ეხვევა, მერმე კვლავ თავის ასულს მიიყვავილებს და მკერდში ჩაიკრავს, შემდეგ მწყემსს უხდის მადლობას, რომელიც უამთა სიავეს გადარჩენილი ღილივით ამოჩრილა იქვე. არაფერი მინახავს იმ შეხვედრის მსგავსი, ჩემი მონათხრობი კოჭლობით თუ მისდევს სინამდვილეს, ან რა კალამი აღწერს მაგ ამბავს!



მეორე აზნაური.

გვედრები მითხარი, რა ბედი ეწია ანტიგონეს, დაკარგვის შემდეგ?

მესამე აზნაური.

მისი ბედიც ძველებურ ზღაპარს მაგონებს, რომელსაც იმეორებენ და იმეორებენ, თუმცა ნდობა ყველაში გამქრალა და აღარც არავინ უსმენს მომთხრობს. დათვს დაუგლეჯია ანტიგონე, ამას ფიცით ამოწმებს მწყემსის ვაჟი, რომელსაც თავისი მიამიტური უბრალოების გარდა სხვა საბუთებიც გააჩნია: ცხვირსახოცი და ბეჭდები, რომელნიც პოლინამ შეიცნო.

პირველი აზნაური.

ხომალდს და მხლებლებს რაღა დაემართათ?

მესამე აზნაური.

ანტიგონეს დალუპვისთანავე ხომალდიც დალუპულა, იქვე, მწყემსის თვალწინ. ასე რომ ის ადამიანები, ვისაც დავალებული ჰქონდა ბავშვის გადაკარგვა, იმავე წამს დაიღუპნენ, რა წუთშიაც ბავშვი იპოვეს მწყემსებმა. მაგრამ აჰ, რა კეთილშობილური ბრძოლა გაიმართა პოლინას სულში სიხარულსა და მწუხარებას შორის! ცალი თვალით თავის მეუღლეს დასტირისო თითქოს, ხოლო მეორეთი თითქოს წინათქმის აღსრულებას ესალმებაო. აიტაცა დაჩოქილი მეფის ასული და ისე მძლავრად ჩაიკრა გულში, თითქოს სურს მკერდზე დაიბნოს და იხსნასო კვლავ გადაკარგვის საფრთხისაგან.

პირველი აზნაური.

მეფეები და უფლისწულნი უნდა ყოფილიყვნენ მაგ სანახაობის მაყურებელნი, რახან შემსრულებლები მეფეები და უფლისწულნი ყოფილან.

მესამე აზნაური.

მაგრამ ყველაზე გულისშემძრავი ამბავი მაშინ დატრიალდა, როდესაც მეფის ასულს მოუთხრეს დედოფლის გარდაცვალების ამბავი და მისი დალუპვის მიზეზები; მეფემ ვაჟკაცურად აღიარა ყოველივე მგლოვიარე ხმით, მეფის ასული სახტად დარჩენილი უსმენდა, შემდეგ შეძრულმა წამოიძახა — „ვაჰ-მეო“ და დაიღვარა სისხლის ცრემლებად. აგრე მეგონა, სისხ-

ლით ამევსო-მეთქი გული. თვალთაგან ზღვა დამდინდა. ქვად-
ქცეულ თანადამსწრეთაც კი შეეცვალათ ნირი, ზოგს გული შე-
უღონდა, ყველა გაოგნებული იყო. მთელი ქვეყანა რომ ყო-
ფილიყო მანდ, საყოველთაო გლოვა გაიმართებოდა.

პ ი რ ვ ე ლ ი ა ზ ნ ა უ რ ი.
დაბრუნდნენ თუ არა სასახლეში?

მ ე ს ა მ ე ა ზ ნ ა უ რ ი.

ჯერ არ დაბრუნებულან. მეფის ასულმა შეიტყო, რომ პო-
ლინას ჰქონია სახლში დედამისის ქანდაკება, იმ იშვიათი იტა-
ლიელი ოსტატის, ჯულიო რომანოს მიერ შესრულებული მრავ-
ალი წლის წინათ. ამბობენ, მარადისობა რომ ყოფილიყო თავ-
ად და შთაებერა სული თავის ნამუშევარში, ალბათ აგრე გარ-
დაჰქმნიდაო ქვის ბუნებას, იმდენად სრულყოფილად გადმო-
უცია დედოფლის სახე. იმდენად მიუმსგავსებია ჰერმიონე
ჰერმიონესათვის, მნახველნი ამბობენ, რომ დაელაპარაკო,
იფიქრებ, სადაცაა პასუხს გამცემსო. ასე, რომ პოლინას სა-
სახლისაკენ გაეშურნენ ყველანი დედოფლის ხილვას დანატ-
რებულნი. მანდვე აპირებენო ვახშობას.

მ ე ო რ ე ა ზ ნ ა უ რ ი.

აგრეც ვიფიქრე, რაღაც დიდი საქმე უნდა ჰქონდეს-მეთქი
პოლინას. ჰერმიონეს სიკვდილის შემდეგ დღეში ორჯერ-სამ-
ჯერ მაინც აკითხავდა იმ განმარტოებულ სახლს. იქნებ აჯო-
ბებდა წავსულიყავით და წილი დაგვედო საერთო მხიარულე-
ბაში?

პ ი რ ვ ე ლ ი ა ზ ნ ა უ რ ი.

ოღონდაც თანხლების ნება დაგვრთონ და განა ვინ იტყოდა
უარს? თვალის თვითეულ დახამხამებას თითო ახალი ნეტარე-
ბა მოაქვს. აქ ყოფნით კი ბევრი რამ გაუგებარი დაგვრჩება.
აბა, გავუდგეთ გზას (გადიან აზნაურნი).

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

აი, ამჯერად კი, წარსულის ლაქები რომ არ მიშლიდნენ
ხელს, დაწინაურება არ ამცდებოდა. ეს ბერიკაცი და მისი ვა-
ჟი რომ მივგვარე სეფეწულს და თან მოვახსენე ფუთაზე და
რაღაც ამბებზე ლაპარაკობენ-მეთქი, ყურიც არ მათხოვა. იგი



ამ დროს თავისი მწყემსი ქალით იყო გართული, უფრო სწორედ, ვითომდა მწყემსი ქალით, რომელსაც ზღვის ფობამ დაჰრია ხელი, თან უფლისწული თავადაც არ იყო უკეთეს დღეში და აბა, სადღა ეცალათ ჩემთვის. ასე რომ, საიდუმლო საიდუმლოდ დარჩა. მაგრამ ეგ არათერია. სულაც მე რომ აღმომეჩინა ეგ საიდუმლო, მაინც ვერ დავფარავდი ჩემი წარსულის ლაქებს.

(შემოდინან მწყემსი და ოტროველა).

აი, ის ხალხიც მოდის, ჩემდა უნებურად რომ გავაბედნიერე. უკვე აუყვავებია ბედნიერებას.

მწყემსი.

იცი, რა გითხრა, ჩემო ბიჭო, მართალია მე უკვე აღარ ვარ შვილების კეთების ასაკში, მაგრამ შენი ქალ-ვაჟნი კი უკვე აზნაურებად დაიბადებიან.

ოტროველა.

კარგია რომ შეგეჩხებეთ, სერ. გახსოვთ, უარი რომ მაკადრეთ ორთაბრძოლაზე, რამდენიმე დღის წინათ, აქაოდა აზნაური არა ხარო წარმოშობით? ახლა თუ ხედავთ ამ ტანსაცმელს? სთქვი, ვერა ვხედავ-თქო, სთქვი, არა ხართ-თქო აზნაური, იქნებ არც ეს არის აზნაურული წარმოშობის ჯუბა? აბა, სცადე და მომატყუე, აზნაური არა ხარ-თქო.

ავტოლიკე.

ვიცი რომ აზნაური ბრძანდებით, სერ, ამჟამად, წარმოშობით აზნაური.

ოტროველა.

ღიახაც რომ აზნაური ვარ. უკვე ოთხი საათია, რაც აზნაური ვარ.

მწყემსი.

მეც აზნაური გახლავარ, ჩემო ბიჭიკო.

ოტროველა.

არა, მე მაინც დავასწარი მამაჩემს გააზნაურება: უფლისწულმა ხელი ჩამჭიდა და მითხრა, ჩემი ძმა ხარო. შემდეგ ორივე ხელმწიფემ ძმა უწოდეს მამაჩემს; შემდეგ უფლის-



წულმა და მეფის ასულმა „მამა“ უწოდეს მამაჩემს; შემდეგ კითხვით და ეს გახლდათ ჩემი პირველი აზნაურული ცრემლები.

მ წ ყ ე მ ს ი.

ჯანი ნუ მოგვაკლდება, შვილო, და თუნდაც კიდევ დაგვეღვაროს ცრემლი.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

ნამდვილად, მაშ, აბა როგორი საქმეა ასეთ დაჩაგრულ დღეში ყოფნა.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

მუხლმოყრით გევედრებით, სერ, მომიტევოთ ყოველივე, რაც შევსცოდეთ თქვენს ბრწყინვალეობას და მეოხებასაც. გთხოვთ ჩემი ბატონის, უფლისწულის წინაშე.

მ წ ყ ე მ ს ი.

დაეხმარე, შვილო, ასევეც დაგენაცვლება ჩემი თავი; რახან კეთილშობილი ხალხი გავხდით, სიკეთე გვმართებს.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

მაშ, გამოსწორდები, ჰა?

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

ღიახ, სერ, უკეთუ ნებავს თქვენს ბრწყინვალეობას.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

მაშ, დაჰკა ხელი. მე დავიფიცებ პრინცის წინაშე, რომ შენზე პატიოსანი და წესიერი კაცი ბოჭემიაში არ დადის.

მ წ ყ ე მ ს ი.

თქმა მესმის, მაგრამ ფიცი რაღად გინდა?

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

როგორ, აზნაური ვარ და აღარც დავიფიცო? ლიტონი თქმა გლახუჭებისთვის დამითმია, მე კი ფიცით უნდა დავამოწმო ჩემი ნათქვამი.

მ წ ყ ე მ ს ი.

მერმედა სიცრუე რომ გამოგივიდეს, შვილო?



ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

რა სიცრუეც უნდა იყოს, ჭეშმარიტმა აზნაურმა მაინც უნდა დაიფიცოს მეგობრისათვის. ასე რომ, შევფიცებ პრინცს, რომ შენ ყაირათიანი ბიჭი ხარ და ღვინოსაც აღარა სვამ. თუმცა ეჭვიც არ შეპარება რომ ბეყეირათიც ხარ და ლოთიც, მაგრამ მაინც დავიფიცებ. დავიფიცებ, რადგან მსურს, რომ ნამდვილად ყაირათიანი გახდე.

ა ვ ტ ო ლ ი კ ე.

ვეცდები, სერ, ყოველნაირად.

ო ტ რ ო ვ ე ლ ა.

აბა, შენ იცი, ეცადე; ეცადე კაი ბიჭი დადგე. ჩემმა მზემ; მიკვირს, რომ ლოთი ხარ და თან ბეყეირათი, ჩემმა მზემ, მიკვირს. დაიცათ! აგერ ჩვენებიანთ მეფეები და უფლისწულები მიბრძანდებიან დედოფლის სურათის სანახავად. წამო, ვეახლოთ: კარგი მასპინძლები ვიქნებით.

(გადიან)

ს უ რ ა თ ი III. სამლოცველო პოლინას სახლში.

შემოდიან ლეონტე, პოლიქსენე, ფლორიზელი, პერდიტა, კამილო, დიდებულნი და მხლებელნი.

ლ ე ო ნ ტ ე.

რაოდენ დიდი ნუგეში მცა შენმა სიკეთემ, ქველო პოლინა!

პ ო ლ ი ნ ა.

მოგახსენებთ, დიდო ხელმწიფევ, ალალის გულით ვმოქმედებდი, სამსახურს ჩემსას არ ეღირსება მეტი ჯილდო, რახან მობრძანდით, თქვენს გვირგვინოსან ძმასთან ერთად მომინახულეთ, თან მემკვიდრენიც მოიყოლიეთ ტახტისა თქვენის ამ ღარიბ ჭერქვეშ. ეგ წყალობა უსაზღვრო გახლავთ, სჩანს, ვერაოდეს გადაგიხდით.

ლ ე ო ნ ტ ე.

ჩემო პოლინა,

პატივისცემა თავად გვმართებს: ჩვენ აქ გეწვიეთ რათა ვიხილოთ დედოფლისა ჩვენის ხატება.

გამოვიარეთ გაღერეა და ვერსად ვჭპოვეთ,
თუმც კი შრავალი საოცრება ვიხილეთ ირგვლივ,
აწ ასულს ჩემსას ქანდაკება დედამისისა
სურს რომ იხილოს...



პოლინა.

სიცოცხლეში უბადლო იყო,
აწ უსიცოცხლო ხატი მისი დასჩრდილავს ყოველს
რაც კი გინახავთ ოდესმე და რაც ხელს კაცისას
სადმე, ოდესმე შეუქმნია. მას ვინახავდი
განმარტოებით. აწ აქ გახლავთ, განემზადენით,
ძილი არა ჰგავს ისე სიკვდილს, ვით ეს ხატება
ჰგავს ცოცხალ არსსა. განიცადეთ და აღფრთოვანდით!

(პოლინა გადახსნის ფარდას. გამოჩნდება
ქანდაკებასავით მდგარი ჰერმიონე)
დუმილი თქვენი ზაიმედებს. იგი მეტყველებს
განცვიფრებაზე: მაინც მარქვით, ხელმწიფევ ჩემო,
თუ გახსენდებათ დედოფალი?

ლეონტე.

სრულის იერით!
ჰერმიონე ხარ მარმარილოვ, გამკიცხე თუნდაც,
ჰერმიონე ხარ, სხვას არ ვიცი ვის შეგადარო,
თუნდაც იმიტომ, რომ არ მკიცხავ; სინაზე მისი,
მისი ბალღური უმწეობა გამოგყოლია,
მითხარ, პოლინა, ნაოჭები რამ გაუჩინა,
თითქოს და უფრო ხნიერიც სჩანს...

პოლიქსენე.

უცნაურია.

პოლინა.

მით უფრო ბრწყინავს ხელოვნება დიდოსტატისა.
ღან თექვსმეტი წლით მოუმატა ასაკი ქალსა
თითქოს ცოცხლობსო იგი დღესაც.

ლეონტე.

აქ რომ გვყოლოდა,
აჰ, რა ნუგეში იქნებოდა ჩემთვის ამჟამად!



აწ კი შეშფოთდა სული ჩემი. ასევე იდგა,
სწორედ ამგვარი სიდიადე, ცხოველმყოფლობა,
გამოსჭვივოდა მის იერში, ოდეს პირველად
ვიხილე იგი. აჰ, სირცხვილო, ქვაც მყვედრის თითქოს,
რომ მასზე გულქვა მე ვყოფილვარ. აჰ, სიდიადევ,
რა მაგიაა დიდებული მთელს შენს ყოფაში,
შენ ჩემში ხსოვნა განაღვიძე ცოდვათა ჩემთა,
ხოლო ქალს შენსას აღტაცებულს დაეც თავზარი
და გააქვავე შენთან ერთად.

პ ე რ დ ი ტ ა.

ნება მიბოძეთ,

ცრუმორწმუნებად ნუ ჩამითვლით: მსურს დავიჩოქო,
ვთხოვო დალოცვა; შეისმინე, ო, დედოფალო,
აღსრულებულო დაბადების ჩემის თანავე,
გამომიწოდე ეგ მარჯვენა, რათა გემთხვიო.

პ ო ლ ი ნ ა.

გთხოვთ, მოთმინებას! ქანდაკება ჯერ არ გამშრალა,
მცირე ხნის წინად დაასრულა ოსტატმა იგი.

კ ა მ ი ლ ო.

მეფეო, თქვენი მკმუნვარება ესოდენ მძიმე,
თექვსმეტი ზამთრის გრიგალებმა ველარ გაჰფანტეს,
ვერც ზაფხულებმა ამოაშრეს: ვერც ერთი შვება
ვერ გასტანს ამდენს, მწუხარება კი მითუმეტეს,
უმალ თავისთავს ამოსწურავს.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

ძნაო ძვირფასო,

ნება მიბოძე შენი ჭმუნვა გავიზიარო,
თუმც თავადა ვარ გამომწვევი უბედურების
მსურს დაგიამო სატკივარი.

პ ო ლ ი ნ ა.

ხელმწიფევ ჩემო,

რას ვიფიქრებდი თუ შეეძლო ამ ქანდაკებას
ამრიგად შეძვრა თქვენი გულის. — ეგ რომ მცოდნოდა,
არ გაჩვენებდით მარმარილოს.



ლ ე ო ნ ტ ე.

ნუ ხურავ ფარდას.

პ ო ლ ი ნ ა.

ნულარ უცქერით, თორემ ალბათ მოგეჩვენებათ,
იძვრისო თითქოს.

ლ ე ო ნ ტ ე.

მოღეჩვენოს, დე, მომეჩვენოს,
თუნდ წარვიწყმიდო! არა, თითქოს ზმანება იყო —
ვინ გამოჰკვეთა? დააკვირდით, უფალო ჩემო,
არ სუნთქავს განა? ამ ძარღვებში განა არა სჩქეფს
ნამდვილი სისხლი!

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

ოსტატურად გამოუძერწავს.
ცხოველი სიტყვო გამოსჭვივის ბაგეთა ჭრილში.

ლ ე ო ნ ტ ე.

თვალეზი თითქოს გიმზერენო დაჟინებულად.
აჰ, რარიგ გვბაძავს ხელოვნება!

პ ო ლ ი ნ ა.

გადავწევ ფარდას:
ვშიშობ ხელმწიფემ მეტისმეტად შორს არ შესტოპოს,
ცოცხალიაო, არ იფიქროს.

ლ ე ო ნ ტ ე.

ჩემო პოლინა,

აგრე მაფიქრე ოც წელიწადს დაუსრულებლივ!
განა ედრება ამ გრძნობადი ქვეყნის სიცხადე
ღსგავს აღტყინებას სიშმაგისას? გთხოვ, ნულარ ხურავ.

პ ო ლ ი ნ ა.

მე ძლიერ ვწუხვარ, ხელმწიფეო, რომ შეგაშფოთეთ,
ვშიშობ, ტკივილი განგიახლოთ.

ლ ე ო ნ ტ ე.

არაფერია,

ამგვარ ტკივილებს უფრო მეტი სიამე ახლავთ,



ვიდრე სამძიმარს, ვიდრე ნუგეშს. მაინც მგონია
რომ სუნთქავს იგი: შეუძლია განა საჭრეთელს
შექმნა სუნთქვისა? გევედრებით, ნურვინ დამცინებთ,
უნდა ვემთხვიო.

პოლინა.

მომისმინეთ, მეფევ ბატონო,
ჯერ ბაგეს მისას საღებავი არ შეშრობია,
დაითხუპნება ქანდაკება და თქვენც შეისვრით
ბაგეებს წამლით. სჯობს დავხუროთ ორივე ფარდა.

ლეთონტე.

ვთხოვ, ნუ დახურავ ოც წელიწადს.

პ'ერდიტა.

ამდენსავე ხანს

მეც დავსტკბებოდი მისი ცქერით.

პოლინა.

ვინც ველარ ითმენს,

ვთხოვ, რომ გაბრძანდეს დარბაზიდან, ან შეემზადოს
საოცრებისთვის. თუ გაუძლებთ თქვენ ამგვარ სურათს,
მე შემძლია ქანდაკება ავამოძრავო,
უმორჩილესად გევედრებით, ნურვინ იფიქრებს,
თითქოს მიწევდნენ თანადგომას ბოროტნი ძალნი,
ეშმაკეულნი.

ლეთონტე.

აამოქმედე თუკი ძალგიძს, აამოქმედე,

მე კმაყოფილი დაგირჩები: თუნდ მესაუბროს,
სიამოვნებით ყურს დავუგდებ. გაუჭირდება
განა გავლა და საუბარი?

პოლინა.

მაშ, გაიღვიძოს

ყველაში რწმენამ: დადუმდით და იდექით მშვიდად.
თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს საქმე ჯადოქრობაა,
გარეთ გაბრძანდეს.

ლ ე ო ნ ტ ე.

გთხოვ, განაგრძო, ჩემო პოლინა
ფეხს არავინ ძრავს.

პ ო ლ ი ნ ა.

ჰე, მუსიკავ, გამოალვიძე (მუსიკა),
ჩამოდი, დროა, ქვა ნუღარ ხარ, მოგვიახლოვდი,
და განაცვიფრე შენნი მჭვრეტნი: ჰა, ამოდრავდი,
ეგ უძრაობა სიკვდილს დარჩეს. განთავისუფლებს
ტურფა სიცოცხლე! ნახავთ რარიგ ანარნარდება,
(ჰერმიონე ჩამოდის პედესტალიდან).

არვინ გაინძრეს; მოქმედება მისი წმინდაა,
ისევე როგორც ჩემი საქმე: ნუ გერიდებათ,
თორემ სიკვდილი კვლავ წაიყვანს. მაშინ ორმაგად
მოკვდება იგი. გაუწოდეთ თამამად ხელი.
სიყმაწვილეში სიყვარული თქვენ აუხსენით.
ამჟამად კი მან გაგიმჟღავნათ.

ლ ე ო ნ ტ ე.

ჰა, რა თბილია!

თუ მაგიაა, დაე, იყოს ეს ხელოვნება
ნებადართული ვით სმა-ჭამა.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

გადაეხვია.

კ ა მ ი ლ ო.

აჰა, ყელი ყელს გარდააჭდეს: ცოცხალი თუა,
ალაპარაკდეს.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ე.

მოუთხოვს ყველას სად მკვიდრობდა დღევანდელ
დღემდე,

ან ვით დაეხსნა მკვდართ საუფლოს.

პ ო ლ ი ნ ა.

თქვენთვის რომ მეთქვა

მსგავსი ამბავი, დამცინებდით ალბათ ყველანი
ვით ძველ მეზღაპრეს, როგორც ვხედავთ, ცოცხალი
გახლავთ,



თუმც ხმას არ იღებს. დაუკვირდით ორიოდე წუთს, მაღამ, მობრძანდით, დაიხოქეთ დედის წინაშე, სთხოვეთ დალოცვა. დედოფალო, აქეთ მოგვხედე, ჩვენი პერდიტა ნაპოვნია!

ქ ე რ მ ი ო ნ ე.

ჰოი, ღმერთებო, გარდმოიხილეთ და წყალობის წმინდა ბარძიმი გადმოანთხიეთ ასულს ჩემსას! — მითხარი, შვილო, სად გადაგკარგეს? სად მკვიდრობდი? ან ვით აღმოჩნდი? ვით მოაკვლიე მაძულს შენსას? პოლინამ მამცნო დედოფოს სამისნო იძლევაო იმედს უტყუარს, ცოცხალიაო შენი ქალი და მეც ამიტომ ცოცხლად დარჩენა განვიზრახე.

პ ო ლ ი ნ ა.

ეგ სხვა დროს იყოს, რათა თქვენს შვებას არ მოჰფინოთ ანაზდეულად ჩრდილი წყენისა. — წამობრძანდით, გამარჯვებულნო, გაუზიარეთ დიდს და მცირეს ეგ თქვენი შვება, იბედნიერეთ, მე კი, როგორც ბერი ქედანი სადმე გამხმარ ტოტს გამოვძებნი და მუნ ვიგლოვებ ჩემს დაკარგულ ცალს, ვიდრე მიწევს სიკვდილის წამი ჟამთა სრბოლაში.

ლ ე ო ნ ტ ე.

გთხოვ დამშვიდდე, ჩემო პოლინა! ახალ მეუღლეს მე გთავაზობ პირობისამებრ, რადგან ოჯახი დამიბრუნე: გახსოვს, შევფიცეთ, ერთ დროს ურთიერთს. შენ მეუღლე შემინარჩუნე, საკვირველია ვით ან რა გზით: თავად ვიხილე, შკვდარს ჰგავდა იგი, მის საფლავზეც მრავალჯერ მითქვამს

მხურვალე ლოცვა. ბევრი ძებნა არ დამჭირდება, ვხვდები თქვენს ზრახვებს ნაწილობრივ, მე შეგიჩივებ ღირსი მეუღლე: წინ წამოდექ, ჩემო კამილო, აბა, ხელი ხელს! აქ პოლინას პატიოსნებას

ორი ხელმწიფე დაგიმოწმებს. ღირსება მისი
საყოველთაოდ განთქმულია. აბა, გავსწიოთ.
შეხედე ჩემს ძმას, ბოდიშს ვითხოვ ორივესაგან,
თქვენს წმინდა მზერას რომ შევსძინე სირცხვილის
ჩრდილი,

ჩემი უხამსი დაეჭვებით. აჰა, ძე თქვენი,
ხელმწიფის ვაჟი მოვლენილი განგების მიერ
ასულის თქვენის დამნიშვნელი. ქველო პოლინა,
წინ წარგვიძეხი, რათა შევძლოთ უფრო იოლად
საუბარი და გამოკითხვა ურთიერთისა,
თუ რა გარდაგვხდა მას შემდეგ, რაც გაგვყარა ბედმა,
მას ჟამსა შინა! გზას გავუდგეთ აბა, სასწრაფოდ.
(გაღიან).

Уильям Шекспир
ЗИМНЯЯ СКАЗКА
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1969



რედაქტორი

გ. გაჩეჩილაძე

გამომცემლობის რედაქტორი

მ. ამაშუკელი

მხატვარი

დ. ზარაფიშვილი

მხატვ. რედაქტორი

შ. დოლიძე

ტექნორედაქტორი

ბ. ასათიანი

კორექტორი

დ. კალანდარიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VII-69

ქალაქის ზომა 84×108¹/₃₂

ნაბეჭდი თაბახი 4,375

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6

ტირაჟი 5.000 ფასი 84 კაპ. შეკვ. № 4391

გამომცემლობა „ნაკადული“,

მარჯანიშვილის ქ. № 5

Издательство «Накадули»,

Ул. Марджанишвили № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა

საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის

სახელმწიფო კომიტეტის მთავარ-

პოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 2,

„ნაკადული“, ფურცელაძის ქ. № 5

Типография № 2, «Накадули», Глав-

полиграфпрома Государственного

Комитета Совета Министров

Грузинской ССР по печати,

Тбилиси. Ул. Пурцеладзе № 5.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა